ომარ ცხვარიძე

# ბოლო ჟამი

ცოდნა, რომლის შესახებ
დუმდნენ საუკუნენი



ომარ ცხვარაძე

# ბოლო ქამი

/ცოდნა, რომლის შესახებ
დუმდნენ საუკუნენი/

გამომცემლობა შპს „თეკა&კომპანია“
თბილისი
2021

რედაქტორი: **ანზორ ჯაფარიძე,**
*აკადემიკოსი*

ISBN 978-9941-8-3205-5

## წინასიტყვაობა

*წიგნი „ბოლო ჟამი“ მოიცავს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებისა (აპოკალიფსი) და ზეციური ღვთიური ცოდნიდან გამომდინარე; ბოლო ჟამის ამოცნობილ, წინასწარ შემეცნებულ ცოდნას; თუ რა ხდებოდა, რა ხდება და რა მოხდება უახლოეს მომავალში...*

*ის ეძღვნება საქართველოსა და კაცობრიობის წარსულის ცოდნის მცირე ნაწილს. საუბრობს დღევანდელ გაუსაძლის მდგომარეობაზე; გვაწვდის რჩევებს მომავალ ბედნიერ ცხოვრების მისაღწევად... თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, ვიცხოვროთ, რომ გადავრჩეთ, გადავარჩინოთ მოყვასი, შთამომავლობა და ქვეყანა.*

*წიგნი ძალზე ღრმაშინაარსიანია; მისი მხოლოდ გადაკითხვა ან ერთხელ წაკითხვა არაფერს მოგვცემს, რადგან ის მრავალჯერ უნდა წაიკითხო, შეიმეცნო, გაითავისო და იმოქმედო მის მიხედვით, უფალ ღმერთის ნებით. „ბოლო ჟამი“ გვაცნობს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს. შეწყდეს ბოროტ სატანათა მოქმედება და მოხდეს კეთილ ძალთა გამარჯვება. დღემდე მოღწეულ: ზღაპრებში, ნაწარმოებში, კინოებში, შედევრებსა თუ გამოთქმებში ბოროტ ძალებს არასოდეს გაუმარჯვიათ, პირიქით, ყოველთვის კეთილ ძალათა მიერ მარცხდება ბოროტება, ასეთია ღმერთის ნება.*

*თუ ასე გაგრძელდა, რაც სადღეისოდ ხდება, მაშინ დედამიწაზე შეწყდება სიცოცხლე; რასაც უფალი ღმერთი არ დაუშვებს და პირიქით ბოროტ ძალებს გაანადგურებს და კეთილ ადამიანებს, მათ სულებს მიცეს მარადიული სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობებს.*

*დედამიწაზე, რომ გაგრძელდეს სიცოცხლე, აღსრულდეს უფალი ღმერთის ნება და კეთილმა, მშრომელმა, შემოქმედმა, სიმართლის მადიდებელმა ხალხმა, რომ გააგრძელონ მარადიული სიცოცხლე ამისათვის, თითოეული ჩვენთაგანი უნდა იყოს თავიდანვე ბეჯითი, შრომისმოყვარე, პატიოსანი, სიმართლის მოყვარული და ყოველივე აქედან გამომდინარე სიმართლის მხარდამჭერი და უბადლო აღმსრულებელი; რომ იცხოვრონ ჩვენმა შთამომავლობამ ბედნიერად და ჩვენ პირნათელნი წავიდეთ იმ ქვეყნად სიცოცხლისა და ცხოვრების გასაგრძელებლად.*

*დიდება უფალ ღმერთს, მის კუთვნილ ერს, ქრისტიან-მართლმადიდებელ ქართველებს, ისრაელიტებს და საერთოდ ყველას, ვინც შეძლებს მშვიდობიან, ბედნიერ, გაბრწყინებულ ცხოვრების აღმშენებლობას, რომ შთამომავლობამ იარსებოს და იცხოვროს ბედნიერად...*

***გურამ კუპატაძე,***
***აკადემიკოსი***

# გაინტერესებთ რა ხდებოდა და რა მოხდება უახლოეს მომავალში?

*გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა,*
*/აპოკალიფსი/*

ისტორია ქართული სიტყვაა და ნიშნავს, ის რაც ხდება უფალი ღმერთის ნებით დედამიწაზე, სამყაროში ისაა სწორი: ის სწორია (ისტორია). წიგნი ბიბლია დაწერილია ქართველ წინასწარმეტყველთა მიერ და ეძღვნება „ის-რაელს“. ისრაელი კი იგივე საქართველოა და აიხსნება ქართული ენით; ის-რა-ელი-ს? ვის დედამიწაზე სიცოცხლეს, მის არსებობას მომავალში. ყოველივე ეს უფალმა ღმერთმა დააკისრა ქართველებს. ამდენად ისრაელი იგივე საქართ-ველოა და არა იზრაილი ებრაელთა ქვეყანა; მას მთელი მსოფლიოში ყოველ ენაზე იზრაელად მოიხსენიებენ, მათ შორის თვით ებრაელებიც. ხოლო უვიცი, გონგამოცლილი ზოგიერთი ქართველები, ისრაელს ჩვენს ძირითად სახელს ებრაელთა ქვეყანას უწოდებენ ...

ყოველივე ეს ორიათას წლამდე იყო გასაიდუმლოებული, რომ ბიბლიის დამწერი ერი, ქვეყანა არ ყოფილიყო ცნო-ბილი, რომ ის მრავალ მტერს არ გაენადგურებინა და დღემ-დე ვერ მოაღწია.

წიგნი ბიბლია ეძღვნება მთლიანად ისრაელს და ამ სახელწოდებით შემოქმედ ქართველ ხალხს. სახელწოდება ისრაელი უფალმა ღმერთმა უწოდა ქანაანელ იაკობს და

მისი შთამომავალნი არიან ისრაელიტნი; უფალი ღმერთის ერია ქართველი ერი, უფალი ღმერთია ჩვენი ღმერთი.

ქართველი ხალხი არის ძალზე ამპარტავანი და დაუმორჩილებელი ხალხი, ამიტომ უფალმა ღმერთმა მისი ხელიდან, ორმოცი საუკუნის წინ შეასვა მათ სიბრძნის თასი, რომ ნაწილობრივ მიეძინებინა ისინი; რადგან დედამიწა შევიდა ბნელ სივრცეში სამოძრაოდ, სადაც მისი ძალაუფლება მთელი ძალით ნაკლებად სრულდებოდა. და ამ დროს იბერიას და კოლხეთს პრეტენზია არ გასჩენოდათ ქვეყნის ერთმართველნი გამხდარიყვნენ. რადგან ქვეყნის ერთმმართველი თვით უფალი ღმერთია და ვინც ამ საქმეში მას შეეცილება, მათ აუცილებლად ანადგურებს. სწორედ ეს არ სურდა უფალ ღმერთს და ამიტომაც ნაწილობრივ მიაძინა ჩვენი წინაპრები.

ორიათას წელს დაპირებისამებრ ხელმეორედ გამოცხადდა იესო ქრისტე, მან აღადგინა „ლაზარე“ ქართული ენა, რომელიც მიძინებული იყო ორმოცი საუკუნის წინ.

ასე დაიწყო ზეციური ღვთიური ცოდნის, ბიბლიის, ახსნაგანმარტება. კრავის მიერ და დაიწყო ამ ცოდნათა შემეცნება ჩვენი ქვეყნის, ქართველი ერის, შთამომავლობის გათვითცნობიერება რეალობასთან; ანუ რელიგიასთან; სიმართლეს აღიარებასთან, სიმართლის მიხედვით სამართლის შექმნასთან და ქრისტიან მართლმადიდებლობასთან, სიმართლის მადიდებლობის საფუძველზე მოხდა ჭეშმარიტების აღიარება, ამოქმედება. ასე დაიწყო ყოველგვარი ბოროტი საქმეების გამომზეურება, აღიარება, გათვითცნობიერება. გაირკვა ისიც, რომ თუ ბოროტმოქმედებამ, რაც სადღეისოდ ხდება მიგვიყვანს დაღუპვამდე; დედამიწაზე შეწყდება სიცოცხლე და ყველაფერი დაიწყება თავიდან, როგორც იყო.

წიგნ ბიბლიაში, ძველსა და ახალ აღთქმაში, წინასწარმეტყველთა მიერ რაც ნაწინასწარმეტყველებია ყველაფერი

უფალი ღმერთის ნებით ახდა; ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც მომავალშია ნათქვამი, ისიც უდაოდ ახდება. დაგვრჩა მცირედი დრო დაახლოებით ორიათას ოცდათერთმეტი წლის თხუთმეტ ივნისამდე, რაც წინასწარაა ნათქვამი ყველაფერი აღსრულდება და ამის შემდეგ გადარჩენილნი გააგრძელებენ ცხოვრებას ოთხას წელს ბედნიერად, გაბრწყინებულ საქართველოში. მსოფლიოში; ხოლო ამის შემდეგ ბოროტების მარცვალი გაღვივდება, აღმოცენდება და დაიწყება მისი გამრავლება თანდათანობით. მესამე ათასწლეულის ბოლოს იგივე განმეორდება რაც ამჟამად ხდება და უახლოეს თერთმეტ წელიწადში მოხდება ...

## თავი პირველი

1. გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მალე; და უჩვენა კიდეც თავისი ანგელოზის მოვლინებით მონას თვისას იოანეს.

2. რომელმაც იმოწმა სიტყვა ღმრთისა და მოწმობა იესო ქრისტესი, - ყოველივე ის, რაც იხილა.

3. ნეტარია, ვინც კითულობს და ისმენს ამ წინასწარმეტყველებაზე, რომელიც ეხება თანამედროვე დროს; რადგან ეს ის დროა, როდესაც ბოლო უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს, მოისპოს ბოროტების ყოველი თესლი, რადგან ასე გაგრძელდეს მესამე ათასწლეულში შეუძლებელია, რადგან სატანებმა, სატანიზმმა სასწორზე დადო წუთისოფელი, და თუ ასე გაგრძელდა მაშინ დედამიწაზე მოისპობა სიცოცხლე, გახდება ის უკაცრიელი და არავინ იცის უფალი ღმერთის გარდა რა მოხდება მომავალში. ისევ თა-

ვიდანვე დაიწყება ახალი სიცოცხლის გამრავლება და მისი განვითარება, როგორც იყო წარსულში.

საუბარია ზოგიერთი მეცნიერის მიერ წინასწართქმულზე, რომ დედამიწაზე სიცოცხლემ, მისმა განვითარებამ ცოდნის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ასშვიდჯერ და ეხლა ასმერვეჯერ უახლოვდება. ყოველივე ამას, რასაც მართავს უფალი ღმერთი, ჰქვია ზეციური ღვთიური ცოდნა.

ბოროტმოქმედთა მიერ დღეს შექმნილია უსასტიკესი წინა პირობები, რომ ყოველივე ეს მოხდეს; თუმცა უფალი ღმერთი სხვანაირად ფიქრობს; მის მიერ შექმნილ სამყაროს, დედამიწაზე სიცოცხლეს ბოროტმოქმედთ არ მოასპობინებს, არამედ პირიქით მათ გაანადგურებს და შეინარჩუნებს ყოველივე იმას, რაც დღემდე შეუქმნიათ კეთილ, მორწმუნე მართლმადიდებლებს, და ცდილობენ შეინარჩუნონ დედამიწაზე სიცოცხლე და უფალ ღმერთთან კავშირი.

1-8. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის და იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი.

9. მე იოანე, ძმა თქვენი, და ჭირისა და სუფევის თქვენისა და იესო ქრისტეს, მოთმინების თანაზიარი, ვიყავი კუნძულზე, რომელსაც ჰქვია პატმოსი, ღმრთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისათვის.

10. ვიყავი სულით, კვირა დღეს, და მომესმა უკანიდან მრგვინავი ხმა, როგორც საყვირის,

11. რომელმაც თქვა. მე ვარ ანი და ჰაე, პირველი და უკანასკნელი. და: რასაც ხედავ, დაწერე წიგნი, და დაუგზავნე ასიის ეკლესიებს - ეფეოში, სმირნაში, პერგამონში, თიატირაში, სარდეში, ფილადელფიასა და ლაოდიკეაში.

12. მე მოვბრუნდი, რათა მეხილა ხმა, რომელიც მესიტყვებოდა, და მობრუნებულმა ვიხილე შვიდი სასანთლე ოქროსი.

13. და შვიდ სასანთლეს შორის, მსგავსება კაცის ძისა, რომელსაც ემოსა გრძელი მოსასხამი, და მკერდს ერტყა ოქროს სარტყელი;

14. თავი მისი და თმანი - სპეტაკი, როგორც ქათქათა მატყლი, და როგორც თოვლი; ხოლო თვალნი მისნი, როგორც ალი ცეცხლისა,

15. და ფეხნი მისნი - ცეცხლში გავარვარებული ელვარე რვალი, და ხმა მისი, როგორც ზათქი მრავალი წყლისა.

16. მარჯვენა ხელში ეპყრა შვიდი ვარსკვლავი, და მისი ბაგეთაგან გამოდიოდა მახვილი ორლესული, და სახე მისი, როგორც მზე, სხივფინარი თავისი ძალით.

17. და როცა ვიხილე იგი, მის ფერხთით დავარდი, როგორც მკვდარი. ხოლო მან დამადო თავისი მარჯვენა და თქვა: ნუ გეშინია; მე ვარ პირველი და უკანასკნელი;

18. და ვარ ცოცხალი; და ვიყავი მკვდარი; და აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ, და მაქვს კლიტენი ჯოჯოხეთისა და სიკვდილისანი.

19. მაშ, დაწერე, რაც იხილე, და რაც არის, და რაც იქნება ამის შემდეგ.

რა თქმა უნდა, უფალი ღმერთია პირველი, რომელიც ბუნებრივმა ძალამ შექმნა სამყაროს მოსაწესრიგებლად, პლანეტათა მოძრაობების დასარეგულირებლად და ქვეყანაზე წესრიგის დასამყარებლად; რადგან ამის გარეშე დედამიწაზე და გალაქტიკაში სიცოცხლე არ იარსებებდა; ისევ ქაოსურად გამყინვარებულ მდგომარეობაში დარჩებოდა და არცერთი ჩვენთაგანი სიცოცხლეს სამოთხეში ვერ ელირსებოდა.

სამოთხე - ქართული სიტყვაა და ასე განიმარტება - სამება. ესაა მამა ღმერთი, სამყაროსა და სიცოცხლის შემქმნელი, ძე ღმერთი, იესო ქრისტე, ანუ ზეციური ღვთიური

ცოდნა, სამყაროსა და მასში სიცოცხლია არსებობის, მისი შემდგომი განვითარებისა და არსებობის შესახებ. ხოლო ოთხი ესაა დედამიწა, მზე, წყალი და ჰაერი სიცოცხლის საარსებოდ, მის გასანვითარებლად და საარსებოდ. რაც შეეხება სიტყვა ქვეყანას ნიშნავს: ქვედა ყანას, ქართულ ენაში სიტყვა ქვედა იხმარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი საპირისპირო ზედა ანუ ზედა ყანა. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ქვედა ყანაზე, უნდა წარმოვიდგინოთ ზედა ყანაც სადაც არის იქაური, იმქვეყნიური სამოთე. ამდენად, ჩვენ ქრისტიან-მართლმადიდებლები თაყვანს უნდა ვცემ-დეთ რწმენას, სიმართლის მადიდებელს და ამ სიმართლეზე დაყრდნობილ ზეციურ ღვთიურ ცოდნას, რომელიც სადღეი-სოდ უარყოფილია და თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეო-ბის დიდი უმრავლესობა სიცრუეზე დაყრდნობით, პირადი გამდიდრების მიზნით, ქრისტიან მართლმადიდებლობის განადგურებით არიან მომართულნი, ამიტომაა მთელი მსოფლიოს სხვადასხვა სექტები, სარწმუნოებები გააფთ-რებით გვებრძვიან ჩვენ მართლმადიდებლებს, მოისყიდიან ადგილობრივ: სამშობლოს, მისი მოსახლეობის, შთამომავ-ლობის მტრებს, რომლებიც პირადი გამდიდრების მიზნით ყიდიან ყველაფერს და ბოლოს უსამშობლო, უშთამომავლო, დაუტირებელნი სულთან, ტანთან ერთად მოკვდებიან, ჩაიძირებიან გოგირდითა და ცეცხლით მოგიზგიზე ტბაში.

უფალი ღმერთი იმდენად დიდსულოვანია, რომ წინასწარ აფრთხილებს ამ წიგნით ყოველ ცოცხალ, მოკვდავ ადამი-ანებს, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდგომ გონს მოვიდნენ და ყველაფერი კეთილი საქმე აკეთონ ქვეყნის, მისი მოსახლეო-ბის, შთამომავლობის გადასარჩენად, რომ იცოცხლონ თვითონ და გადაარჩინეონ მოყვასი, შთამომავლობა ...

20. საიდუმლო შვიდი ვარსკვლავისა, რომელიც იხილე

ჩემს მარჯვენაში, და შვიდი სასანთლისა ოქროსი: შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზნი არიან, ხოლო შვიდი სასანთლე ეკლესიაა შვიდი.

მე ვარ ანი და ჰაე, ადან-ჰოემდე ეს ხომ მთელი ალფავიტია, ასო ნიშნები, ასო ბგერები, ესაა ქართული დამწერლობა, რომელიც შეიქმნა უფალი ღმერთის კარნახით, ზეციური ღვთიური ცოდნიდან გამომდინარე და იწერებოდა წიგნების სახით ყველა ის ბრძანებები, კანონები, სწავლებანი, ლოცვები, რაც ხდებოდა, ხდება და მოხდება მომავალში, ის რაც აღწერილია წარსულში უკვე აღსრულდა, რაც ხდება ამას ხომ თვალნათლივ ვხედავთ და გვესმის, ხოლო რაც უნდა მოხდეს მომავალში დამერწმუნეთ, რომ აუცილებლად მოხდება.

ამდენად უფალი ღმერთი იმდენად დიდსულოვანი და კაცთმოყვარულია, რომ ყველას: ბოროტებს თუ კეთილშობილთ წინასწარ გვაფრთხილებს, რომ მოუსმინოთ და აღვასრულოთ მისი ნება დედამიწაზე. ვინც არ მოუსმენს, მათი ბედი წინასწარაა ცნობილი. ასე რომ ვისაც სიცოცხლე უნდა, უნდა აღასრულოს მისი ნება ...

## თავი მეორე

1. ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მიწერე: ამას ამბობს, ვისაც უპყრია შვიდი ვარსკვლავი მარჯვენაში; და ვინც იარება ოქროს შვიდ სასანთლეს შორის;

2. ვიცი საქმენი შენნი და შრომა შენი და მოთმინება შენი, და რომ არ შეგიძლია დაითმინო უკეთურნი, და გამოსცადე ისინი, რომელთაც მოციქულებად მოაქვთ თავი და არ კი არიან, და ჰპოვე ისინი მტყუარნი.

3. და გაქვს მოთმინება, და ბევრი რამ იტვირთე ჩემი სახელისთვის, და არ დაიქანცე.

4. მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტევე შენი პირველი სიყვარული.

5. მაშ გაიხსენე, საიდან დაეცი, და შეინანე, და უწინდელი საქმენი ჰქმენი. არა და, მალე მოვალ შენთან, და თავისი ადგილიდან დავძრავ სასანთლეს შენსას, თუკი არ შეინანებ.

6. მაგრამ ეს კი გაქვს, რომ გძულს ნიკოლაელთა საქმენი, რომელიც მეცა მძულს.

7. ვისაც ყური აქვს ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძლეველს ვაგემებინებ სიცოცხლის ხისაგან, რომელიც არის ღმერთის სამოთხეში.

ღმერთის სამოთხე მოქმედი არსებანია და ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლეს. სამოთხე აქ არის თუ მას გონივრულად მოვიხმართ თითოეული ჩვენთაგანი. სამოთხე არის ის ნორმალური ცხოვრების ადგილი, სადაც ადამიანი თავის დაბერებულ, უმწეო ტანს დატოვებს; გარდაცვალებით შეიმოსება იქ ზედა სამყაროში, ანუ ზედა ყანაში გადაინაცვლებს. სული შეიბამს ახალგაზრდა, ახალ სხეულს და თავიდან დაიბადება ზედა ყანაში, იქ სიცოცხლეა დამკვიდრებული. იქ გარდაცვლილთა სულები ხორცის შესხმელად გარდაცვალებით გადმოდიან ჩვენთან დედამიწაზე და ახალი ფიზიკური ტანით იბადებიან, იბადებიან და ბერდებიან ხოლო შემდგომ ყველაფერი მეორდება.

8. ხოლო სმირნის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს პირველი და უკანასკნელი, რომელიც მკვდარი იყო და გაცოცხლდა: (საქმე ეხება თანამედროვე საქართველოს, მის მოსახლეობას).

9. ვიცი საქმენი შენი და ჭირი და სიგლახაკე (თუმცაღა მდიდარი ხარ) და გმობა მათი, რომელნიც ამბობენ, იუდეველნი ვართო, და არ კი არიან, არამედ საკრებულო სატანისა.

10. ნუ გეშინია ნურაფრისა, რაც უნდა მოიწიოს შენზე, აჰა, ეშმაკი აპირებს ზოგი თქვენთაგანის ჩაგდებას საპყრობილეში, გამოსაცდელად; და იქნებით ურვილნი ათი დღე, მორწმუნე იყავ, ვიდრე სიკვდილამდე, და მოგცემ შენი სიცოცხლის გვირგვინს. ამ სიტყვებს უფლისას განმარტება არ ჭირდება, რადგან ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი და გასაგებად მკითხველისათვის.

11. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძლეველი არ დაითმენს ვნებას მეორე სიკვდილისაგან.

12. ხოლო პერგამონის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს ორლესული მახვილის მქონე:

13. ვიცი საქმენი შენი, და იქ მკვიდრობ, სადაც არის სატანის ტახტი, და იმარხავ ჩემს სახელს, და არ უარყავ ჩემი რწმენა, თვით იმ დღეებშიც, როცა თქვენს შორის, იქ სადაც მკვიდრობს სატანა, მოკლული იქნა ანტიპა, სარწმუნო მოწმე ჩემი:

14. მაგრამ მაქვს შენს წინააღმდეგ მცირეოდენი, ვინაიდან გყავს ზოგიერთნი, ბალაამის მოძღვრების მიმდევარნი, ბალაამისა, რომელმაც ასწავლა ბალაკს, საცდური დაედო ისრაელის ძეთა წინაშე, რათა ჭამდნენ კერპთათვის შენაწირს და მრუშობდნენ.

15. აგრეთვე, შენც გყავანან ნიკოლაელთა მოძღვრების მიმდევარნი, რომელნიც მე მძულს.

აქ საუბარია იაღოველებზე, ბაპტისტებსა და ყველა იმ სექტებზე, კაცობრიობის მოღალატე სარწმუნოებებზე, რომელთა იდეოლოგია დაყრდნობილია სიცრუეზე და არა სიმართლეზე, სიმართლის დიდებაზე, რომ სიმართლემ გაიმარჯვოს ბოროტებაზე, სიხარბეზე, გარყვნილებასა და ყოველ სიბილწეზე. სწორედ ის რასაც ქადაგებს ნიკოლაელ-

თა მოძლვრება, ასეთებია ალენ-დალუსის დოქტრინა და შესაბამისად სოროსის მოქმედება, ყოველი ამ საქმის წამ-მართველნი, სასტიკად სძულს უფალ ღმერთს და რა თქმა უნდა ჩვენც.

ყოველი პიროვნება, რომელიც პირადი გამდიდრების მიზნით, ფულზე ყიდიან საკუთარ სინდისს, მათ მოელით უსასტიკესი ტანჯვა, რასაც შემდგომში აღვწერთ.

16. მაშ შეინახე, არა და მალე მოვალ შენთან, და შევერკი-ნები მათ ბაგეთა ჩემთა მახვილით.

17. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლე-სიებს: მძლეველს მივცემ საჭმელად დაფარულ მანანას, მივ-ცემ მას სპეტაკ ქვას, და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ იცის, მიმღების გარდა.

18. ხოლო თეატრიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს ღმერთის ძე, ვისაც აქვს თვალნი, როგორც ალი ცეცხლისა და ვისი ფერხნიც მსგავსნი არიან ელვარე რვალის.

19. ვიცი საქმენი შენი და სიყვარული და მსახურება, რწმე-ნა და მოთმინება შენი, და რომ უკანასკნელი საქმენი შენნი უმეტესნი არიან, ვიდრე პირველნი.

20. მაგრამ მაქვს შენს წინააღმდეგ მცირეოდენი, რად-განაც ნებას რთავ შენს ქალს იეზაბელს, წინასწარმეტყვე-ლად რომ მოაქვს თავი, ასწავლოს და აცთუნოს ჩემი მონები, რათა მრუშობდნენ და კერპთათვის შენაწირს ჭამდნენ.

21. და მივეცი მას დრო, რათა შეენენებინა თავისი სიძვა, მაგრამ არ ინება სინანული.

22. აჰა, დავამხობ მას სარეცელზე, და მეძავთაც მასთან ერთად, და შავ დღეს დავაყრი, თუკი არ შეინანებენ თავიანთ საქმეს.

23. და მოვაკვდინებ სიკვდილით მის შვილებს, და სცნობს ყოველი ეკლესია, რომ მე ვარ დაფარულ აზრთა და გულთა

მხილველი, და მივაგებ თვითეულ თქვენთაგანს მისი საქმისამებრ.

24. ხოლო თქვენ და დანარჩენთაც, თიატირაში მყოფთ, რომელთაც არა აქვთ ეს მოძღვრება და ვერ უცვნიათ, როგორც ამბობენ, სატანის სიღრმე - გეტყვით, რომ აღარ გატვირთებინებთ სხვა სიმძმეს.

25. მხოლოდ რაცა გაქვთ, ეგ იტვირთეთ ჩემს მოსვლამდე.

26. ხოლო მძლეველი და ჩემი საქმის დამმარხველი აღსასრულამდე, მიიღებს ჩემგან ძალაუფლებას წარმართებზე მბრძანებლობისას;

27. და დამწყესავს მათ რკინის კვერთხით; როგორც ჭურჭელნი თიხისანი დაიმსხვრევიან, ისე მე მივიღე ხელმწიფება მამის ჩემისაგან.

28. და მივცემ მას ცისკრის ვარსკვლავს.

29. ვისაც ყური აქვს ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

ყოველ ანგელოზ, პიროვნებას წერს უფალი ღმერთი მათ ცოდვებზე რაც ჩაუდენიათ, მაგრამ პატიობთ მხოლოდ იმ ცოდვებს, რომელთა პატიებაც შეიძლება, აფრთხილებთ მათი საქმიანობის მიმართ, რომ ყოველი საქმიანობა უნდა იყოს უმწიკვლო და არა ცოდვებით სავსე, რადგან უნდა გიყვარდეთ უფალი ღმერთი და თაყვანს სცემდეთ მას, მის შემოქმედებას, სამშობლოს, ქვეყანას, მოყვასსა და შთამომავლობას არასოდეს მათ წინააღმდეგ არ უნდა იმოქმედოთ, რადგან ყოველი ფარული, გულშინადები საქმე უფალ ღმერთისთვის ცნობილია და ცხადი. ამდენად ნუ შეგაშინდებათ ვინც მართალია, სიმართლის მადიდებელი და თან ატარებს მართლმადიდებლურ რწმენას, ქადაგებს სამართლიან ცხოვრებას, პატივს სცემს ყოველ პატიოსან, მშრომელ ოჯახს და ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას ...

## თავი მესამე

1. ხოლო სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს; ვისაც აქვს ღმერთის შვიდი სული და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი საქმენი შენი; სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, და მკვდარი ხარ.

2. იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენიც, რაც უახლოვდება სიკვდილს, რადგან ვერ ვპოულობ, რომ შენი საქმენი აღსრულებულნი არიან ღმერთის წინაშე.

3. გახსოვდეს, რაც მიგიღია და გსმენია, და დაიმარხე და შეინანე; ხოლო თუ არ იფხიზლებ, მოვალ შენთან, როგორც მპარავი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოგივალ.

4. თუმცა გყავს სარდეში რამოდენიმე კაცი, რომლებსაც არ შეუბილწავთ თავიანთი სამოსი; და ივლიან ჩემთან სისპეტაკით მოსილნი, ვინაიდან ღირსნი არიან.

5. მძლეველი ასე სისპეტაკით მოსილი ივლის, და არ ამოვშლი მის სახელს სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს მამის ჩემისა და მისი ანგელოზების წინაშე.

6. ვისაც ყური აქვს ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

ვფიქრობ გონება გახსნილი მკითხველი მიხვდება, რომ საუბარია ღმერთის მიმართ, მის შემოქმედებაზე მზრუნველ ადამიანებზე, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა ვიდრე სათანადო შედეგებს არ მიაღწევენ ...

7. ხოლო ფილადელფიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს წმიდა, ჭეშმარიტი, ვისაცა აქვს დავითის კლიტე, რომელიც აღებს, და ვერავინ დახშვას, და დახშვას. შენ მცირედი გაქვს ძალა, მაგრამ დაიმარხე ჩემი სიტყვა და არ უარყავ სახელი ჩემი.

9. აჰა, მე ვიქმ იმას, რომ სატანის საკრებულოდან, მათგან

რომელნიც ამბობენ, იუდეველნი ვართო, და არ კი არიან, არამედ ცრუობენ. აჰა, მე ვიქმ იმას, რომ მოვიდნენ და თაყვანი გცენ შენს ფეხთა წინაშე და სცნონ, რომ მე შეგიყვარე შენ.

10. რაკიღა დაიმარხე სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამს, რომელიც მოიწევა მთელს ქვეყანაზე მიწის მკვდართა გამოსაცდელად.

11. აჰა, მოვალ მალე, მტკიცედ იპყარ, რაცა გაქვს, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი.

12. მძლეველს ვყოფ ბურჯად მამის ჩემის ტაძარში, და აღარასოდეს გავა გარეთ, და დავაწერ მას სახელს ჩემი ღმერთისას და სახელი ჩემი ღმერთის ქალაქის - ახალი იერუსალიმისას, რომელიც ზეცით ჩამოდის ჩემი ღმერთისაგან, და ჩემს ახალ სახელს.

13. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

14. ხოლო ლაოდიკეის ეკლესიის ანგელოზს მისწერე; ამას ამბობს ამინი, მოწმე სარწმუნო და ჭეშმარიტი, დასაბამი ღმრთის ქმნილებისა:

ამინ ქართული სიტყვაა და ნიშნავს ამ ენით დიდება უფალს. ეს სიტყვა ამენ გავრცელებულია თითქმის ყველა სარწმუნოებაში, ხოლო რაც შეეხება დასაბამი ღმერთის ქმნილებისა არის ისრაელი იგივე საქართველო; რომლის პირველი სიტყვაა ადამი, ხოლო ადამის შთამომავალია ადამიანი. რა თქმა უნდა ყველა ენა წარმოთქვამს პირველ ადამიანის სახელს ადამი, მაგრამ მისი შთამომავალნი ადამის პირადი სახელიდან არ იწყება, სიტყვა ადამ-იანის ფუძე ადამია, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ბიბლია დაწერილია ქართველ წინასწარმეტყველთა მიერ ქართულ ენაზე.

15. ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი.

16. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან.

17. რადგანაც ამბობ მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და აღარაფერი მჭირდებაო, და არ კი იცი, რომ უბადრუკი ხარ და საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი.

18. გირჩევ იყიდო ჩემგან ოქრო, ცეცხლით გაწმენდილი, რათა გამდიდრდე, და სპეტაკი სამოსი, რათა შეიმოსო და აღარ გამოჩნდეს შენი სიშიშვლის სირცხვილი, და საოლავი უცხო თვალზე, რათა იხილო.

19. ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი, მაშ, ეშურე და შეინანე.

აქ საუბარია საქართველოზე და ქართველ ხალხზე, რადგან ამბობს „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი“ დიახ, არა ერთ ადგილზეა მოხსენიებული უფალი ღმერთის მიერ ისრაელისა და ქართველი ერისადმი უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემა, რასაც მომავალ თავებში კარგად დავინახავთ.

20. აჰა, კართან ვდგევარ და ვაკაკუნებ, თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას და კარს გამიღებს, შევალ მასთან და მასთან ვჭამ პურს, ხოლო  - ის ჩემთან.

21. მძლეველს ჩემს გვერდით დავისვამ ტახტზე, როგორც თავად ვძლიე და მამის ჩემის გვერდით დავჯექი მის ტახტზე.

22. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რასაც ეუბნება სული ეკლესიებს.

## თავი მეოთხე

1. შემდგომ ამისა, გავიხედე და, აჰა, კარი გაიღო ცაში. და ხმამ, რომელიც თავდაპირველად ჩამესმა, როგორც ხმა საყვირისა, მითხრა: ამოდი აქ და გიჩვენებ, რაც უნდა მოხდეს ამის შემდეგ.

2. და მყისვე ატაცებული ვიქმენ სულის მიერ, და, აჰა, იდგა ტახტი ცაში, ხოლო ტახტზე იყო მჯდომარე.

3. და მჯდომარე იასპისა და სარდიონის ქვას ჰგავდა სახით. და ცისარტყელა გადარკალულიყო ტახტის თავზე, სამარაგდის მსგავსი.

4. და ტახტის ირგვლივ ოცდაოთხი ტახტი, და მათზე მჯდომარე ოცდაოთხი უხუცესი, რომელთაც ემოსათ სპეტაკი სამოსი, და თავს ედგათ ოქროს გვირგვინნი.

5. და ტახტიდან გამოდიოდნენ ელვანი, გრგვინვა და გრიალნი, და ტახტის წინ ენთო შვიდი ლამპარი ცეცხლისანი, რომლებიც არიან ღმერთის შვიდი სული.

6. და ტახტის წინ თითქოს მინის ზღვა, მსგავსი ბროლისა, და ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ ოთხი ცხოველი, წინიდანაც და უკნიდანაც თვალებით სავსენი.

7. პირველი ცხოველი ლომს ჩამოგავდა, მეორე - კუროს, მესამე ცხოველს კაცის სახე ჰქონდა, ხოლო მეოთხე იყო მფრინავი არწივის მსგავსი.

8. და ამ ცხოველთაგან თვითეულს ექვსი ფრთა ესხა ირგვლივ, შიგნიდან თვალებით სავსენი, და არც დღისით და არც ღამით არა აქვთ მოსვენება, არამედ ღაღადებენ: წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო და რომელიც არის და რომელიც იქნება.

9. და როცა ცხოველნი დიდებას, პატივს და მადლიერებას მიაგებენ ტახტზე მჯდომარეს, რომელიც ცოცხალია უკუნითი უკუნისამდე.

10. ოცდაოთხი უხუცესი დაემხობა ტახტზე მჯდომარის წინაშე, და თაყვანს სცემენ ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე, და ტახტის წინ ყრიან თავიანთ გვირგვინებს, და ამბობენ:

11. ღირსი ხარ, უფალო, რომ მიიღო დიდება და პატივი და ძლიერება, რადგანაც შენ შექმენ ყოველი, და შენის ნებით არიან და შეიქმნენ.

# თავი მეხუთე

1. და ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში წიგნი, შიგნიდან და გარედან დაწერილი, და შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

2. და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, რომელიც ქადაგებდა ხმამაღლა: ვინ არის ღირსი იმისა, რომ გადაშალოს ეს წიგნი და ბეჭედი ახსნას მას?

3. და ვერავინ ვერ შეძლო, ვერც ცაში, ვერც მიწაზე და ვერც მიწის ქვეშ, გაეშალა ეს წიგნი და შიგნით ჩაეხედა.

4. და მე დიდ ხანს ვტიროდი, რადგანაც არავინ აღმოჩნდა იმის ღირსი, რომ გაეშალა ეს წიგნი და წაეკითხა, ან შიგ ჩაეხედა მაინც.

5. და ერთმა უხუცესთაგანმა მითხრა მე: ნუ სტირი; აჰა, იმძლავრა ლომმა იუდას ტომისაგან, დავითის ფესვმა, რომელიც გაშლის ამ წიგნს, და შვიდ ბეჭედს ახსნის მას.

6. და გავიხედე, და, აჰა, ტახტსა, ოთხ ცხოველსა და უხუცესთა შორის მდგომარე კრავი, როგორც დაკლული, შვიდ რქიანი და შვიდ თვალიანი, რომელნიც არიან შვიდი სული ღმერთისა, მთელს დედამიწაზე მოვლინებულნი.

7. და მოვიდა, და ტახტზე მჯდომარის მარჯვენიდან აიღო წიგნი.

8. და რა აიღო წიგნი, ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უხუცესი დაემხო კრავის წინაშე, და თვითეულს ჰქონდა ჩანგი და ოქროს თასი, საკმევლით სავსე, რომელიც არის წმიდათა ლოცვა.

9. და გალობდნენ ახალ საგალობელს, და ამბობდნენ: ღირს ხარ შენ წიგნის აღების და ბეჭდის ახსნისა, რადგანაც დაკლულ იქმენ, და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისთვის, ყოველი ენისა და ერისა და ხალხისაგან.

10. და მეფებად და ღმერთის ჩვენის მღვდლებად გვაქციე; და ვიმეფებთ ქვეყნად.

11. და ვხედავდი და მესმოდა ტახტის ირგვლივ მრავალი ანგელოზისა და ცხოველთა და უხუცესთა ხმა: და სიმრავლე მათი იყო ათასჯერ ათასი.

12. და ხმამაღლა ამბობდნენ ასე: ღირსია კრავი დაკლული, რომ მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, პატივი, დიდება და კურთხევა.

13. და მესმოდა, რომ ყველა ქმნილება, რომელიც არის ცაში თუ მიწაზე, მიწის ქვეშ თუ ზღვაში, და ყველაფერი, რაც არის მათში, ამას ამბობდა: ტახტზე მჯდომარეს და კრავს კურთხევა და პატივი, დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე.

ვიცით, რომ კრავი ცხვრის შვილია, ის ხომ ვერძის ძეა. ის ხომ აბსოლუტურად უცოდველი, უწყინარი ცხოველია და ამიტომაც აქვს უწმინდესი სისხლი, მას ხომ გარდაცვლილ ადამიანებს უკლავენ. რომ მათი სული განიწმიდოს ყოველგვარი უნებლიე ცოდვებისაგან. გვარი ცხვარაძე, ხომ ცხვრისაგან მოდის და განიმარტება ასე ცხვა-რა-ძე; რა ცხვა? ძე; ვისი ძე უფალი ღმერთის ძე. ე. ი. ცხვა-რა-ძე უფალი ღმერთისა ომარი; ო ქართულ დამწერლობაში იყო მრგვალი -ო მაგრამ ის როდესაც გავრცელდა მსოფლიოს ყოველ ენაში, მას შემდეგ შექმნეს ქართველებმა მართი კუთხე. ანუ გონიო. ე. ი. გონება ო-ს შესახებ. შემდეგ კი შემოიღეს დღევანდელი ო რაც ნიშნავს სიგმას, რომლის ორივე ფეხი უსასრულობაში მიდის, ხოლო მარე-მარიამი, არის სვანურ ენაზე კაცი, დედაკაცი. მაშინ ცხვარაძე ომარი ასე გამოითქმის ცხვა-რა-ძე ღვთისა ცოდნის კაცი, რადგან ო-ეს არის ცოდნის ამსახველი ასო ნიშანი და ასე გამოითქმის ო-ს ცოდნა, ო-ს ცნება, ციდან მოსული ზეციური

ღვთიური ცოდნა. ამდენად უფალმა ღმერთმა დამაკისრა ამელო მისი ხელიდან წიგნი და ამეხსნა ის აუცილებელი საჭიროების მიხედვით. ასე რომ შემთხვევით არაფერი ხდება, არამედ უფალი ღმერთის ნებით. ამიტომაა რომ ქართული გვარები ხშირად ძე-ზე და შვილზე მთავრდება და ესეც ადასტურებს უფალი ღმერთის უდიდეს ამაგს ქართველი ხალხის მიმართ, რომ მისი ძეები და შვილები ვართ უმრავლესობა.

სიტყვა მეცნიერი ქართული სიტყვაა და ნიშნავს მეპიროვნება ცისა და ერის ურთიერთობის შესახებ. აი ვინაა მეცნიერი და არა ის ვინც სოფელში ჩავიდა ნახა ორმოსავლიანი ლეღვი და დაწერა დისერტაცია, რომ შექმნა წელიწადიში ორ მოსავლიანი კულტურა. ასე გახდა მეცნიერი. მე არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ქართული სიტყვის ღრმა შინაარსი და ფუძე.

## თავი მეექვსე

1. და ვიხილე, რომ ახსნა ერთი შვიდ ბეჭედთაგანი, და მომესმა ოთხი ცხოველთაგან ერთ-ერთის მგრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა, მოდი და იხილე,

2. და აჰა, თეთრი ცხენი, და ზედ მჯდომარე მხედარი მშვილდოსანი; და მიეცა მას გვირგვინი; და გამოვიდა მძლეველი, რათა ძლიოს.

იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) ქართულად ჯუღა რკინის გამოდნობიდან დარჩენილი წიდას ნიშნავს და მისი შვილი ანუ ჯუღასშვილი, მასა არის რკინა და რკინიდან მიიღება ფოლადი მარგანეცის (ცოდნის) დამატებით. რუსულად „სტალ“, ხოლო სახელი იოსები იკითხება ასე: იდუმალება ო-ს ებმის, ი-იდუმალი, ო- კი ზეციური ღვთიური ცოდნაა. ამიტ-

ომაც ამბობს სტალინი „რომ ააშენო უნდა იცოდე და რომ იცოდე უნდა ისწავლო“. ამიტომაც იყო რომ სძლია ყოველ მტერს და არცერთი ბრძოლა არ წაუგია მოწინააღმდეგეებთან, პირიქით სათანადო რისხვა მიუგო ყველას, უფალი ღმერთის უშუალო დახმარებით.

3. და როცა ახსნა (განმარტა) მეორე ბეჭედი, მომესმა ხმა მეორე ცხოველისა, რომელმაც თქვა მოდი და იხილე.

4. და გამოვიდა სხვა ცხენი, წითელი, და მასზე მჯდომს მიეცა მიწიდან მშვიდობის აღხოცვის ძალა, რათა მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს, და მიეცა მას მახვილი დიდი.

მეორე ბეჭდის ახსნად მიმაჩნია, რომ შეიქმნა წითელი არმია, ამ არმიის შექმნამ, გაძლიერებამ ქვეყანა გააძლიერა და ამან გამოიწვია მოწინააღმდეგეთა ამოქმედება, რაც იმაში გამოიხატა, რომ დაერივნენ ერთმანეთს ქვეყნის შიგნით, ორი იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე ძალები, ერთი მხრივ წითელი არმია და მისი ხელმძღვანელობა და მეორე მხრივ თავად-აზნაურობა და მათი მომხრეები, თეთრგვარდიელები.

5. და როცა ახსნა მესამე ბეჭედი, მომესმა ხმა მესამე ცხოველისა, რომელმაც თქვა მოდი და იხილე. მე გავიხედე და აჰა, შავი ცხენი და მასზე მჯდომს ხელთ ეპყრა სასწორი.

6. და მომესმა ხმა ოთხ ცხოველს შორის, რომელმაც თქვა; კოფიო პური დინარად; და სამი კოფიო ქეიბი დინარად, ხოლო ღვინოსა და ზეთს ნუ ავნებთ.

იმ დროისათვის მთავრობაში შეყვანილი იყო ლენინის მიერ ცხრამეტი ებრაელი, ორი რუსი; ლენინი და ჩეჩერინი, ერთი ბალტიისპირელი, თითო, საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამდენად მთავრობის ყოველ გადაწყვეტილებას იღებდნენ დიდი უმრავლესობა ებრაელები, იდეოლოგიურად ისეთი ძლიერი პიროვნებები, როგორც იყვნენ: ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, იაგოდა და სხვები.

ამდენად მათთვის მისაღებ კანონებს ღებულობდნენ და ანხორციელებდნენ ქვეყანაში. ასეთი კანონები იყო მიღებული, „კანონი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ“, თუ ებრაელებზე ვინმე რაიმე საწინააღმდეგოს გააკეთებდა ან იტყოდა მათ ხვრეტდნენ. ამ „კანონით“ მაშინდელ რუსეთში დაიხვრიტა დაახლოებით ორ მილიონამდე კაცი. შემოღებული იყო კანონი, ქრისტიან მართლმადიდებლობის სალოცავების დანგრევისა და განადგურების სამღვდელოების აკრძალვისა და მოწინააღმდეგეთა დახვრეტის. უნდა ითქვას რომ ქვეყანაში თითქმის ყველა დიდი თანამდებობები ებრაელებს ეკავათ და ცდილობდნენ მთელი ძალაუფლება ხელში აეღოთ, და რუსეთში არსებული მოსახლეობის გამოყენებით, მთელი მსოფლიო დაემორჩილებიათ და ასე გამხდარიყვნენ მსოფლიოს ბატონი მბრძანებლები, ეს ხომ მათი იდეაა თავის დასაღუპავად და ამ იდეამ ისინი ყოველთვის დაღუპვამდე და განადგურებამდე მიიყვანა. მათი მოწინააღმდეგე იყო მხოლოდ ი. ბ. სტალინი და მას მხარს უჭერდა რამოდენიმე რუსი და სხვა პიროვნებები. რომ არა უფალი ღმერთის ნება სურვილი, რომ მსოფლიო ბატონი და მბრძანებელი თვით ღმერთია და ვინც მას შეეწინააღმდეგება განადგურდება, ამიტომ შეძლო ამ აზიელმა მუშის შვილმა ამდენი მოწინააღმდეგის დამარცხება და საბოლოო გამარჯვება ...

7. და როცა ახსნა მეოთხე ბეჭედი, მომესმა ხმა მეოთხე ცხოველისა, რომელმაც თქვა მოდი და იხილე.

8. და შევხედე, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა - სიკვდილი, და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას, და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გაავლოს მახვილითა და შიმშილით, სიკვდილით და მიწიერ მხეცთაგან.

იმ დროს ევროპის შუაგულში წარმოიშვა ჩალისფერი (მიხ-

აკისფერი) სასტიკი მტერი, გერმანელი ფაშისტების მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადოლფ ჰიტლერი და რომლის სატანურმა იდეებმა მოუტანა კაცობრიობას დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილი, უამრავი დაჭრილი, დაობლებული და დაქვრივებული, გაწამებული ოჯახები. მან მთელი ევროპა დაიმორჩილა და ცდილობდა მსოფლიოს ბატონობას, მაგრამ ისიც ებრაელებივით უფალ ღმერთის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის სასტიკად დაისაჯნენ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ებრაელთა და გერმანელთა ერთი და იგივე ინტერესი ერთი მეორეს შეეჯახა და ამიტომაც იყო, რომ გერმანელები, ებრაელებს ასე უმოწყალოდ ხვრეტდნენ და ანადგურებდნენ ...

9. და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, ვიხილე საკურთხევლის ქვეშ სულნი მოკლულთა, ღმერთის სიტყვისა და მოწმობისათვის, რომელნიც ჰქონდათ.

10. და შეღაღადეს ხმამაღლა და თქვეს, როდემდის, მეფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლისათვის მიწის მკვიდრთაგან?

11. და მიეცა მათ სპეტაკი სამოსი, და ითქვა მათ მიმართ, ცოტა ხნით კიდევ დამცხრალიყვნენ, ვიდრე არ გასრულდებოდა მათ თანა-მოძმეთა და ძმათა რიცხვი, რომელნიც, მათსავე მსგავსად, მოკლული უნდა იქნენ.

ყოველივე ეს ხდება სატანის აშვების შემდეგ; სატანის რიცხვია „ექვსას სამოცდა ექვსი“, ბაბუები, შვილები და შვილიშვილები.

ბოლო ოცდაათი წელია ქვეყანას, საქართველოს მართავს სატანები, რომლებიც შეუერთდნენ მსოფლიო სატანიზმს და შექმნეს ჩვენს ქვეყანაში სატანური მმართველობის სისტემა და კანონები. ამჟამად მოქმედებს შვილიშვილების თაობა და მათი ბოლო ჟამი დადგა ...

მათ „კარგად“ ისწავლეს საზღვარგარეთ მცხოვრები ზოგიერთი სატანებისაგან, როგორ უნდა გააღატაკონ, გაძარცვონ ქვეყანა და მისი მოსახლეობა, როგორ უნდა გამდიდრდნენ და როგორ უნდა მართონ გაღატაკებული ქვეყანა და მოსახლეობა. ამ ბოროტმოქმედებებს წინ აღუდგა ჭეშმარიტი მამულიშვილნი და ამ წინააღმდეგობის გამო მოკლულნი იქნენ სატანათა ბრძანებების მიხედვით; სატანათა მიერ. მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან, თუ როგორ ებრძოდა მათ დიდი ქართველი მამულიშვილი გურამ შარაძე, თუ როგორ მოკლეს უდანაშაულო პიროვნება, საათნახევარი ეგდო მისი ცხედარი ქუჩაში, აყურებინებდნენ მოასახლეობას დაშინების მიზნით და შემდგომ, როგორც იქნა წაიღეს მისი ცხედარი. ასეთი ფაქტები მკითხველმა მრავალი იციან და შეხსენება ამ პატარა წიგნში არ ჩავთვალე საჭიროდ.

ჩვენდა სავალალოდ ასეთ უცოდველ, მართალ კაცთა სულები სჭირდება უფალ ღმერთს, რომ ისინი გარდაიქმნან ანგელოზებად და დაბრუნდნენ დედამიწაზე მათი სულები, რომ სამაგიერო მიუზღან ყოველ ამის ჩამდენ სატანებს, მათ მხარდამჭერებსა და ამომრჩევლებს.

12. და როცა ახსნა მეექვსე ბეჭედი, და აჰა, იქმნა მიწისძვრა დიდი და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით განითლდა მთვარე.

13. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღვის ხე, მძვინვარე ქარით რხეულნი, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს.

14. და, გრაგნილივით შეგრაგნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ.

15. და მეფენი ქვეყნისა და მთავარნი, ათასისთავნი, მდიდარნი და ძლიერნი, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებს შეეფარნენ.

16. და მთებსა და კლდეებს შებღავლეს: დაგვემხეთ თავს, და ტახტზე მჯდომარის სახისა და კრავის რისხვისაგან დაგვიფარეთ;

17. რადგან მოვიდა დიადი დღე მისი რისხვისა, და ვინ შეძლებს დადგომას?

მეექვს ბეჭედი ჯერ კიდევ არ გახსნილა და ვფიქრობ, რომ მიმდინარე 2020 წლის ბოლომდე გაიხსნება, და თუ არა 2021 წლის ბოლომდე მაინც ის, ზუსტად უფალმა ღმერთმა იცის და ყველაფერს ის წყვეტს საჭიროების მიხედვით.

როგორც ჩემთვის ცნობილია სათანადო ხილვის მიხედვით, 2031 წლის 15 ივნისამდე ყოველი ბიბლიური წინასწარმეტყველება ბოლო ჟამის მიხედვით უნდა აღსრულედს. აქედან გამომდინარე ვსაუბრობ ამ გამოთვლებით, რადგან კიდევ დარჩა მეშვიდე ბეჭედი კრავის მიერ ამოსაცნობი და გასახსნელი.

ეს დიდი მიწისძვრა შემიძლია ვთქვა საქართველოში არ მოხდება, მაგრამ მთელ მსოფლიოს რომ შეეხება, მრავალი ბაბილონი, რომ დაინგრევა და გაქრება ეს გარდაუვალია, საამისო მიზეზები ძალზე ბევრია და ამ პატარა წიგნში ვერ მოვათავსებ, რადგანაც უსახსრობის გამო ძალზე მიჭირს წიგნების დაბეჭდვა და გამოცემა, თუმცა მოსახლეობას, ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას წიგნი არ აინტერესებთ, რადგან გასართობი საშუალებები, ნარკოტიკები ბლომად შემოაქვთ და მდიდრდებიან ჩვენი უგულო და უსვინდისო სატანები ...

რაც შეეხება კრავის რისხვისადმი შიშს, ეს უკვე მოხდა, როდესაც ხელში აიღეთ ჩემი წიგნი წაიკითხეთ და წინასწარ მიხვდით საკუთარ შეცდომებს. სწორედ ესაა ჩემი მიზანი, რომ ყოველმა კაცმა შაიტყოს წინასწარ რა მოელის საკუთარი საქმეთაებრ და გონზე მოვიდეს მიატოვოს ბოროტმო-

ქმედება, მოინანიოს ცოდვები და ასე გადარჩეს, გადაარჩინოს ქვეყანა და მისი შთამომავლობა.

## თავი მეშვიდე

1. და შემდგომ ამისა, ვიხილე ოთხი ანგელოზი, ქვეყნის ოთხავ კიდეზე მდგარი, და ეპყრათ ოთხი ქარი მიწისა, რათა არ აექროლა ქარს არც ხმელზე, არც ზღვაზე, და არც რომელიმე ხის მიმართ.

2. და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესძახა ხმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცა ვნება მიწის და ზღვისა:

3. ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღბეჭდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს.

4. და მომესმა აღბეჭდილთა რიცხვი: ას ორმოცდა ოთხი ათასი იყო აღბეჭდილი ისრაელის ძეთა ყოველი ტომისაგან.

იუდას, რუბენის, გაედის, ასერის, ნეფთალემის, მანასეს, სიმონის ლევის, ისაქაირის, ზაბულონის, იოსების, ბენიამინის: ტომებისაგან თითოეულის თორმეტ-თორმეტი ათასი საერთოდ კი ას ორმოცდა ოთხი ათასი აღბეჭდილთა რაოდენობა.

9. და შემდგომ ამისა გავიხედე, და აჰა, ურიცხვი სიმრავლე ხალხისა, რომლის აღრიცხვასაც ვერ შეძლებდა ვერავინ; ყოველი ხალხისა და ტომისაგან, და ერისა და ენისაგან იდგა ტახტის წინაშე და კრავის წინაშე, სპეტაკი სამოსით მოსილი, და ხელთ ეპყრა პალმის რტონი.

10. და ხმამაღლა ღაღადებდნენ ამბობდნენ: ხსნა ღმერთის ჩვენის, ტახტზე მჯდომარისა, და კრავისაგან მოდის.

11. და ყველა ანგელოზი, იდგა ტახტის, უხუცესთა და

ოთხი ცხოველის ირგვლივ, და პირქვე დაემხნენ ტახტის წინაშე, და თაყვანი სცეს ღმერთს.

12. და ამბობდნენ: ამინ. კურთხევა და დიდება, და სიბრძნე და მადლიერება, და პატივი და ძალა და სიმტკიცე ღმერთს ჩვენსას უკუნითი უკუნისამდე.

13. და მომმართა ერთმა უხუცესთაგანმა და მითხრა: ვინ არიან ეს სპეტაკი სამოსით მოსილნი, ან საიდან მოსულან?

14. და მე მიუგე მას უფალო, შენ იცი. და მან მითხრა მე: ესენი არიან დიდი ურვიდან მოსულნი, მათ გარეცხეს და კრავის სისხლით გაასპეტაკეს თავიანთი სამოსნი.

15. ამიტომაც არიან ღმერთის ტახტის წინაშე და მსახურობენ მას დღე და ღამ მისსავ ტაძარში, და ტახტზე მჯდომარე დაემკვიდრება მათში.

16. და აღარ მოშივდებათ მათ, არც მოსწყურდებათ, და არც მზე დაწვავთ და აღარც ხვატი.

17. რადგანაც კრავი, რომელიც არის ტახტის შუა, დამწყმსავს მათ; და სიცოცხლის წყლის წყაროსაკენ წარუძღვება მათ, და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს.

## თავი მერვე

1. და როცა ახსნა მეშვიდე მეშვიდე ბეჭედი, ასე ნახევარი საათით დუმილი ჩამოვარდა ზეცას.

2. ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც იდგნენ ღმერთის წინაშე და მიეცათ მათ შვიდი საყვირი.

7 და პირველმა ჩაჰბერა, და იქნა სეტყვა და ცეცხლი, სისხლში არეული, და მესამედი ხეთა დაიწვა, და მთელი მწვანე ბალახი დაიწვა.

8. და მეორე ანგელოზმა ჩაჰბერა, და თითქოს დიდი მთა,

ცეცხლით მოლაპლაპე, ჩავარდა ზღვაში, და ზღვის მესამედი სისხლად იქცა.

9. და ამოწყდა სულდგმულთა მესამედი, ზღვაში მცხოვრები, და ხომალდთა მესამედი დაიღუპა.

10. და მესამე ანგელოზმა ჩაჰბერა, და ჩამოვარდა ზეცით ლამპარივით მოელვარე ვეება ვარსკვლავი, და დაეცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა.

11. და სახელად ვარსკვლავისა ითქმის აფსინთი; და წყლის მესამედი აფსინთად იქცა, და მრავალი კაცთაგანი ამოწყდა წყალთაგან, რადგანაც მწარენი გახდნენ.

12. და მეოთხე ანგელოზმა ჩაჰბერა, და მოიწყლა მესამედი მზისა, მესამედი მთვარისა და მესამედი ვარსკვლავებისა, და დაბნელდა მესამეთი მათი; და აღარ ნათობდა მესამედი დღისა, ისევე როგორც ღამის!

12. და ვიხილე და ვისმინე შუა ცაში მფრინავი ერთი ანგელოზი, რომელიც მრგვინავი ხმით ამბობდა: ვაი, ვაი, ვაი მიწის მკვიდრთ საყვირის ხმათაგან დანარჩენი სამი ანგელოზისა, რომელნიც აწი ჩაბერავენ საყვირთ.

## თავი მეცხრე

1. და მეხუთე ანგელოზმა ჩაჰბერა, და ვიხილე ვარსკვლავი, რომელიც ზეცით ვარდებოდა ქვეყნად, და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ჭისა.

2. და გააღო უფსკრულის ჭა და ამოვარდა კვამლი ჭიდან, როგორც ვეება ღუმელის კვამლი, და დაბნელდა მზე და ჰაერი ჭის კვამლისაგან.

3. და გამოვიდა კვამლიდან კალიის გუნდი ქვეყნად და მიეცა მას ხელმწიფება, როგორიც აქვთ ხელმწიფება მიწის მორიელთ.

4. და ითქვა მათ მიმართ, რათა არ ავნონ რა არც ბალახს მიწისას, არც მწვანილს რასმე, არც ხეს რასმე, არამედ მხოლოდ კაცთ, რომელთაც არა აქვთ შუბლზე ღმერთის ბეჭედი.

5. და მიეცა მათ არა მოკვლა მათი, არამედ წამება მათი ხუთი თვე და წამება მათგან, როგორც წამება მორიელისაგან, როდესაც მოწყლავს კაცს.

6. და იმ დღეებში სიკვდილს დაუწყებენ ძებნას კაცნი, და ვერ ჰპოვებენ, და ინატრებენ, ნეტავ მოვკვდეთო, მაგრამ სიკვდილი დაუსხლტებათ მათ.

7. ხოლო კალიები მსგავსებით ცხენებსა ჰგვანდნენ, საომრად გამზადებულთ, და თავს ედგათ გვირგვინი, როგორც ოქროსი დი სახე მათი, როგორც სახე კაცთა.

8. და ჰქონდათ თმანი, როგორც დიაცთა თმანი, ხოლო კბილები მიუგავდათ ლოჯებს ლომისას ...

10 და ჰქონდათ კუდნი, მორიელთა კუდების მსგავსნი, ხოლო კუდებზე - ნესტარნი, და მათ კუდებში - ხელმწიფება კაცთა წამებისა ხუთი თვე.

როგორც ვიცით დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობამ შვიდ მილიარდ ნახევრამდე მიაღწია, ასე თუ გაგრძელდა მათი რაოდენობა ოცდახუთ მილიარდამდე მალე გაიზრდება და დედამიწაზე მიღებული მოსავალი მათ საკვებად აღარ ეყოფათ. ამის გამო წამოვიდა ზოგ გამდიდრებულ ადამიანთა მიერ წინადადება: „ოქროს მილიარდი". ამის თანახმად შექმნეს „თეორიული პროგრამა" დედამიწაზე დარჩეს მხოლოდ მილიარდერები, მულტიმილიონერები, მათი მოსამსახურე პერსონალი მუშებისა და მომსახურე პერსონალის სახით ერთი მილიარდ პიროვნების რაოდენობა, დანარჩენი ექვს მილიარდზე მეტი მოსახლეობა გაჟლიტონ და იცხოვრონ მხოლოდ მათ. თუმცა ბრძენ კაცის

მიერ ნათქვამია ადამიანები მსჯელობდნენ, ხოლო ღმერთი იცინოდა, რადგან არავინ იცოდა ის, რას ფიქრობდა და რას გააკეთებდა მომავალში, ვინ ბოროტმოქმედთ გაანადგურებდა; უფალი ღმერთის, კეთილ, მშრომელ, მორწმუნე ადამიანებს დაიცავდა და შეუქმნიდა ყოველგვარ პირობებს მათ და მათ შთამომავლობას მომავალში ბედნიერად ეხცოვრათ. საამისოდ უბრძანა უფალმა ღმერთმა მის ანგელოზებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც წუხს შექმნილი უმძიმესი, გაუსაძლისი მდგომარეობის გამო აღნუსხული იქნან უფალი ღმერთის ნიშნით. რადგან მათ არავითარი ძალა უფალი ღმერთისა რისხვის სახით არ შეეხებათ და უეჭველად გადარჩებიან, ხოლო ვისაც არ ექნება უფალი ღმერთის ნიშანი შუბლზე ყველანი მოყვებიან უფალი ღმერთის რისხვის ქვეშ და განადგურდებიან; რომ დამყარდეს სიმართლე და მისგან გამომდინარე სამართალი, რომლითაც უნდა იცხოვროს კაცობრიობამ მომავალში.

11. და მეფედ ჰყავდათ უფსკრულის ანგელოზი, და სახელი მისი ებრაულად აბადონ, ხოლო ბერძნულად აპოლიონ.

13. და მეექვსე ანგელოზმა ჩაჰბერა, და მომესმა ერთი ხმა ოთხ რქათაგან ოქროს საკურთხევლისა, რომელიც არის ღმერთის წინაშე;

14. და უთხრა მეექვსე ანგელოზს, საყვირის მქონეს: ახსენი ოთხი ანგელოზი, რომელნიც შეკრულნი არიან დიდ მდინარეზე ევფრატისა.

15. და ახსნილი იქნა ოთხი ანგელოზი, რომელნიც მზად არიან ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელს, რათა მუსრი გაავლონ მესამედს კაცთა.

16. და რიცხვი მათი მხედრობისა - ორასი ათასჯერ ათასი; მომესმა რიცხვი მათი.

17. ასე ვიხილე ხილვით ცხენები და მათი მხედრები, რომ-

ლებსაც ეცვათ აბჯარნი ცეცხლის ჰიაკინთისა და გოგირდის ფერნი. თავები ცხენებისა, როგორც ლომების თავნი, და პირთაგან იფრქვევოდა ცეცხლი, კვამლი და გოგირდი.

18. და ამ სამი წყლულებისაგან - ცეცხლის, კვამლისა და გოგირდისაგან, რომელსაც აფრქვევდნენ მათი პირნი, მესამედი ამოწყდა კაცთა.

19. რადგან ცხენების ძალა იყო მათ თავ-პირსა და მათ კუდებში; ხოლო კუდები გველებისა ჰგავდნენ, და ჰქონდათ თავნი, რომლებითაც ვნებდნენ კაცთ.

20. ხოლო სხვა კაცთა, რომელნიც არ ამოწყდნენ ამ წყლულებისაგან, არ შეინანეს თავიანთი ხელთა საქმენი, რათა თაყვანი არ ეცათ ეშმაკთა და ოქროს, ვერცხლის, რვალის, ქვისა და ხის კერპთათვის, რომელთაც არც ხედვა ძალუძთ, არც სმენა და არც სვლა.

21. და არ შეინანეს არც თავიანთი მკვლელობა და არც თავიანთი მწამვლელობა, არც თავიანთი სიძვა და არც თავიანთი მპარაობა.

## თავი მეათე

1. და ვიხილე სხვა ანგელოზი ძლიერი, რომელიც ჩამოდიოდა ზეცით, და ემოსა ღრუბელი; და მის თავზე ცისარტყელა, ხოლო სახე მისი, როგორც მზე და ფეხნი მისნი, როგორც სვეტნი ცეცხლისა.

2. და ხელთ ეპყრა გადაშლილი წიგნი. და დააბრჯინა მარჯვენა ფეხი ზღვას, ხოლო მარცხენა მიწას.

3. და წარმოთქვა მრგვინავი ხმით, როგორც ბრუხუნებს ლომი. და როცა დაიგრგვინა, შვიდმა ქუხილმა გაიღო თავისი ხმა.

4. და როცა შვიდმა ქუხილმა გაიღო თავისი ხმა, მე დავა-

პირე წერა; მაგრამ მომესმა ხმა ზეცით, რომელმაც მითხრა: დაბეჭდე, რათა თქვა შვიდმა ქუხილმა, და ნუ დაწერ.

5. და ანგელოზი, რომელიც ვიხილე ზღვისა და ხმელზე მდგარი, თავისი ხელი აღაპყრო ზეცად,

6. და დაიფიცა ცოცხალი უკუნითი უკუნისამდე, რომელმაც შექმნა ცა და ყოველივე ციური, და მიწა და ყოველივე მიწიერი, და ზღვა და ყოველივე ზღვიური, რომ უკვე აღარ იქნება დრო,

7. არამედ იმ დღეებში, როცა ხმას გაიღებს მეშვიდე ანგელოზი, როცა ის ჩაჰბერავს საყვირს, აღსრულდება ღმერთის საიდუმლო, რომელიც მან ახარა მონებს თვისას - წინასწარმეტყველთ.

8. და ხმამ, რომელიც მომესმა ზეცით, კვლავ მითხრა მე: მიდი და აიღე გადაშლილი წიგნი ხელიდან ანგელოზისა, რომელიც დგას ზღვასა და ხმელზე.

9. და მივედი ანგელოზთან, და ვუთხარი მას: მომეცი მეთქი წიგნი; და მითხრა მე: აიღე და შეჭამე იგი; და გაგიმწარებს მუცელს, მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი.

10. და ავიღე წიგნი ანგელოზის ხელიდან, და შევჭამე იგი, და ეტკბილა პირს ჩემსას, როგორც თაფლი, მაგრამ, რა შევჭამე, გაამწარა მუცელი ჩემი.

აქაა სიბრძნე, რომელიც მიგვითითებს, რომ როცა წერ ფულის შოვნაზე არ ფიქრობ, მაშინ ნახევრად მშიერი ხარ, ხოლო როცა საუბრობ ცოდნით ბედნიერი ხარ.

11. და მითხრა მე: კვლავიდნებურად გმართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის.

არაერთხელ მომიხდა წიგნის, მით უმეტეს გადაშლილ წიგნის ხელში აღება და თავიდან ბოლომდე წაკითხვა; ვინაიდან ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარი და უცნობი იყო. რასაც მეტს ვწვალობდი, ვკითხულობდი მით მეტსა და მეტს

ვიგებდი. მაგრამ იყო ისეთი საკითხები რომლებიც რაც არ უნდა მეწვალა ვერ ვგებულობდი და ბევრს ვფიქრობდი; თუმცა გადიოდა ცოტა თუ საკმაო დრო და ანგელოზის მიერ კარგა ხმამაღლა ჩამესმოდა განმარტება ამა თუ იმ საიდუმლოსი. მერე ვხდებოდი თუ რა იოლი ყოფილა ახსნა განმარტება და მე მის გარეშე ვერ ვახერხებდი საიდუმლოს ამოხსნას. ასეთ ჩემს მფარველ და დამხმარე ანგელოზს, მის ჩემს მიმართ მომავლინებელ უფალ ღმერთს უდიდესი მადლობა და დიდება უკუნითი უკუნისამდე.

## თავი მეთერთმეტე

1. და მომცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი, და ითქვა ჩემდა მიმართ: ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი და საკურთხეველი, და თაყვანის მცემელნი მასში.

2. ხოლო ეზო, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, გამორიცხე, და ნუ გაზომავ მას; რადგანაც მიეცა იგი წარმართთ, და დათრგუნავენ წმიდა ქალაქს ორმოცდაორი თვე.

3. და მივცემ ორ მოწმეს ჩემსას, და იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოცი დღე, ძაძით მოსილნი.

4. ესენი არიან ორი ზეთისხილი და ორი სასანთლე, რომელნიც დგანან დედამიწის უფლის წინაშე.

5. და თუ ვინმე მოინდომებს მათს ვნებას, ცეცხლი გამოვა მათ პირიდან, და შეჭამს მათს მტრებს; და თუ ვინმე მოინდომებს მათს ვნებას, ამგვარად მოკლულ უნდა იქნეს.

ყოველმა ბოროტმოქმედმა, სატანამ უნდა იცოდეს, რომ ღმერთის კაცთ არ შეეხონ, არ გაალიზიანონ, არ განაწყონ მის მიმართ მტრულად თორემ, მას ბევრი რამ შეუძლია უფალი ღმერთის ნებით გაუკეთოს სამაგიეროდ; დააქციოს თვითონ, მისი ოჯახი და მხარდამჭერები. ანათემაზე (ხატზე)

გადაცემა ნიშნავს უდანაშაულო ადამიანის გაქურდვისა და განამებისათვის ყოველი კაცი მოვალეა თხოვოს უფალ ღმერთს, შეიგნოს მისი სიმართლე და მის მიმართ ყოველი დამნაშავე მოიყვანოს გონზე, ჭკუაზე, რომ მისი უდანაშაულობა დააფასოს, თვითონ გადაწყვიტოს ეს საიკითხი. დამერწმუნეთ რომ უფალი ღმერთი ასეთ წმიდა, მართალ კაცთა თხოვნას აუცილებლად შეასრულებს და გაცილებით უფრო მკაცრად დასჯის დამნაშავეთ ...

6. ამათ აქვთ ხელმწიფება ზეცის დახშვისა, რათა არ წვიმდეს, წინასწარმეტყველების მათის დღეებში; და აქვთ ხელმწიფება წყალთა მიმართ, რათა აქციონ სისხლად და მოწყლან ქვეყანა, როდესაც ნებავთ, ყოველგვარი წყლულით.

7. და როდესაც აღასრულებენ წინასწარმეტყველებას მათსას, მხეცი, უფსკრულიდან ამომავალი, შეებრძოლება მათ, და შემუსრავს მათ, და მოაკვდინებს მათ:

8. და მათი ცხედრები დაიყრება მოედანზე დიდ ქალაქისა, რომელსაც სულიერად ეწოდება სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს აცვეს მათი უფალი.

9. და მრავალი ხალხთა და ტომთაგან, და ენათა და ერთაგან სამ დღენახევარს უყურებენ მათ, და არავის დაანებებენ საფლავად დადებას მათსას.

10. და მიწის მკვიდრნი იხარებენ და ილხენენ მათ გამო, და ძღვენს უძღვნიან ერთმანეთს, რადგანაც ამ ორმა წინასწარმეტყველმა აწამა მიწის მკვიდრნი.

11. მაგრამ სამნახევარი დღის შემდეგ სიცოცხლის სული შევიდა მათში ღმრთისაგან, და ორივენი წამოდგნენ ფეხზე; და თავზარი დაეცა ყველას, ვინც კი უმზერდა მათ.

12. და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც უთხრა მათ: ამოდით აქ. და ავიდნენ ისინი ზეცას ღრუბლით და იხილეს ისინი მათმა მტრებმა.

13. და იმავ საათს იქმნა მიწისძვრა დიდი, და მეათედი ქალაქისა დაიქცა, და ამოწყდა მიწისძვრისას შვიდი ათასი სახელი კაცის; და სხვები შეძრწუნდნენ. და დიდება მიაგეს ღმერთს ცისას.

15. და მეშვიდე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს, და გაისმა ცაში გრგვინვა, რომელიც ხმობდა: სამეფო ქვეყნისა გახდა სამეფო უფლის ჩვენისა და მისი ქრისტესი; და იმეფებს უკუნითი უკუნისამდე.

17. და თქვეს: გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ და რომელიც იყავ და რომელიც იქნები, რომ მიიღე დიადი ძალა შენი და ჰსუფევ.

18. და წარმართნი განრისხდნენ, და მოვიდა რისხვა შენი, და ჟამი მკვდართა განსჯისა და ნაცვალგების შენისა - მონათა, წინასწარმეტყველთა, წმიდათა და სახელის შენის მოშიშთა, დიდთა თუ მცირეთა მიმართ, და მიწის დამღუპველთა დაღუპვისა.

19. და გააღო ტაძარი ცაში, და გამოჩნდა კიდობანი მისი აღქმისა მისავ ტაძარში. და იქმნა ელვა და ქუხილი, გრგვინვა, მიწისძვრა და სეტყვა დიდი.

## თავი მეთორმეტე

1. და გამოჩნდა ცაში სასწაული დიდი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე, და მთვარე იყო მის ფეხქვეშ, და თავს ედგა თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინი.

2. და მუცლად ელო, და კიოდა სალმობისას და შობის ტკივილებისაგან.

3. და გამოჩნდა სხვა სასწაული ცაში და აჰა, წითელი ურჩხული დიდი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა, და თავს ედგა შვიდი გვირგვინი.

4. და კუდი მისი მოითრევდა მესამედს ცის ვარსკვლავე-ბისას, და გადმოყარა ისინი ქვეყნად, და დადგა ურჩხული ქალის წინაშე, რომელსაც უნდა ეშვა, რათა, როდესაც შობდა, შთაენთქა მისი შვილი.

5. და შუა მან ძე, რომელსაც რკინის კვერთხით უნდა დაემწყემსა ყველა წარმართი, და წარტაცებული იქნა მისი ძე ღმრთისა და მისი ტახტის მიმართ.

6. და ქალი ილტვოდა უდაბნოში, სადაც აქვს თავისი ადგ-ილი, გამზადებული ღმერთის მიერ, რათა არჩენდნენ ის ათას ორას სამოცი დღე.

9. და გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური; გადმოვარდა ქვეყნად, და თან გადმოყვნენ მისი ანგელოზნი.

10. და მომესმა მრგვინავი ხმა ცაში, რომელმაც თქვა: აწ იქმნა ხსნა და ძალი და სუფევა ჩვენის ღმერთისა და ხელმწიფება მისი ქრისტესი, რადგანაც დაემხო ბრალმდებე-ლი ჩვენი ძმებისა, რომელიც ბრალს სდებდა მათ ჩვენი ღმერთის წინაშე დღისით და ღამით.

11. და მათ სძლიეს მას კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით, და არ შეიყვარეს სული მათი, ვიდრე სიკვდილამდე.

12. მაშ გიხაროდეთ, ცანო და თქვენც, ვინც მკვიდრობთ მათში. ვაი მიწის და ზღვის მკვიდრთ, რადგანაც ჩამოხდა თქვენდა მიმართ ეშმაკი, სასტიკი რისხვით სავსე, ვინაიდან იცის, რომ ცოტალა დარჩა ხანი.

13. და როცა იხილა ურჩხული, რომ დაემხო ქვეყნად, დევნა დაუწყო ქალმა, რომელმაც შვა ვაჟი ...

17. და განრისხდა ურჩხული ქალზე, და გასწია, რათა შეჰბმოდა დანარჩენებს მისი მოდგმისაგან, რომლებიც იმარხავენ ღმერთის მცნებას, და აქვთ მოწმობა იესოსი.

ამ თავში მოთხრობილია იმ სატანის წარმოშობის, მისი მოსვლის ყველა ის საქმე, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ და ვიხილეთ ცხოვრებაში „სატანის აშვება და მისი მოქმედება ჩვენს ქვეყანაში. ახლა კი მოქმედებას აგრძელებს სხვა ქვეყანაში, თუმცა დარჩა მცირედი დრო და ვნახავთ თუ როგორ დამთავრდება მისი სატანური ბოროტმოქმედებანი საერთოდ, ხოლო მის მიერ ცდუნებულნი რა დღეში ჩაცვივდებიან ამ უახლოეს მომავალში. რაზედაც საუბარია ზემოთ ...

## თავი მეცამეტე

1. და დავდექ ქვიშაზე ზღვისა, და ვიხილე მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ათრქიანი და შვიდთავიანი; და მის რქებზე - ათი გვირგვინი, და მისი თავებზე სახელნი გმობისანი.

2. და მხეცი, რომელიც ვიხილე, ჯიქსა ჰგავდა, და ფეხნი მისი როგორც დათვის ფეხნი, და ხახა მისი, როგორც ხახა ლომისა; და მისცა მას ურჩხულმა ძალა მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი.

ეს თავი ეძღვნება იმ ფაქტებს რაც აქამდე ხდებოდა, დღეს ხდება და კვლავ გაგრძელდება, თუმცა დადგა ბოლო ჟამი მათი ცხოვრებისა და მალე განვთავისფლდებით მათი ხელმწიფების, მათი ნარჩენი სატანებისა და მხარდამჭერებისაგან ...

3. და ვიხილე ერთ-ერთი თავი მისი, თითქოს სასიკვდილოდ მოწყლული, და განიკურნა სასიკვდილო წყლულება მისი, და განცვიფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ.

დიახ უნდა გვახსოვდეს რომ სატანა, ურჩხული, რომელსაც მიეცა ხელმწიფება დიდი და ქვეყანას მართავდა, მას იმ მცდარი აზრით, რომ მას მოკლავდნენ და მის ადგილს დაიკავებდა, მისმა ე. წ. მეგობარ სატანამ შეასვა ძლიერი სა-

წამლავი, რომლითაც ის მისი აზრით უნდა მომკვდარიყო, მოწამლულის გადასარჩენად გამოუძახეს სასწრაფოს და მას გარკვეული მიზეზებით დააგვიანდა დაახლოებით ორმოცდაორი წუთი, თუმცა უფალი ღმერთის ნებით ის გადარჩა, სიცოცხლე შეინარჩუნა, სატანური საქმიანობა გააგრძელა, რომ ორმოცსაუკუნოვანი ძილის შემდეგ ქართველი ხალხი როგორმე გამოეღვიძებია, მაგრამ მათ ჯერ კიდევ სძინავთ. ამიტომაა რომ სატანა კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს და ელის კვლავ დაბრუნებას, ასევე ელოდებიან მისი მხარდამჭერი სატანები მის დაბრუნებას, მაგრამ ამის იმედი ტყუილა აქვთ და თუ გონს არ მოვლენ ისინი გახდებიან ამ უაზრო წინააღმდეგობათა მსხვერპლნი ზემოთ მოყვანილი და აწ წარმოთქმულ მიზეზთა გამო ...

4. და თაყვანი სცეს ურჩხულს, რომელმაც მისცა მხეცს ხელმწიფება, და თაყვანი სცეს მხეცს და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცის მსგავსი? ვინ შეძლებს მასთან ბრძოლას?

5. და მიეცა  მას პირი მზვაობრად მეტყველი და მგმობელი; და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე.

მისი მოღვაწეობის სამწელნახევარია, ყველაზე აქტიური, როდესაც ის გააფთრებით ებრძვის მის მოწინააღმდეგე მართალ ხალხს და აწამებს მათ ციხეებსა და ცხოვრებაში. და თუ დაბრუნდა ის უნდა ვიცოდეთ რამდენჯერმე გააუარესებს მის ბოროტმოქმედებას, რომ ორმოცი საუკუნის მიძინებული ერი როგორმე გამოაღვიძოს. ეს მოხდება თუ ქართველმა ხალხმა, ამომრჩევლებმა არ გამოიფხიზლეს - არ გამოიღვიძეს.

6. და განახვნა ბაგენი თვისნი საგმობლად ღმრთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი.

7. და მიეცა მას ძალა წმიდათა მიმართ ბრძოლისა, და მათი ძლევისა, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა მბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს.

8. და მიწის ყოველი მკვიდრი, რომელნიც არ არიან ჩაწერილნი სიცოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან დაკლული კრავის, თაყვანს სცემს მას.

9. ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

10. ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება; ვინც მახვილით ჰკლავს სხვას, თვითონაც მახვილით მოკვდება. აქაა წმიდათა მოთმინება და რწმენა.

11. და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი; და ჰქონდა ორი რქა მსგავსი კრავისა, და იზრახდა, როგორც ურჩხული.

12. და მოქმედებს მის წინაშე პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით და აიძულებს მთელს დედამიწას და მის მკვიდრთ, თაყვანი სცენ პირველ მხეცს, ვისი სასიკვდილო წყლულებაც განიკურნა.

პირველი მხეცის მიმართ, მისი მოწამვლისა და განკურნების შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ; ამჟამად საუბარია იმ მეორე მხეცზე, რომელიც კოჰაბიტირებული და შეთანხმებულია პირველ მხეცთან და ამით შედარებით რბილად მაგრამ იგივეს, ქვეყნისა და მოსახლეობის გაძარცვა, გაღატაკებას კვლავ აგრძელებენ, იქნებ როგორმე გამოაღვიძონ, ამდენი ხნის მიძინებული ხალხი, რომ მიხვდნენ არავითარი თანხა, ქრთამი და სხვა დაპირებები არ ღირს იმ წამების მისაღებად, რასაც ისინი კიდევ ოთხი წლით გვიმზადებენ. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დღევანდელმა ხოლმძლვანელობამ მოსვლისთანავე გააუქმეს კანონი დანაშაულთა რაოდენობის შეკრებით მიიღონ საბოლაო განაჩენი. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ამ კანონის მიმღები ნაციონალები დაეზოგათ და ხანგრძლივად პატიმრობაში არ

ჰყოლოდათ. ამავე დროს იციან მათ თუ რა მოელით მომავალში, როდესაც მოუწევთ ქვეყნის მართვის დატოვება და ამით ისარგებლონ, სატანა მოსამართლეთა დიდი უმრავლესობა დატოვეს ე. წ. მუდმივ მოსამართლეებად, რომ მათი პასუხისმგებლობისას გაითვალისწინონ მათი ნაცნობობა, მეგობრობა, მოქრთამვა და მცირედ სასჯელს მოიხდიან.

13. და იქმს დიად სასწაულთ, ისე რომ ზეცით ჩამოაქვს ცეცხლი კაცთა წინაშე.

14. და აცდუნებს მიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომელთა ქმნაც მიეცა მას მხეცის წინაშე, და ეტყვის მიწის მკვიდრთ, შექმნან ხატი მხეცისა, რომელსაც აქვს წყლული მახვილისაგან და არის ცოცხალი.

15. და მიეცა იმის ძალა, რომ სული ჩაუდგას მხეცის ხატს, რათა ხატი მოქმედებდეს და მეტყველებდეს, და იქმოდეს იმას, რომ ვინც თაყვანს არა სცემს მხეცის ხატს, მოკლულ იქნეს.

16. და იქმს იმას რომ ყველა, მცირე თუ დიდი, მდიდარი თუ ღატაკი, თავისუფალი თუ მონა, ყველა აღიბეჭდოს ნიშნით მათს მარჯვენა ხელსა თუ შუბლზე.

17. და ვერავინ იყიდის ან გაყიდის რასმეს, გარდა იმისა, ვისაც აქვ ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი.

18. აქაა სიბრძნე, ვისაც აქვს გონება, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, ვინაიდან ესაა რიცხვი კაცისა; და რიცხვი მისი ექვსას სამოცდაექვსი.

ვიცით ბუნების კანონი: 1 + 1= 3-ის ე. ი. მდედრს დაუმატოთ მამრი შვილთან ერთად არის სამი ერთი ოჯახი; მაგრამ შვილი ხომ უნდა დაქორწინდეს და დაუკავშირდეს მეორე ოჯახს რომ წარმოიშვას ახალი თაობა, ამიტომ პირველ სამი-

ანი მიუმატოთ მეორე სამიანს მივიღებთ პირველ ექვს, ერთ თაობას, ბაბუების თაობას, ასევე წარმოიშობა მეორე თაობა შვილებისა და მესამე თაობა შვილიშვილებისა. ქორწინების დროს მოქმედებდა სოციალურად თანასწორუფლებიანი ოჯახების ურთიერთკავშირი: მეფე - მეფეთა შთამომავალს უკავშირდებოდა, თავადი - თავადს აზნაური აზნაურს, შეძ-ლებული შეძლებულს და გლეხი - გლეხს, ასე რომ გვაქვს კეთილშობილთა თაობები და სატანათა თაობები. ის ბაბუე-ბი, რომლებიც იდეოლოგიურად ეწინააღმდეგებოდა ახალ-გაზრდა საბჭოთა ქვეყანას, რომ აეშენებინათ სოციალურად თანასწორუფლებიანი, ძლიერი ქვეყანა, კიდეც ააშენეს. თვით თავად-აზნაურობა შეძლებული ოჯახები ცდილობენ იცხოვრონ უდარდელად შრომისა და ოფლის დაღვრის გარეშე, თანაც უშრომელად და კარგად; ხოლო გლეხობისა და მუშათა კლასს უნდა ეშრომათ და მათი ოჯახები ერჩინათ, ხოლო თვითონ ორთაჭალის ბაღში ექეიფათ.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ ორ ურთიერთ საწი-ნააღმდეგო ძალებს შორის იყო დაუსრულებელი, უსამართ-ლო ომი. ამიტომ მოუხდა საბჭოთა ხელმძღვანელობას გამოეყენებინა ძალა მოსახლეობის შედარებით უკეთ ცხოვრებისა და ქვეყნის აღმშენებლობისთვის და ეს ბრძოლა თუ როგორ დამთავრდა უნდა იცოდეთ, სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა სატანიზმი, რომლის არსებობის ძირითადი მიზანი იყო: ჯერ ბაბუების თაობა, შემდგომ შვილების თაობა და შემდგომ რევანშისტი შვილიშვილების თაობა, რომლებიც დღეს მართავენ ქვეყანას.

ვხედავთ მათ თუ როგორ „უყვართ სამშობლო“, „მოყვასი“ და „შთამომავლობა“. მათ ხომ ყველაფერი გააკეთეს პირადი გამდიდრების მიზნით. გაეყიდათ საქართველოს მოსახლეო-ბის მიერ შექმნილი სახალხო ქონება, გაეღატაკებიათ

ქვეყანა მისი მოსახლეობა; რაც „კარგად“ მოახერხეს ბოროტმოქმედებითა და სატანური სულისკვეთებით; მათ საქართველო გადაიყვანეს განვითარებად ქვეყანათა სიაში, როგორც არ შემდგარი ქვეყანა. მაშინ როდესაც საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისას გააჩნდა დაახლოებით 560 მილიარდი მანეთის უძრავ-მოძრავი ქონება, ყოველი შრომისუნარიან მოქალაქეებს ჰქონდათ სამუშაო და ცხოვრობდნენ ნორმალურად. მრავალ ოჯახს ჰქონდა ბანკებში შენახული დანაზოგები და პენსიონერები იღებდნენ ღირსეულ პენსიებსა და არსებობის ნორმალურ პირობებს. საქართველოს გააჩნდა დაახლოებით 120 მილიარდი მანეთი ბანკებში. ყველა ეს ქონება შეჭამეს და მიითვისეს სატანათა შვილიშვილებმა.

ბოლო ოცდაათი წელია რევანშისტ სატანათა შვილიშვილებმა მოახდინეს სახელმწიფო, სახალხო, მოსახლეობის არსებული ქონებათა უკანონო კანონებით მითვისება, პირად საკუთრებაში დაკანონება; ასე გახდნენ ამდენი მილიონერები, მულტიმილიონერები, მილიარდელნი და გაღატაკებულ, მოშიმშილე მოსახლეობას სისტემატურად ატყუილებდნენ, გროშებს გადაუგდებენ და არჩევნების გაყალბების გზით მოდიან ქვეყნის სამართავად, რომ რაც გადაურჩა წინამორბედ სატანურ ძალას ისიც შეჭამონ, მიითვისონ და საქართველო როგორც ქვეყანა გაანადგურონ ან გათქვიფონ სხვა ქვეყანათ ხალხის ცხოვრებაში.

სადღეისოდ საქართველოს გააჩნია დაახლოებით აშშ ოცი მოლიარდი დოლარის საგარეო ვალი, ორჯერ მეტი საშინაო ვალი, ამავე დროს მიიღეს საზღვარგარეთიდან დაახლოებით ოცდაათი მილიარდი აშშ დოლარის დახმარება, ყველა ეს შეჭამეს, მიითვისეს და მადა იმდენად გაეზარდათ კიდევ დიდ ხანს მოუნდათ ქვეყნის მართვა... მაშინ როდესაც

უფალი ღმერთი სხვანაირად ფიქრობს და ყოველივე ამას შევიტყობთ მისი ნებით ამ წიგნიდან ...

ჩემი მოვალეობაა: განვმარტო უფალი ღმერთის მიერ მოწოდებული იდუმალება თქვენთვის გასაგებ ენით და ამის შემდეგ უნდა იფიქროთ, იაზროვნოთ, გამოიღვიძოთ თუ როგორ ვიმოქმედოთ მომავალში. დრო სწრაფად მიდის და ჩვენ არ დაგვიცდის, თუ გონს მოვალთ გადავრჩებით, არ მივალთ დავიღუპებით ...

ჩემი ბედნიერება ისაა, რომ ამ ზეციური ღვთიური ცოდნით გადავარჩინო მრავალი, საკუთარ ცოდვებში გახვეული ადამიანი დაღუპვას, მიეცეს მას სამომავლო ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა.

## თავი მეთორმეტე

1. და გავიხედე: და აჰა კრავი სიონის მთაზე მდგომარე, და მასთან ას ორმოცდა ოთხი ათასი, რომლებსაც შუბლზე აწერიათ მისი და მამის მისის სახელი.

ეს ადამიანები არიან მორწმუნე ისრაელიტები და კრავთან ერთად მზად არიან იბრძოლონ; ქვეყნის, მოყვასის და შთამომავლობის გადასარჩენად; უფალი ღმერთისა და რწმენის სადიდებლად, რომლებიც აღბეჭდილნი არიან უფალი ღმერთის ანგელოზთა მიერ მათ შუბლებზე.

2. და მომესმა ხმა ზეცით, როგორც ზათქი მრავალი წყლისა. და როგორც ხმა გრგვინვის, და მომესმა ხმა მეჩანგეთა, რომელნიც უკრავდნენ თავიანთ ჩანგებს.

3. და გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე, და ოთხი ცხოველისა და ხუცესთა წინაშე, და ვერავინ შეძლო ამ საგალობლის სწავლა, გარდა ასორმოცდაოთხი ათასისა, ქვეყნისაგან გამოსყიდულის.

4. ესენი არიან, რომელნიც არ შეიბილწნენ ქალებთან, რადგანაც არან ქალწულნი; ესენი არიან გამოსყიდულნი, კაცთაგან, როგორც ღმერთისა და კრავისათვის პირველნაყოფნი.

5. და მათ ბაგეთათვის უცხოა ტყუილი, რადგანაც უბიწონი არიან ღმერთის ტახტის წინაშე ...

8. და მეორე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა, დაემხო ბაბილონი, დიდი ქალაქი, რადგანაც ასვა ღვინო მისი სიძვის რისხვისა ყველა ხალხს.

იმ დროს, როდესაც ბიბლია დაიწერა იყო ერთი დიდი ქალაქი ბაბილონი, რომელიც თავისი სიმდიდრით, ძალით ქუხდა მთელ დედამიწაზე და ყოველ სხვა ქვეყნებს, ქალაქებს მის ნებაზე ათამაშებდა საკუთარი ინტერსებიდან გამომდინარე. საკუთარი სარგებლობის მიხედვით იყენებდა ყველას, აუძლურებდა, ქურდავდა და თვითონ მდიდრდებოდა. ყოველი მის მიერ დაჩაგრული ქვეყანა მოსახლეობა სისტემატიურად წყევლიდა და ღმერთს აწუხებდა მის გასანადგურებლად, ამ ცოდვებმა მიაღწიეს უფალ ღმერთამდე და ისიც იძულებული გახდა ერთ საათში დაენგრია ეს ქალაქი ბაბილონი.

სადღეისოდ; ხალხმრავალი რამოდენიმე ქვეყანაში არსებობენ ბაბილონის მსგავსი ქალაქები, მათ შესაძლოა ანალოგიური რისხვა მიიღონ ღმერთს მიერ, რადგან უფალი ღმერთის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, ამავე დროს მიწის სიღრმიდან ყოველგვარი ბუნების კანონების დაცვის გარეშე ამოტუმბავენ მრავალ ნავთობს, ჩნდება სიცარიელები, რაც გამოიწვევს დიდი ქალაქების ჩანგრევას მიწაში. რასაც მოყვება უამრავი მსხვერპლი და უკვე მოპოვებული სიმდიდრეთა განადგურება. სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებს უფალი ღმერთი წინასწარ, წინასწარმეტყველთა მიერ, რასაც უახლოეს მომავალში მოვისმენთ და ვიხილავთ..

9. და მესამე ანგელოზები მოსდევდა მას, და ამბობდა ხმამაღლა; ვინც თაყვანს სცემს მხეცს, ან ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი, ან ხელი მისი ნიშნით.

10. და სვამს ისიც ღმერთის რისხვის ღვინოს, რომელიც შეზავებულია წმინდად მისივე რისხვის სასმისში, და ეწამება გოგირდითა და ცეცხლით წმინდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის.

თუ დავაკვირდებით ქვეყნის ხელმძღვანელთა შენობებს, კაბინეტებს მათ შუბლზე აზის სატანის ხატი. ე.წ. საქართველოს „გერბი“. რომელიც მათ მართავს როგორც ცოცხალი და აკეთებს ბოროტმოქმედ სატანურ საქმეებს: ქვეყნის და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ; ახდენს უდიდეს ზეწოლას, ჩვენს ეკონომიკაზე ისე, რომ თუ არ ვიმოქმედეთ მალე შიმშილით ამოვწყდებით.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ამას ყოველ სახელმწიფო მოხელეზე, მოსამართლეზე ვამბობდე, მაგრამ ჩვენი საქმე, რომ კარგად ვერ მიდის, მგონი ამას უნდა ვხვდებოდეთ!

11. და კვამლი მათი წამებისა ავა უკუნითი უკუნისამდე და არ ექნებათ მოსვენება, არც დღისით და არც ღამით მხეცისა და მისი ხატის თაყვანის მცემელთ, ანდა მისი სახელის ნიშნით აღბეჭდილთ.

12. და მომესმა ხმა ზეცით, რომელმაც მითხრა: დაწერე; ნეტარ არიან მკვდარნი, რომელნიც მოკვდებიან უფლის მიერ ამიერიდან. ჰო, ამბობს სული, რათა განისვენონ თავიანთი შრომისაგან, და საქმენი მათნი კვლავინდებურად მიჰყვნენ მათ.

ვწერ მხოლოდ სიმართლეს, რაც შევიმეცნე ჩემი გონებით და გიამბეთ თქვენ. თუ შევცდი; უფალო ღმერთის და თქვენს მიმართ გთხოვთ პატიებას და შენდობას, ცოდვათა მიტევებას.

# თავი მეთხუთმეტე

1. და ვიხილე სხვა სასწაული ცაში, დიდი და საკვირველი: შვიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი წყლულება უკანასკნელი, რადგანაც მათით სრულდებოდა ღმერთის რისხვა.

2. და ვიხილე თითქოს მინის ზღვა, ცეცხლშერეული, და მძლეველნი მხეცისა და მისი ხატისა და მისი ნიშნისა და ხელთ ეპყრათ ღმერთის ჩანგები.

3. და გალობდნენ მოსეს, ღმერთს მონის საგალობელს და საგალობელს კრავისას და ამბობდნენ დიდნი და საკვირველნი არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო, ყოვლის მპყრობელო, მართალნი და ჭეშმარიტნი არიან გზანი შენი, ხალხთა მეუფეო.

4. ვის არ ეშინოდეს, უფალო და არ ადიდებდეს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმინდა და ყველა ხალხი მოვა და თაყვანისცემად დაემხობა შენს წინაშე; რადგანაც გამოცხადდა სამართალი შენი.

5. და შემდგომ ამისა გავიხედე, და აჰა, გაიღო ტაძარი მოწმობის კრავისა ცაში.

6. და გამოვიდა ტაძრიდან შვიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ წყლულება შვიდი, სულის წმიდა და ბრწყინვალე სამოსით მოსილნი, და მკერდზე ოქროს სარტყლით შემოგარსულნი.

7. და ერთმა ოთხცხოველთაგანმა მისცა შვიდ ანგელოზს შვიდი თასი ოქროსი, აღვსილნი უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი ღმერთის რისხვით.

8. და აივსო ტაძარი ღმერთის დიდებისა და მისი ძლიერების კვამლით და არავის შეეძლო ტაძარში შესვლა, ვიდრე არ აღსრულდებოდა შვიდი ანგელოზის წყლულება შვიდი.

# თავი მეთექვსმეტე

1. და მომესმა ტაძრიდან მრგვინავი ხმა, რომელმაც შვიდ ანგელოზს უთხრა: წადით და დასთხიეთ შვიდი თასი ღმერთის რისხვისა ქვეყნად.

სწორედ ამ შვიდი ანგელოზის მიერ გადმოღვრილი შვიდი თასი, სავსე უფალი ღმერთის რისხვით, უნდა გადმოიღვაროს დედამიწაზე და ყოველი ბოროტმოქმედი სატანები უნდა გაანადგუროს ძირფესვიანად; თუ გონს არ მოვლენ და არ მოინანიებენ ჩადენილ ცოდვებს: ღმერთის, ქვეყნის, მოყვასის შთამომავლობის მიმართ.

2. და წავიდა პირველი, და დაანთხია თავისი თასი ქვეყნად. და მოიწყლნენ სასტიკი და საზარელი წყლულებით კაცნი, რომელთაც ჰქონდა მხეცის ნიშანი და თაყვანს სცემდნენ მის ხატს.

3. და მეორე ანგელოზმა დასთხია თავისი თასი ზღვაზე, და იქმნა სისხლი, როგორც მკვდრისა, და ყოველი სულდგმული ამოწყდა ზღვაში.

4. და მესამემ დასთხია თავისი თასი მდინარეებსა და წყაროებზე, და სისხლად იქცა.

5. და მომესმა ხმა წყალთა ანგელოზისა, რომელიც ამბობდა: მართალი ხარ, უფალო, რომელიც ხარ, და იყავ, და წმიდა, რადგანაც ასე განსაჯე.

6. რაკი ღა დასთხიეს წმიდათა და წინასწარმეტყველთა სისხლი, ამიტომაც სასმელად სისხლი მიეცი მათ: ღირსნი არიან ამის!

7. და მომესმა ხმა საკურთხევლიდან, რომელიც ამბობდა: ჰო, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, მართალნი და ჭეშმარიტნი არიან სასჯელი შენნი.

8. და მეოთხემ დასთხია თავისი თასი მზეზე: და მიეცა მას კაცთა დაწვა ცეცხლით.

9. და დაიწვნენ კაცნი სასტიკი სიცხით, და ჰგმეს სახელი ღმრთისა, და არ შეინანეს, რათა დიდება მიაგონ მას.

ამ სტრიქონებში ნათლად სჩანს, ბოროტმოქმედთა რისხვით დასჯა; თუ როგორ სამართლიან განწყობას ანიჭებს მართალთ. ღმერთი იმდენად დიდსულოვანია, რომ ერთხელ კიდევ აძლევს შანსს ყოველ ბოროტმოქმედთ, აღიარონ საკუთარი დანაშაული და პატიება ითხოვონ, რომ შეუნდოთ მათ შეგნებულად თუ უნებლიედ ჩადენილი ცოდვები, რომ მიიღონ ნაკლები რისხვა დასასჯელად ან პატიება.

10. და მეხუთემ დასთხია თავისი თასი მხეცის ტახტზე, და დაბნელდა საუფლო მისი; და იკვნეტდნენ თავიანთ ენებს სიმწრისაგან.

11. და ჰგმობდნენ ღმერთის ციურს თავიანთი სიმწრისა და თავიანთ წყლულებათა გამო, და არ შეინანეს საქმენი თავისნი.

12. და მეექვსემ დასთხია თავისი თასი დიდ მდინარეზე ევფრატისა, და დაშრა მისი წყალი, რათა გამზადებულ იქნეს მეფეთა გზა, რომელნიც მოდიან მზის აღმოსავლეთით.

მინიშნებულია ის მეფეები, რომლებიც მოდიან მზის აღმოსავლეთით და თან მოაქვთ წარსულის ბოროტმოქმედებანი, უფალი ღმერთის, მისი ერის, ქვეყნის, მოსახლეობის მიმართ ჩადენილი მიუტევებელი ცოდვები ქრისტიან მართლმადიდებლობის რწმენის მიმართ, რაც მწარე წარსულმა დაგვიტოვა და ისტორიამ ჩაიბარა.

13. და ვიხილე ურჩხულის პირით, მხეცის პირით და ცრუწინასწარმეტყველთა პირით გამომავალი სამი უწმინდური სული, გომბეშოს მსგავსნი,

14. რადგანაც არიან ეშმაკთა სულნი, სასწაულმოქმედნი; და გამოდიან მთელი ქვეყნის მეფეთა მიმართ, რათა საბრძოლველად შეკრიბონ ისინი ყოვლისმპყრობელი ღმერთის იმ დიად დღეს.

ისინი ვინც იკვებებიან უწმიდური ცხოველთა ხორცით, გაუწმიდურებულნი არიან და ამავე დროს ცდილობენ შეეცილონ ღმერთს ქვეყნის მართვაში, დაამარცხონ ის და თვით გახდნენ ქვეყნის ერთმმართველნი. ამის შემდეგ მათ ხელში გადავა მათი აზრით მთელი მოსახლეობის ბედი და ვისაც სურთ მოსპობენ და ვისაც სურთ დატოვებენ: მოსამსახურეებად, მუშებად, მომვლელებად და ა. შ. ასეთი ხალხმრავალი ქვეყნები მრავალია და ვნახავთ მათ, რომ იგივე უფალი ღმერთი თუ როგორ წაართმევთ ხალხმრავლობის სიხარულს მონგოლებივით დატოვებს მცირე მოსახლეობის დონეზე.

15. და აჰა, მოვალ, როგორც მპარავი; ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავ თავის სამოსს, რათა შიშველი არ ვიდოდეს, და ხედავდნენ მის უხამსოებას.

16. და შეკრიბა ისინი იმ ადგილას, რომელსაც ებრაულად ეწოდება არმაგედონ.

17. და მეშვიდემ დასთხია თავისი თასი ჰაერში, და მომესმა ციური ტახტიდან, და მრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა აღსრულდა.

18. და იქნა ელვა და ქუხილი, გრგვინვა და მიწისძვრა დიდი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა მას აქეთ, რაც კაცნი არიან ქვეყნად.

19. და სამ ნაწილად გაიყო ქალაქი დიდ, და ხალხთა ქალაქნი დაემხენ, და ბაბილონი მოხსენიებული იქნა ღმერთის წინაშე, რათა მიეცეს მას სასმისით ღვინო მძვინვარების მისი რისხვისა.

რა თქმა უნდა ყოველ ნორმალურ კაცს არ უნდა გაუხარდეს ეს უბედურება, მაგრამ რა უთხრათ იმ ქალაქის მერებს, მთავრობებს, ხელმძღვანელებს, რომელბმაც კარგად იციან რომ თბილისი სეისმურად არამდგრადი ქალაქია

და ცხრა სართულიან შენობაზე მეტი მაღალი შენობის აშენება არ შეიძლება, თუმცა ბევრი ფულისა და სწრაფად გამდიდრების მიზნით მაინც აშენებენ მაღალ მრავალ-სართულიან შენობებს, ამით რაც უბედურება მოხდება და ცოდვა დატრიალდება ყველა ეს მათ კისერზე და ოჯახის წევრებზე მოვა ...

20. და ყოველი კუნძული გაუჩინარდა, და გაქრნენ მთანი.

21. და სეტყვა ტალანტის ოდენა, თავს დაატყდა ზეციდან კაცთ, და ჰგმო სეტყვით მოწყლულმა ხალხმა სახელი ღმრთისა, ვინაიდან მძიმე იყო წყლულება მისი.

ბოროტეულთა ბოლო ჟამი, ასე წარიმართება უფალი ღმერთის რისხვით დედამიწაზე მცხოვრებ დამნაშავეთა მიმართ. ყოველივე მეტი სიზუსტით, რომ განვმარტო, მაშინ ძალზე გაიზრდება წიგნის მოცულობა და ისედაც სძულთ წიგნის კითხვა და მაშინ საერთოდ არ მოკიდებენ ხელს და არ წაიკითხავენ, რომ წინასწარ იყვნენ მზად, ფხიზლად და მომ-ზადებულნი მოსალოდნელი რისხვიდან თავის დასაღწევად. სწორედ ამიტომ გვამზადებს უფალი ღმერთი ჩვენ წინას-წარი გაფრთხილებით ...

## თავი მეჩვიდმეტე

1. და მოვიდა ერთი შვიდ ანგელოზთაგანი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი თასი, და მითხრა მე, და თქვა: მოდი და გიჩვენებ შენ სასჯელს დიდი მეძავისას, რომელიც ზედ აზის მრავალ წყალს.

2. და რომელთანაც ისიძვეს ქვეყნის მეფეებმა, და ქვეყნის ყოველი მკვიდრი დაითრო ღვინით მისი სიძვისა.

ეს ქალაქი დღეს ძალზე ცნობილია, მას მინიშნება ამხელს თუ რას წარმოადგენს, თუ როგორ მართავს ის ქვეყნის მე-ფეებსა და მართველებს; მაგრამ არ სურთ გაიგონ, რომ ეს

ფუნქცია უფალი ღმერთისაა და ამით მას ეცილება მსოფლიო ბატონობისა ყოველი ქვეყნის მართვის საქმეში. სწორედ ამიტომ მოიწევა მასზე უფალი ღმერთის უსასტიკესი რისხვა და შესაძლებელია საერთოდ გაქრეს. სადღეისოდ ასეთ დედაქალაქები საკმაოდ არის?

3. და წამიყვანა მე სულით უდაბნოში, და ვიხილე ქალი, რომელიც აჯდა წითელ მხეცს, რომელსაც გმობის სახელებით სავსეს; შვიდი თავი ჰქონდა და ათი რქა.

4. ხოლო ქალს ემოსა პორფირი და ძოწეული, ოქროთი, პატიოსანი ქვითა და მარგალიტებით შემკული; ხელთ ეპყრა ბარძიმი, სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმიდურებით.

5. და ეწერა სახელი შუბლზე: საიდუმლო, ბაბილონი, დიდი, მეძავთა და მიწიერ სიბილწეთა დედა.

მინიშნებულია, რომ ეს დიდი დედაქალაქები არის გარყვნილების ბუდე და აუცილებელია ასეთი ქალაქთა დარისხება და შეშფოთება.

6. და ვიხილე, რომ ქალი მთვრალი იყო წმიდათა სისხლით, და იესოს მოწმეთა სისხლით, და მიკვირდა, მის მხილველს, საკვირველებით დიდით.

მსმენია ასეთი ქალაქების შესახებ, სადაც ცხოვრობდნენ ე. წ. დედოფლები, რომლებიც ღრმად მოხუცებულნი არიან და დიდხანს რომ იცოცხლონ ამისათვის მიირთმევენ ახალგაზრდა ბავშვების ორგანოებს და გადაისხამენ მათ ახალგაზრდა სისხლს. ეს ამბავი არ იმალება და ვრცელდება უსასტიკესი ჩადენილ ცოდვათა გამო და თვით ასეთმა დედაქალაქის ხელმძღვანელობამ არ იცის ამის შესახებ? ამიტომაც ასეთი დიდი დედაქალაქები შესაძლოა მიწის შიგნით აღმოჩნდნენ. რადგან ამ უსასტიკესი მიუტევებელი ცოდვათა გამო არავინ იბრძვის და ამიტომაც ასეთი ქალაქები დაიქცევა ბაბილონივით.

7. და მითხრა ანგელოზმა: რა გიკვირს? მე გეტყვი შენ საიდუმლოს ქალისას და მისი მტვირთველი მხეცისას, რომელსაც აქვს შვიდი თავი და ათი რქა.

8. მხეცი, რომელიც იხილე, იყო, და აღარ არის, და ამოვა უფსკრულიდან და წარწყმენდილად წავა, და გაკვირდებიან მიწის მკვიდრნი (რომელთა სახელებიც ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან) როცა იხილავენ მხეცს, რომელიც იყო, და აღარ არის, და მოვა.

9. აქ არის გონება, რომელსაც აქვს სიბრძნე; შვიდი თავი შვიდი მთა არის, რომელზედაც ზის ქალი; (ანუ დედა-ქალაქი).

10. და შვიდი მეფე, რომელთაგან ხუთი დაემხო, ერთი არის, ხოლო სხვა არ მოსულა ჯერაც, მაგრამ როდესაც მოვა, დიდხანს ვერ გაძლებს.

11. და მხეცი, რომელიც იყო და აღარ არის, მერვეა შვიდ თავთაგან, და წარსაწყმენდელად წავა.

12. და ათი რქა, რომელიც იხილე, ათი მეფეა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ მეფობა, როგორც მეფენი მიიღებენ ხელმწიფებას ერთი საათით, მხეცთან ერთად.

13. ერთი აზრი აქვთ, და თავიანთ ძალასა და ხელმწიფებას მიცემენ მხეცს.

14. ისინი შეებრძოლებიან კრავს, და სძლევს მათ კრავი, რადგანაც არის უფალი უფლებათა და მეუფე მეუფეთა და მასთან მყოფნი ხმობილნი არიან და სარწმუნონი და რჩეულნი.

15. და მითხრა მე წყალნი, რომელნიც იხილე, სადაც ზის მეძავი, ხალხი არიან და ბრბონი, ერნი და ენანი.

16. და ათი რქა, რომლებიც იხილე და მხეცი, ესენი მოიძულებენ მეძავს და გააჩანაგებენ და გააშიშვლებენ მას, და შეჭამენ მის ხორცს, და ცეცხლით დაწვავენ მას.

17. რადგანაც ღმერთმა ჩაუდო მათ გულში აღასრულონ ვიდრე არ აღსრულდებიან სიტყვანი ღმრთისა.
18. და ქალი, რომელიც იხილე, არის ქალაქი დიდ, რომლის მეუფებასაც ჰმორჩილებს ქვეყნის ყოველი მეფე.

## თავი მეთვრამეტე

1. და შემდგომ ამისა, ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ჩამოდიოდა ზეცით, და ჰქონდა ხელმწიფება დიდი და მისი დიდებისაგან განათდა მიწა.
2. და შეღაღადა, და ხმამაღლა თქვა: დაემხო, დაემხო ბაბილონი, დიდი, და ეშმაკთა სამკვიდროდ, და ყოველი უწმიდური სულის სამყოფლად, და ყოველი უწმიდური და ბილწი ფრინველის საბუდრად იქცა.
3. რადგანაც მისი სიძვის მძვინვარე ღვინით დაითრო ყველა ხალხი, და ქვეყნის მეფეებმა ისიძვეს მასთან, და ქვეყნის ვაჭარნი დამდიდრდენ ფუფუნების მისის სიუხვით.
4. და მომესმა მეორე ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: გამოდი მაგისგან, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიაროთ მის ცოდვებს, და არ მოიწყლათ მისი წყლულებით.
5. რადგანაც უწიეს მისმა ცოდვებმა ზეცას, და გაიხსენა ღმერთმა უსამართლობა მისი.

ცნობილია, თუ რომელი ქალაქი, ქვეყანა და მათი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რა მიუტევებელ ცოდვებსაც სჩადიან საქართველოს, ქართველი ხალხის მიმართ, რა იდეოლოგიურ თუ ფიზიკურ ბრძოლას ეწევიან ისრაელიტთა მიმართ. თუ ვინ ადგილობრივნი მოისყიდეს და ათასობით, ათიათასობით, მილიონობით აშშ დოლარებს უხდიან ყოველთვიურად რომ საქართველო გააღატაკონ, გააჩანაგონ და

როგორც ქვეყანა გაანადგურონ, მისი მოსახლეობა მოსპონ თანდათანობით, ვინც გადარჩება გარყვნან, გაათახსირონ, გაქურდონ, გაანარკომანონ და გათქვიფონ სხვა ხალხთა შორის. მათ წარმოდგენა არ აქვთ ამ მიუტევებელ ცოდვებს, რომ სჩადიან უფალი ღმერთის , მისი ერის, ენის, ქვეყნის მიმართ; ჰგონიათ ეს ყველაფერი შერჩებათ? ზოგიერთი ერი, ქვეყნები ამ ბინძურ საქმის მიმართ უამრავ მიუღებელ ცოდვებს სჩადიან და აიძულებენ, მოქრთამავენ, ყოველთვიურ ხელფასებს უხდიან ე. წ. ქართველ და არა ქართველ, გვარ გამოცვლილ მოღალატეებს რომ რაც შეიძლება დააჩქარონ მათი ბოროტი მიზნების მიღწევა. თუმცა უფალი ღმერთი ძალზე დიდი და უძლეველია; ის მოუღებს ბოლოს, ბოლოდანაშაულს, კანგამოცვლილ გველებს წაართმევს სიცოცხლეს, მოღალატე, ქვეყნის და მოსახლეობის გამყიდველებს დედაბუდიანად გაანადგურებს და ყოველივე ამის დანახვის შემდეგ გადარჩენილი ქართველი ხალხი, მორწმუნე ისრაელიტები მიხვდებიან, დაინახავენ და მთელი გულით, სულით შეიყვარებენ და თაყვანს სცემენ უფალ ღმერთს და მორწმუნე ქართველ ხალხს. ხოლო მთელი მსოფლიოს კეთილშობილი, გადარჩენილი ხალხი მისაგებელს, ძღვენს საჩუქრებს ჩამოუტანენ და მიართმევენ უფალ ღმერთს, რომელიც: დაივანებს მის სავანეში, მის დასასვენებელ, ფეხის დასადგამ, შერჩეულ ამ ადგილზე. მისი ნებით ყოველი გადარჩენილი მოსახლეობა იცხოვრებს ოთხასი წელი მშვიდობიანად, ბედნიერად გაბრწყინებულ ქვეყნებში; ხოლო ამის შემდეგ გამოჩნდება ბოროტების თესლის მარცვალი, გაიღვიძებს, აღმოცენდება და გამრავლდება თანდათანობით. მესამე ათასწლეულის ბოლომდე, და მესამე ათასწლეულის ბოლოს ისევე განმეორდება როგორც ჩვენთან მოხდა მეორე ათასწლეულში, მის ბოლო საუკუნეში...

6. მიაგეთ მას, როგორც მან მოგაგოთ თქვენ, და საქმეთა მისთაებრ ორმაგადაც მიაგეთ მას; სასმისით, რომლითაც გასმევდა თქვენ, ორმაგად ასმევდეთ მას.

ეს არის უფალი ღმერთის დავალება და ჩვენ ამას გავაკეთებთ თუ არა ეს უკვე ჩვენი საქმეა; რადგან საკმარისად დაისჯებიან უფალი ღმერთის სასტიკი რისხვით.

ჩვენ კიდევ დამატებითი ცოდვები არაფერში გვჭირდება, მაგრამ უფალი ღმერთი გვპირდება, შეგნებულად ჩადენილ ცოდვათა მიტევებას. ნურცერთ ერს, ქვეყანას ნუ ეგონება, რომ მათ მიერ ჩადენილი უსასტიკესი ცოდვები ჩვენთვის უცნობია, პირიქით; დედამიწა შევიდა უფალი ღმერთის, სამყაროს მართვის ნათელ სივრცეში; მოძრაობისას ყოველი ბოროტება, საქმიანობა ცნობილია და ხილული გახდა ჩვენთვის...

7. რადგანაც თავი მოჰქონდა დიდებით და ფუფუნებით; იმდენი ტანჯვა და ვაება მიაგეთ მას, რადგანაც გულში ამბობს: ვზივარ დედოფლად, და არ ვარ ქვრივი და არ ვიხილავ გლოვას.

8. ამიტომაც მოვლენ ერთ დღეს მისი წყლულებანი, და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვის ცეცხლით, რადგანაც ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც განსჯის მას.

9. და იტირებენ და ივაგლახებენ მის გამო ქვეყნის მეფენი, რომელნიც სიძვით და ფუფუნებით ცხოვრობდნენ მასთან, როდესაც იხილავენ მისი ხანძრის კვამლს.

10. და მისი ტანჯვის შიშით შორს გამდგარნი ასე იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბაბილონო, მძლავრო ქალაქო! რადგანაც ერთ საათს მოვიდა განკითხვა შენი.

11. და ქვეყნის ვაჭარნი იტირებენ და ივაგლახებენ მის გამო, რადგანაც არავინ იყიდის საქონელს მათსას.

12. ოქროსა და ვერცხლის საქონელს, პატიოსანი ქვისას

და მარგალიტისას, და ბისონისას და პორფირისას და აბრეშუმისას და ძოწეულისას, ...

## თავი მეცხრამეტე

1. და შემდგომ ამისა მომესმა ცაში მრგვინავი ხმა, რომელიც ამბობდა: ალილუია! ხსნა და დიდება და პატივი და ძალი უფალ ღმერთს ჩვენსას!

2. რადგანაც ჭეშმარიტი და მართალნი არიან მსჯავრნი მისნი, ვინაიდან განსაჯა დიდი მეძავი, რომელმაც თვისი სიძვით გახრწნა ქვეყანა, და იძია მისი ხელიდან მონათა თვისთა სისხლი.

3. და მეორედ თქვეს: ალილუია! და კვამლი მისი ადის, უკუნითი უკუნისამდე.

5. და გამოვიდა ხმა ტახტით, რომელმაც თქვა; აქებდეთ ღმერთს ჩვენსას ყოველი მონა მისი, და მოშიშნი მისნი მცირენი თუ დიდნი ...

11. და ვიხილე გახსნილი ცა, და აჰა, თეთრი ცხენი, და მასზე მჯდომს ეწოდება სარწმუნო და ჭეშმარიტი, რადგანაც სიმართლით განსჯის და იბრძვის ...

ამიტომაა, თეთრი გიორგი მხეცთა მიერ დატყვევებული, რომ მათ მიცემოდათ შესაძლებლობა, რომ ეს ნახევრად მიძინებული ამომრჩეველნი კიდევ და კიდევ მოატყუილონ, რომ დიდხანს დარჩნენ ქვეყნის მართვის სათავეში; ამიტომ განსაკუთრებით უნდა შევიყვაროთ სიმართლე, სამართალი და მართლმადიდებლური რწმენა, რომ მივაღწიოთ ჩვენი მიზნების, უფალი ღმერთის ნების აღსრულებას ჩვენს ქვეყანაში და მთელ დედამიწაზე.

14. და ციური მხედრობა მოსდევდა მას, თეთრ ცხენზე ამხედრებული, და სპეტაკი და წმიდა ბისონით მოსილი.

15. და მისი ბაგეთაგან გადმოდიოდა მახვილი ორლე-სული, რათა მოსრას წარმართნი, და მწყემსავდეს მათ რკინის კვერთხით; და დაწურავს ყოვლისმპყრობელი ღმერთის რისხვისა და გულისწყრომის ღვინის საწნახელით.

16. და აწერია სამოსსა და თეძოს თავზე მისი სახელი: მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა.

17. და ვიხილე ანგელოზი ერთი, მზეზე მდგომარე, და ხმამაღლა შესძახა, და უთხრა შუა ცაში მფრინავ ყველა ფრინველს: მოდით და შემოკრბით დიდ სერობაზე ღმრთისა.

18. რათა ჭამოთ ხორცი მეფეთა და ხორცი ათასისთავთა, და ხორცი ძლიერთა და ხორცი ცხენთა და მხედართა, ხორცი ყველა თავისუფლისა და მონისა, მცირესი თუ დიდის.

სიტყვა თავისუფალი ასე განიმარტება თავის-უფალი, ე. ი. შენა ხარ შენი თავის უფალი? ამით შენ უარყოფ უფალ ღმერთს და შენი თავის ღმერთად წარმოიდგენ შენს თავს. მაშინ როდესაც ყოველი კაცის თავის უფალი ღმერთია და მას გინდა თუ არ გინდა ემორჩილები მას, მის ნება სურვილს და შენს ჭკუაზე თუ დადიხარ ღმერთის გარეშე, მაშინ კარგად ყოფილა შენი საქმე. ასეთებია მხოლოდ სატანები და სატანიზმის მონა მორჩილები და ამიტომაც მიდის მათი საქმე უკუღმა ...

19. და ვიხილე მხეცი და ქვეყნის მეფენი და მხედრობა მათი, შეკრებილნი, რათა შებრძოლებოდნენ ცხენზე მჯდომს და მხედრობას მისას.

20. და შეპყრობილი იქნა მხეცი და მასთან ერთად ცრუ წინასწარმეტყველიც, რომელმაც ქმნა მის წინაშე სასწაულნი, რომლებითაც აცდუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მისი ხატის თაყვანისმცემელნი, და ჩავარდა ორივე გოგირდით მოგიზგიზე ცეცხლის ტბაში.

21. ხოლო დანარჩენნი მოისრნენ ცხენზე მჯდომის

მახვილით, რომელიც გამოდიოდა მის ბაგეთაგან, და ყველა ფრინველი მიაძღა მათ მძორს.

ასე მოხდება, თუ ჩვენ არ გავიმარჯვებთ 2020 წლის არჩევნებში, არ გავათავისუფლებთ წმიდა გიორგის: მხეცე-ბის, ლომების, მათი ბოკვერების, სატანათა ზეწოლისაგან, არ ჩამოვიღებთ სატანის ხატს და ძირს არ დავანარცხებთ; რომ გაუხსნათ წმიდა გიორგის საჰაერო სივრცე უფალ ღმერთთან კავშირისათვის, და არ მივცემთ შესაძლებლო-ბას, რომ მთელი ძალით, ცოდნით, უფალი ღმერთის შემწეო-ბით მოვახერხოთ ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გადარ-ჩენა, აღმშენებლობის დაწყება და გაბრწყინებულ საქართ-ველოში შთამომავლობის ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვე-ვაში ჩვენი ტანჯვა-წამებით მიმდინარე ცხოვრება ისევ გაგ-რძელდება, მანამ ვიდრე ჩვენ გონს არ მოვალთ და ბარაბას ნაცვლად იესო ქრისტეს არ ავირჩევთ ჩვენს წინამძღოლად.

## თავი მეოცე

1. და ვიხილე ანგელოზი, ჩამომავალი ზეცით, რომელსაც ჰქონდა გასაღები უფსკრულისა, და ხელთ ეპყრა ჯაჭვი გრძელი.

2. და შეიპყრო ურჩხული, გველი დასაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შეკრა იგი ათასი წლით.

3. და ჩააგდო იგი უფსკრულში, და დახშა კარი, და დაბეჭდა იგი, რათა ველარ აცდუნებდეს ხალხებს, ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი; ხოლო შემდგომ ამისა თავს დაიხსნის მცირედი ხნით.

4. და ვიხილე ტახტნი, და მათზე მსხდომარენი, და მიეცათ მათ მსჯავრი, და იესოს მოწმობისა და ღმერთის სიტყვისათ-ვის თავმოკვეთილთა სულნი, რომლითაც თაყვანი არ სცეს

არც მხეცსა და არც მის ხატს (ე. წ. საქართველოს გერბს) და არ მიიღეს მისი ნიშანი, თავიანთ შუბლსა თუ ხელზე, და ცხონდნენ და სუფევდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს.

ეს უცოდველი ადამიანები არიან ვინც თაყვანი არ სცა სატანებს; ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ქვეყნის სატანურ მმართველობას ...

5. ხოლო დანარჩენი მკვიდრნი არ ცხონდნენ, ვიდრე ათასი წლის გასრულებამდე; ეს არის არდგომა პირველი.

6. ნეტარია და წმინდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე, არამედ იქნებიან მღვდელნი ღმრთისა და ქრისტესი, და ექნებათ სუფევა მასთან ერთად ათას წელს.

ესენია ის ადამიანები პიროვნებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყანაში სატანების, სატანიზმის არსებობას და ეწინააღმდეგებოდნენ მათ უკანონო, უსვინდისო, მტაცებლურ კანონთა შექმნას და მათ ცხოვრებაში გატარებას, ამ უკანონო კანონებით გააღატაკეს ქვეყანა, მისი მოსახლეობა, გაყიდეს ყველაფერი და „დაიკანონეს“ თვითონ ...

7. ხოლო ათასი წლის გასრულების შემდეგ სატანა დაიხსნება თავისი სპყრობილედან.

8. და გამოვა, რათა აცდუნოს ხალხნი, რომელნიც არიან ქვეყნის ოთხსავ კუთხეში, გოგი და მაგოგი, რათა საბრძოლველად შეკრიბოს ისინი, რომელთა სიმრავლე, როგორც ქვიშა ზღვისა.

9. და გადმოვიდნენ მიწის სივრცეზე, და გარს შემოერტყნენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს. და ჩამოეშვა ცეცხლი ღმრთისაგან ზეცით, და შთანთქა ისინი.

10. და ეშმაკი, მათი მაცდური, ჩავარდა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც არიან მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი, და ეწამებიან დღე და ღამ, უკუნითი უკუნისამდე.

11. და ვიხილე სპეტაკი ტახტი დიდ, და მასზე მჯდომარე, ვისი სახისგანაც ილტვოდნენ მიწა  და ცა, და აღარ დარჩა ადგილი მათი.

12. და ვიხილე მკვდარნი, მცირენი თუ დიდნი, რომელნიც იდგნენ ტახტის წინაშე; და გადაშლილი იყო წიგნები; და გადაიშალა  სხვა წიგნი, რომელიც არის სიცოცხლისა; და თანახმად წიგნებში დაწერილისა, საქმეთა მათთაებრ განისჯებიან მკვდარნი.

13. და დააბრუნა ზღვამ მკვდრები, რომლებიც იყვნენ მასში; და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა დააბრუნეს მკვდრები, რომლებიც იყვნენ მათში, და საქმეთაებრ მისისა განისაჯა ყოველი.

14. და სიკვდილი და ჯოჯოხეთი დაინთქენ ცეცხლის ტბაში. ეს არის მეორე სიკვდილი.

პირველი სიკვდილია, როდესაც მხოლოდ ხორცი კვდება, ხოლო მეორე სიკვდილია, როდესაც ხორცთან ერთად სულიც კვდება და ადამიანი მთლიანად ნადგურდება. მისი სული დამძიმებულ ცოდვების გამო ვერ აღწევს ცის ორმომდე და შემდგომ კოსმოსამდე ...

15. და ვინც სიცოცხლის წიგნში არ იყო ჩაწერილი, ჩავარდა ცეცხლის ტბაში ...

## თავი ოცდამეერთე

1. და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც უწინდელი ცა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის.

2. და მე, იოანემ, ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღმერთისგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული.

3. და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა

აჰა, კრავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან.

4. და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს და აღარ იქნება სიკვდილი; და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.

უცოდველ კრავს მრავალი ფუნქცია ერგო უფალ ღმერთისაგან, მათ შორის ორი ძირითადი: ერთი, რომ ის თავისი სიმართლით, შესაბამისი სამართლით, ქრისტიან-მართლმადიდებელი რწმენით ის კრავს, გააერთიანებს ქვეყ-ნის მოსახლეობას ერთ მუშტად კრავს (შეკრავს) ერს ყველა ქვეყნის მოსახლეობას და გაერთიანებული ძალით შეძლებენ ყოველი ქვეყნისა და მოსახლეობის მოწინააღმდეგე ძალებს დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგეებს უფალი ღმერთის უშუალო დახმარებით; მოიპოვოს კეთილი ძალის, ბოროტ ძალებზე გამარჯვება და თუ ჩვენი მონდომებითა და ხელშეწყობით ეს არ შედგა, მაშინ დედამიწაზე სიცოცხლე მოისპობა. ხოლო ეს არ შეიძლება მოხდეს, რადგან უფალი ღმერთი მის მიერ დედამიწაზე შექმნილ სიცოცხლეს ბოროტ ძალებს არ მოასპობინებს. მეორე ძირითადი ფუნქციაა, კრავის სისხლით იწმიდება ზოგიერთი ცოდვები ადამიანისა, თუ თვითონ მოინდომებს ცოდვებისაგან განწმენდას და მომავალში სიცოცხლის გაგრძელებას....

5. და თქვა ტახტზე მჯდომარემ: აჰა, ვიქმ ყოველსავე ახალს და მითხრა მე, დაწერე ეს სიტყვანი სარწმუნონი არიან და ჭეშმარიტნი.

6. და მითხრა მე, აღსრულდა, მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. და მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყარო-საგან უსასყიდლოდ.

მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. ა-დან ჰ-მდე

ეს ხომ მთელი ქართული ალფავიტია, ყოველი ასო ნიშნის დაწერის შესაძლებლობა, ამ ასონიშნებით შეიქმნა დამწერლობა; რადგან უფალი ღმერთის კანონები, ბრძანებები, წინასწარმეტყველთა ნაამბობი ხილვები, ლოცვები და სხვა მრავალი საკითხები უნდა დაწერილიყო და უნდა გადაცემოდა შთამომავლობას, მომავალ თაობებს უშეცდომოდ. რადგან ყოველივე ეს თუ გავრცელდებოდა ზეპირსიტყვიერად მაშინ ძირითადი შინაარსი დაიკარგებოდა. ამიტომაა, რომ მოძღვარმა ზეპირად იცის ლოცვები, მაგრამ მაინც კითხულობს მას, რომ არ დაუშვას რაიმე შეცდომა. დამწერლობა პირველად ქრისტიან მართლმადიდებლებმა შემოიღეს და ამიტომაა ქრისტიანული სახელმწიფოები, ქვეყნები ყველაზე განვითარებული და ძლიერი ეკონომიურად და თავდაცვისუნარიანობით, ამიტომაა ყველაზე განვითარებული გონებრივათ განათლებული კულტურითა და ხელოვნებით ყველა სხვა ერებზე მაღლა მდგომი ...

7. მძლეველი დაიმკვიდრებს ყოველს, და ვიქნები მისი ღმერთი და ის იქნება ჩემი ძე.

უფალი ღმერთის ძეებმა და შვილებმა, სხვა მოძმეებთან ერთად უნდა შევისწავლოთ უფალი ღმერთის სიტყვები, კანონები, ბრძანებები, მოწოდებები, დარიგებები და ყოველი სიბრძნე და შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ, რომ მივაღწიოთ დიად გამარჯვებას ბოროტებაზე, სატანიზმზე, უფალი ღმერთის ნების აღსრულების მოწინააღმდეგეებზე. დრო არ ითმენს, ყველაფერი ცოდნის სახით მზადაა, უფალი ღმერთი, მისი ანგელოზები, კრავი ჩვენთანაა და უნდა შევკრიბოთ ასორმოცდაოთხი ათასი მორწმუნე მართალი სპეტაკი  ადამიანები კრავისა და წმიდა გიორგის ლაშქრის სახით და მერე ვნახოთ თუ ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება. ამინ! ამ ენით დიდება უფალ ღმერთს უკუნითი უკუნისამდე.

8. ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, ბილწთა და მკვლელთა, მწამვლელთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყოველთა ცრუთა ხვედრი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზგიზეში, ეს არის მეორე სიკვდილი.

9. და მოვიდა ჩემთან ერთი შვიდანგელოზთაგანი, რომელთაც ჰქონდათ შვიდი თასი, უკანასკნელი წყლულებით სავსენი, და მითხრა მე: მოდი და გიჩვენებ ქალს სასძლოს კრავისას.

10. და წამიყვანა მე სულით დიდსა და მაღალ მთაზე, და მიჩვენა მე დიდი ქალაქი, წმიდა იერუსალიმი, ღმერთისაგან ჩამომავალი ზეცით,

11. და ჰქონდა დიდება ღმრთისა, და მნათობი მისი მსგავსი პატიოსანი ქვისა, იასპის ქვისა, ბროლივით გამჭვირვალესი.

12. და ჰქონდა ზღუდე, დიდი და მაღალი, და თორმეტი ბრჭე, და მათზე - თორმეტი ანგელოზი, და ზედ დაწერილი სახელები ისრაელის ძეთა თორმეტი ტომისა.

13. აღმოსავლეთით სამი ბრჭე, ჩრდიოეთით, სამი, სამხრეთით სამი, დასავლეთით სამი.

14. და ზღუდეს ქალაქისას ჰქონდა თორმეტი საფუძველი, და მათზე კრავის თორმეტი მოციქულის თორმეტი სახელი.

15. და ჩემთან მოსაუბრეს ჰქონდა ოქროს ლერწამი, რათა გაეზომა ქალაქი და მისი ბრჭენი და მისი ზღუდენი.

16. და ქალაქი ოთხკუთხედად ძევს, და სიგრძე მისი, როგორც სიგანე. და გაზომა ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას უტევანზე, და სიგრძე მისი, და სიგანე და სიმაღლე მისი ტოლნი არიან.

17. და გაზომა ზღუდე მისი, და იყო ას ორმოცდაოთხი წყრთა, კაცთა საზომით, როგორის არის საზომი ანგელოზისა,

18. და იყო ნაგებობა მისი ზღუდისა იასპის. ხოლო ქალაქი ბაჯაღლო ოქროსი, მსგავსად წმინდა მინისა.

19. ქალაქის ზღუდის საფუძველნი - ყოველგვარი პატიოსანი ქვით შემკულნი. პირველი საფუძველი იასპი, მეორე საფირონი, მესამე ქალკედონი, მეოთხე სამარაგდი,

20. მეხუთე სარდინიკი, მეექვსე სარდიონი, მეშვიდე ქრისოლითი, მერვე ბერილი, მეცხრე ტოპაზი, მეათე ქრისოპრასი, მეთერთმეტე ჰიაკინთი, მეთორმეტე ამეთვისტო.

21. და თორმეტი ბჭე - თორმეტი მარგალიტი, თვითეული ბჭე თითო მარგალიტისა, და ქალაქის მოედანი ბაჯაღლო ოქროსი, მსგავსი გამჭვირვალე მინისა.

22. ხოლო ტაძარი არ მიხილავს მასში, რადგან უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, არის მისი ტაძარი და კრავი.

23. და ქალაქს არ სჭირდება არც მზე და არც მთვარე, მანათობლად, რადგანაც დიდებამ ღვთისამ გაანათა იგი, და სინათლე მისი-კრავი.

24. და დახსნილი ხალხები ივლიან მის ნათელით, და ქვეყნის მეფენი მიიტანენ მასში თავიანთ დიდებას და პატივს.

25. და ბჭენი მისნი არ დაიხშვიან დღისით; ხოლო ღამე არ იქნება იქ.

26. და მიიტანენ მასში ხალხთა დიდებას და პატივს.

27. და ვერ შევლენ შიგ სიბილწისა თუ სიცრუის ვერც ერთი მოქმედი და თანაზიარი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც ჩაწერილნი არიან კრავის სიცოცხლის წიგნში.

## თავი ოცდამეორე

1. და მიჩვენა მე წმინდა მდინარე სიცოცხლის წყლისა, ანკარა როგორც ბროლი, ღმერთის და კრავის ტახტისაგან გამომდინარი.

2. მისი მოედნის შუაში და მდინარის გაღმა-გამოღმა, ხე სიცოცხლისა, თორმეტგზის ნაყოფის გამომღები, ყოველივე ნაყოფის თვისი მომცემი, და ხის ფოთოლნი. ხალხთა სამკურნებლად.

3. და აღარ იქნება არავითარი წყევლა; და ტახტი ღმერთისა და კრავისა იქნება მასში და მონები მისი ემსახურებიან მას.

4. და იხილავენ სახეს მისას, და მათ შუბლზე იქნება სახელი მისი.

5. და ღამე აღარ იქნება იქ, და აღარ დასჭირდებათ სანთელი და აღარც ნათელი მზისა, რადგანაც უფალი ღმერთი გაანათებს მათ, და ექნებათ სუფევა უკუნითი უკუნისამდე.

6. და მითხრა მე: სარწმუნო არიან ეს სიტყვანი და ჭეშმარიტნი; და წმიდა წინასწარმეტყველთა უფალმა ღმერთმა მოავლინა თავისი ანგელოზი, რათა უჩვენოს მონებს თვისას, რაც უნდა მოხდეს მალე.

7. აჰა, მოვალ მალე, ნეტარია, ვინც იმარხავს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს.

8. და მე იოანემ, ვარ ამის მხილველი და მსმენელი; და როდესაც ვიხილე და ვისმინე, დავარდი ანგელოზის ფერხთით, რომელმაც მიჩვენა ყოველივე ეს, რათა თაყვანი მეცა მისთვის.

9. მაგრამ მან მითხრა: მიყურე, ნუ იზამ ამას, რადგანაც თანა-მონა ვარ შენი ძმებისა - წინასწარმეტყველთა, და მათი, რომელნიც იმარხავენ ამ წიგნის სიტყვებს, თაყვანი ღმერთს ეცი.

10. და მითხრა მე: ნუ დაბეჭდავ ამ წიგნს წინასწარმეტყველების სიტყვებს; რადგან ახლოა ჟამი.

11. უსამართლო კვლავ უსამართლობდეს ჯერ, ბილწი კვლავ ბილწობდეს ჯერ, მართალი კვლავ მართლობდეს ჯერ, წმიდა კვლავ წმიდობდეს ჯერ.

12. აჰა, მოვალ მალე, და ჩემთანაა ნაცვლისგება ჩემი, და მისი საქმეთაებრ მივაგებ თვითეულს.

13. მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული, პირველი და უკანასკნელი.

14. ნეტარნი არიან, რომელნიც აღასრულებენ მის მცნებებს, რათა ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხის მიმართ, და ბრჭეთა გავლით შევიდნენ ქალაქში.

15. ხოლო გარეთ - ძაღლნი და მწამვლელნი და მეძავნი და მკვლელნი და კერპთმსახურნი და ყოველი მოყვარენი და მოქმედნი სიცრუისა.

16. მე, იესომ, მოვავლინე ანგელოზი ჩემი, რათა გიმოწმოთ ეს ეკლესიებში. მე ვარ ფესვი და მოდგმა დავითისა, კაშკაშა ვარსკვლავი ცისკრის.

17. და სული და სასძლო ამბობენ: მოდის და მსმნელმა თქვას: მოდი, და მწყურვალი მოვიდეს; და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს სიცოცხლის წყალი.

18. და ვმოწმობ ყველას მიმართ, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რასმე დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებას; რომლებიც სწერია ამ წიგნში.

19. და თ ვინმე რასმე მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მას წილს სიცოცხლის ხისას და წმიდა ქალაქისას და იმისას, რაც სწერია ამ წიგნში.

20 ამბობს, ვინც მოწმობს ამას: ჰო, მოვალ მალე! ამინ! ჰო, მოდი უფალო იესო!

21. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი ყველა თქვენთაგანთ ამინ.

წიგნი: გაინეტერსებთ: რა ხდებოდა და რა მოხდება უახლოეს მომავალში? დაიწერა ბოლო ჟამის აღსრულების პე-

რიოდში. და გვამცნობს: თუ არ ვიმოქმედეთ შესაბამისად შესაძლოა დედამიწაზე სიცოცხლე მოისპოს და განადგურდეს. ეს შრომა დაიწერა უფალი ღმერთის ნებით ჩვენთვის. უფალი ღმერთი იმდენად დიდსულოვანი, კაცთმოყვარეა ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს მოსალოდნელი მკაცრი რისხვის მოსვლით; თუ არ გამოვიფხიზლეთ, თუ არ გავარჩიეთ მოყვარე - მტერი, კეთილი-ბოროტი, იესო ქრისტე-ბარაბა მაშინ შესაძლოა დედამიწაზე სიცოცხლე შეწყდეს; რაც უფალ ღმერთს არ სურს და ერთხელ კიდევ საბოლაოდ გვაფრთხილებს.

საამისოდ გამოვეცი წიგნები: „ო-ს კარი“, „აისი საქართველოში“ და გამოსაცემად მზადაა „საქართველო გაბრწყინდება“, „გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი წერილები“ და სხვა წიგნები. პენსიონერს არ მაქვს საშუალება გამოვცე ეს წიგნები და გავაცნო ჩვენი რეალური მდგომარეობა მოსახლეობას. საამისოდ შევქმენით „სრულიად საქართველოს გადარჩენის ფონდი სამშობლო“ და ვისაც აქვს შესაძლებლობა, გთხოვთ დაგვეხმაროთ. წიგნებს გამოცემის შემთხვევაში მოგაწვდით უფასოდ...

ადამიანთა თანასწორ უფლებიანობას ბევრი რამ უშლის ხელს. თითოეული ადამიანის წარმოშობა ინდივიდუალურია; ზეციდან მოყოლილი სულის, ცოდნის კოდმა თუ რამდენად შეინარჩუნა, თანმოყოლილი ცოდნა, გამოცდილება და რამდენად გაუმართლა, რომ დაიბადა შეძლებულ ოჯახში. თუ რამდენად ბეჯითი, ცოდნის მოყვარულია ამ ცოდნის მიღების მოწინაალმდეგე, ზარმაცია, ახალგაზრდობის პერიოდში ამაზეა დამოკიდებული მისი ცხოვრების მომავალი.

დედამიწაზე ცოდვილთა, დამნაშავეთა რაოდენობა თანდათან იზრდება; ცდილობენ პირადი გამდიდრების მიზნით, ქვეყნის, მოყვასის, შთამომავლობის გაქურდვით.

ყოველგვარი ბოროტი მეთოდებით, მოახდინონ, იცხოვრონ კარგად; მდიდრულად. თუმცა მათ შორის იბადებიან და იზრდებიან ისეთებიც, რომლებიც ღმერთის მიცემულ ცოდნას, ქონებას იხმარენ თვითონ და ახმარენ ქვეყანას, მოყვასს, შთამომავლობას. ასეთი პიროვნებები საბედნიეროდ თუ ერში, ქვეყანაში ბლომად არიან, მაშინ ისინი და მისი სამშობლო მოყვასი, შთამომავლობა უაღრესად ბედნიერია. მისი სახელი გვარი უკვდავია სამარადჟამოდ. საბედნიეროდ სადღეისოდ ასეთი პიროვნებები საქართველოში, მის საზღვრებს გარეთ არიან. ღმერთი დალოცავთ მათ დიად საქმეს, რომ ქართველმა ერმა, მისმა მოსახლეობამ იცხოვროს გაბრწყინებულ საქართველოში. ჩვენ კი შევასრულოთ ზეციური ღვთიური ფუნქცია და ვიბრძოლოთ უფალი ღმერთის, მისი სიმართლისა და მართლ-მადიდებელი რწმენის, მოსახლეობის, შთამომავლობის ბედნიერი მომავლისათვის. ამ დიდ საქმეში თვითოეულმა ჩვენთაგანმა შევიტანოთ ჩვენი სავალდებულო წვლილი მომავალი ბედნიერი ცხოვრების საქმეში; რომ ჩაიწეროს საქართველოს სამომავლო ისტორიაში, ყოველი ჩვენი თვალსაჩინო, დასამახსოვრებელი, ღირსეული საქმიანობა, რომელიც აუწყებს შთამომავლობას თუ როგორ იმოქმედონ: რწმენის, სამშობლოს, მოყვასის, შთამომავლობის გადასარჩენად ...

უფალი ღმერთი შეგვახსენებს: „შიშველი მოხვედი და შიშველი წახვალ; არაფერი მოგიტანია და ვერაფერს წაიღებ; თაფლი იპოვე იმდენი ჭამე რამდენიც შეგერგება, ზედმეტი არ ჭამო რომ უკან არ ამოანთხიო და არ გატყვრე“ ... ასე რომ ის რაც უფალ ღმერთს მოუცია დიდი ქონების, ფულადი სახსრების სახით გონივრულად მოიხმაროს და ბედნიერად იცხოვროს, ხოლო რასაც ვერ მოიხმარ და ზედმეტია, მოახმარე შენს ქვეყანას, მოყვასსა და შთამომავლობას, რაც უდიდეს ბედნიერებას, მომავალს მოგიტანს შენ, მარადიული

სიცოცხლის სახით, შენი სახელი დარჩება შთამომავლობას და იარსებებს საქართველოსთან ერთად სამარადჟამოდ.

უფალი ღმერთი შეგვახსენებს და გვავალდებულებს: „ბოროტეული, რომლებმაც ძალადობით, უკანონო კანონებით გაქურდეს ქვეყანა, მოსახლეობა და შთამომავლობა, მათაც კი მიეტევება ჩადენილი ცოდვები, ვინც გირაოს სახით ზღავს ყველა იმ ძალადობითა და უკანონო კანონებით მიითვისეს: ქვეყნის, მოსახლეობის, შთამომავლობის ქონება და დაუბრუნებენ მას მის კანონიერ მემკვიდრეებს; არცერთი ცოდვა არ გაუხსენდებათ მათ და ივლიან ბედნიერად მომავალში, თუ ჩემი გზით ივლიან და მომავალში დამატებით ცოდვებს არ ჩაიდენენ: უფალი ღმერთის, სამშობლოს, მოყვასისა და შთამომავლობის მიმართ“ ...

ასე რომ ყოველი ადამიანის სამომავლო ბედნიერი ცხოვრების გასაღები მის ხელშია.

ღმერთი საბოლოოდ შეგვახსენებს; „გამოვიღვიძოთ, გამოვიფხიზლოთ და ერთადერთი ხმა რომელიც მან მოგვცა, ჩვენი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის მივცეთ ყველაზე პატიოსან, უცოდველ, შრომისმოყვარე მმართველ ძალას: „საქართველოს ერთიანობის ეროვნული სათათბირო“-ს; რომლის გამარჯვება საქართველოს მოსახლეობის დიადი გამარჯვებაა ბოროტ ძალებზე.

## თავი ოცდამესამე

### საკითხთა მოკლედ შეჯამება

ზემოთ აღნიშნულ ყოველივე ამ ბოროტმოქმედებმა წარმოშვა მერყევ ადამიანთა ურწმუნო ფენა. მათ გამოსააშკარავებლად უფალმა ღმერთმა აუშვა სატანა, რომ აცდუ-

ნოს ერები, ქვეყნები, მოსახლეობა, რომ საბოლოოდ მოხდეს ყოველ ცდუნებულთა გაწმენდა საზოგადოებისაგან, რომ მივიღოთ კეთილსინდისიერი, მშრომელი, პატიოსანი, უფალი ღმერთის მსახურთა საზოგადეობა; რომ გადარჩენილებმა იცხოვრონ კარგად და ბედნიერად მომავალში.

უფალი ღმერთი გვაფრთხილებს წინასწარმეტყველის მიერ, „თაფლი იპოვნო, იმდენი ჭამე, რამდენიც შეგერგება, (ზედმეტი არ ჭამო), რომ უკან არ ამოანთხიო და არ გატყვრე“. მიუხედავად ამისა სატანებმა ძღომა არ იციან. მისასხვისას არ არჩევენ, გასკდომამდე ჭამენ და ჭამენ სახელმწიფოს, სახალხო ქონებას და დღითი-დღე აღატაკებენ, ვალებში ჩაფლავენ ქვეყანას და მის მოსახლეობას. მოსაჩვენებლად ცოტას თუ გააკეთებენ და ასჯერ მეტს თვითონ დაისაკუთრებენ, დაიკანონებენ და ასე ატყუილებენ დამშეულ მოსახლეობას, ამომრჩევლებს.

თუ ასე გაგრძელდა დედამიწაზე სიცოცხლე მოისპობა საერთოდ. რაც დაუშვებელია. ამიტომ უფალი ღმერთი მის მიერ შექმნილ, მოწესრიგებულ სამყაროს, სიცოცხლეს ბოროტმოქმედთ, გაცხოველებულ ადამიანებს არ მოასპობინებს, პირიქით მათ გაანადგურებს და კეთილშობილ, მოაზროვნე, შემოქმედ ადამიანებს გადაარჩენს და მათ შთამომავლობას აცხოვრებს გაბრწყინებულ საქართველოში, დედამიწაზე მრავალჟამს. ამიტომაც შექმნეს ქართველებმა სიმღერა „მრავალჟამიერი“ და უნიკალური ქართული ხელოვნება.

კარლ მარქსი გვასწავლის, „კაპიტალიზმი მისივე წარმოშობისთანავე წარმოშობს მისივე მესაფლავე პროლეტარიატს“ (გაღატაკებულ მოსახლეობას). თუ ამ სწავლებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ უნდა ვიცოდეთ საქართველოში მცხოვრები მილიონერები, მულტიმილიონერები, მილიარდ-

ელები დაახლოებით ხუთ პროცენტს შეადგენს. მათ უკვე გაანადგურეს საშუალო ფენა მოსახლეობისა, დანარჩენი 90-95 პროცენტი მოსახლეობისა გაღატაკებულია. წარმოიდგინეთ უკვე რამდენი მესაფლავეა საქართველოში.

ისმის კითვა თუ ამდენი ვიცოდი, რატომ ვდუმდი და მხოლოდ წიგნებს ვწერდი. ეს იმიტომ, რომ უფალი ღმერთი გვაფრთხილებს „არ შეებრძოლო სატანას, რადგან მისი დროა, ელოდეთ შენს დროს“. შეებრძოლები და შეეწირები, როგორც ბატონი გურამ შარაძე და მრავალი სხვები ...

დიახ, მოვიდა ეს დრო, ბოლო ჟამი; რადგან „ბოლო უნდა მოუღოს ბოლო დანაშაულს:

კაცობრიობა უნდა განიწმინდოს ბოროტი ადამიანებისაგან, „რადგან მათ სასწორზე დადვეს წუთისოფელში სიცოცხლე“.

სად წავლენ ბოროტებით გამდიდრებული ბოროტმოქმედნი ამას თითოეული ჩვენგანი ვიხილავთ დაახლოებით ათ წელში, რომლის შემდეგ მთავრდება ყოველი ბიბლიური შეგონება და გაფრთილება, იწყება ცხოვრების ახალი ერა.

ქართველ ერს დაახლოებით ორმოცი საუკუნეა ნაწილობრივ ეძინა. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე გვამცნობს, რომ „ქართველი ხალხი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც ჭამის მეტი არაფერი არ აინტერესებთ“. ასევეა დღესაც; თუ არ გამოვიღვიძეთ, არ ავმოქმედდით ჩვენ აუცილებლად დავიღუპებით. რის შესაძლებლობას უფალი ღმერთი არ მოგვცემს: რადგან ქართველი ერია მისი საკუთარი ერი. მისი ძირითადი მოსახლეობა უფალი ღმერთის ძეებად და შვილებად იწოდებიან. ქართველები ვცხოვრობთ დედამიწის ოქროკვეთაში, უფალი ღმერთის მიერ მოცემულ, ნაკურთხ, დამოძღვრილ მიწაზე. „ვინც ხელყო, მიითვისა მის მიერ მოცემული მიწები ძალადობით

ჩვენმა მეზობლებმა დამერწმუნეთ, რომ უფალი ღმერთი ძალზე განრისხებულია და მათ უმკაცრესად გაანადგურებთ, როგორც ურარტუ, ბაბილონი, ბიზანტია, ალბანელები და სხვები. ხალხმრავლობის სიხარულს წაართმევთ და დააკნინებს, როგორც დღესაა მონღოლეთი.

სადღეისოდ ძალზე გამრავლდა ხალხმრავალი ქვეყნები, რომლებიც იბრძვიან დედამიწაზე გახდნენ ერთმმართველნი, ღმერთს ეცილებიან ძალაუფლების წართმევით. ამჟამად დედამიწაზე დაგროვილია იმდენი ადმიანთა მასიური განადგურების: ატომური, წყალბადის, კობალტის, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახის იარაღი, რომ დედამიწა ასჯერ დიდიც რომ იყოს მასზე მოსპობდა სიცოცხლეს და მოწესრიგებულად მოძრავ სამყაროს გადაიყვანდა ქაოსურ, დამღუპველ მდგომარეობაში, რასაც უფალი ღმერთი არ დაუშვებს და ყოველ ბოროტმოქმედთ გაანადგურებს; გადარჩენილთ კი თავიანთ შთამომავლობასთან ერთად აცხოვრებს.

ამ პირობებში, შეიძლება გაცხოველებულმა ადამიანებმა სატანებმა საკუთარი ქვეყანა, მოყვასი, შთამომავლობა გაქურდონ, უამრავი ქონება, თანხები მიითვისონ, რომლებიც სულ მალე ოხრად დარჩებათ, მათი ტანი, სულთან ერთად გოგირდის ცეცხლით მოდებულ ტბაში ჩაიწვებიან. ესაა მეორე სიკვდილი, რომელიც დაიმსახურეს, მიიღებენ.

გასაკვირია, რატომ არ აზროვნებენ, საკუთარი ტანის სურვილებს აყოლილი სატანები და ქვეყანას, მოსახლეობას ნორმალური, მშვიდობიან ცხოვრების, არსებობის უფლებას არ ძლევენ. ისევ და ისევ ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, ამომრჩეველთა მოტყუილებით, მოსყიდვით, დაშინებით კვლავ მოვიდნენ ქვეყნის მართვის ხელმძღვანელებად. მაშინ როდესაც უფალი ღმერთი აფრთხილებთ,

„რაც უფრო მეტ ხანს გააგრძელებენ ქვეყნისა და მოსახლეობის ძარცვა, წამებას, მით მეტი მკაცრი რისხვით დაისჯებიან საკუთარი საქმეთაებრ, საკუთარი ჩანაფიქრისამებრ"...

თქვე, ულმერთოებო! არ გეშინიათ უფალი ღმერთის? მისი მკაცრი რისხვის? რას ერჩით თქვენს უდანაშაულო შვილებს? შვილიშვილებს? შვილთა შვილებს, რომ გინდათ აკიდოთ ის უდიდესი ცოდვები, მოსახლეობის წყევლა-კრულვა, რადგან თქვენი სული სატანჯველად გაგიმეტებიათ; წადით! მიხედეთ იმას, რაც ძალადობით, უკანონობით, ნაგლობით მიგიღიათ. დაგვიტოვეთ თქვენს მიერ გაძარცვული ქვეყანა მოსახლეობა და ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ მათ გადავარჩენთ, თქვენ ცოდვებს თქვენვე მიხედეთ. უფალი ღმერთის ნების აღსრულებას დედამიწაზე, ხელს ნუ შეუშლით; თორემ იცოდეთ დედაბუდიანად განწირული ხართ....

საქართველო პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა და უფალი ღმერთის უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით მოვახერხებთ სატანიზმის მიერ დანგრეული, გაჩანაგებული ქვეყანა რაც შეიძლება უმოკლეს დროში აღვაშენოთ ყველა იმ რეზერვების გამოყენებით, რაც ქვეყანას, მისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და ზეციური ღვთიური ცოდნით მოვახერხებთ; რადგან საქართველო როგორც უძველესი ცოდნისა და კულტურის მქონე ქვეყანას შეუძლია ისევ აღდგეს კაცობრიობის წინაშე. ამიტომაც საქართველოში ღმერთის ნებით ცხოვრობს უცხოელ ქვეყანათა შთამომავალნი. თუ მათ ქვეყანას რაიმე საფრთე დაემუქრება და გაჩანაგდება, მათი თესლი, ენა, სარწმუნოება აქ გადარჩება; დაბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, შეიტანენ აქ მიღებულ ზეციურ ღვთიურ ცოდნას, იშრომებენ, გამრავლდებიან და კვლავ აღადგენენ საკუთარ

ქვეყანას, ერს, ენას, კულტურას და უფალი ღმერთის ნებით კვლავ გააგრძელებენ არსებობას.

ქართული ენა უფალი ღმერთის ენაა, ის მოქმედებდა მთელ დედამიწაზე და გავრცელებული იყო მთელს მსოფლიოში. ვიდრე უფალი ღმერთი იძულებული არ გახდა აერია ენები ერთმანეთში და წარმოშვა მრავალი ენა, როგორც დღეს გვაქვს. ამიტომაა ყოველი საიდუმლო ამ ენით „ლაზარეთი“ იხსნება, როგორც იოანე ზოსიმე გვამცნობს „ამავ ენითა აიხსნას, სხვა დანარჩენი ენები“. ქართველები მიწას დედას უწოდებთ და ვამბობთ დედამიწა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მისი ძალისხმევით დავითესებით, მივიღებთ სულიერებას, დავიბადებით, ვიკვებებით გარკვეულ დროს, ვიდრე ტანი არ გაიცვითება; გარდავიცვლებით, მიწიერ ტანს მიწას ჩავაბარებთ და სული კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს ზედა ყანაში, სადაც შევისხამთ ახალ ტანს, მივიღებთ ახალ ცოდნას და კვლავ გავაგრძელებთ სიცოცხლეს. ასე გრძელდება ჩვენი სულთა მარადიული სიცოცხლე.

ისმის კითხვა, რატომაა საქართველო წმინდა მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრ მიწაზე რომ ცხოვრობს?

ახალი აღთქმა: იოანე ღვთისმეტყველი გვამცნობს, რომ „იესო ქრისტე ჯვარზე გაკრულმა თავი მაღლა ასწია და დაინახა დედამისი მარიამი, მარიამ მაგდალინელი და მისი საყვარელი მოსწავლე. აქ „ლაზარე“ არაა ნახსენები, რადგან ჩვენ ვიცით მისი ყველაზე საყვარელი მოსწავლეა „ლაზარე“ და ამის შემდეგ მის მიმართ ის მხოლოდ სიტყვებით „საყვარელი მოსწავლე“ მოიხსენიება.

უთხრა დედამისს მარიამს „დედავ იცოდე ეს არის შენი ძე დღეიდან, ხოლო მოსწავლეს უთხრა გახსოვდეს რომ ესაა დედაშენი დღეიდან; ორივემ დედა შვილმა ხელი-ხელს ჩაკიდეს და წავიდნენ ერთად“. დიახ მას შემდეგ წმინდა მარიამ

ღვთისმშობელი და ლაზარე ერთად ცხოვრობენ დღესაც. უნდა ვიცოდეთ ამავე დროს, რომ დედამიწა არის წმინდა მარიამ იესო ქრისტეს, ზეციური ღვთიური ცოდნის წარმომშობელი, მასზრდოებელი და მაცოცხლებელი დედა.

მიუხედავად დღევანდელი მეტად დაძაბული მდგომარეობისა, უფალი ღმერთი გვაფრთხილებს, „საყვარელნო! თქვენ შურს ნუ იძიებთ, რადგან ჩემია შურისძიება და მიეცით ადგილი ღმერთის რისხვას; თქვენ კი თქვენი მტერი მშიერი ნახოთ დააპურეთ, მწყურვალნი ნახოთ დააწყურეთ, რადგან თქვენ ამით მათ თავზე მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს ანთებთ“.

ამით უფალი ღმერთი გვაფრთხილებს თქვენ რატომ უნდა ჩაიდინოთ დამატებითი ცოდვები, იყავით უცოდველნი, ხოლო ამ საქმეს მე მოვაგვარებ. აქედან გამომდინარეა, რომ ვამბობ ჩვენ უნდა მოვახერხოთ უფალი ღმერთის ნებითა და დახმარებით სატანიზმის მიერ დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობა და მოსახლეობის მუდამ მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ჩვენ სატანათა საქმეთა გამოძიებას, მათ დაჭერას არ შევეცდებით თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს და მათი ბოროტ საქმეთა განკითხვა კი უფალი ღმერთისთვის მიგვინდვია.

ჩვენ ქრისტიან მართლმადიდებელნი; სიმართლისა და აქედან გამომდინარე სამართლის მადიდებელნი ვართ, ჩვენ ყველამ ერთად, ერთხმად უნდა ვამხილოთ ყოველი ბოროტება ჩვენი იდეოლოგიური ქადაგებით უნდა გამოვაფხიზლოთ მოსახლეობა, რომ შეიმეცნონ ვინაა მოყვარე და ვინაა მტერი. ხელმძღვანელად, მასწავლებლად ავირჩიოთ იესო ქრისტე და უარი უთხრათ ავაზაკ, კაცისმკვლელ ბარაბას. მოვახერხოთ ერთ მუშტად, ერთიან ძალად გავაერთიანოთ ქართველი ხალხი და ავირჩიოთ ახალი ღვთისმიერი გზა ცხოვრებისა წუთისოფელში.

ყოველმა: შრომისა და ცოდნის მოყვარულმა ადამიანმა იცის: თუ სამშობლოს, ქვეყანას, მის მოსახლეობას საარსებო საშუალებები, საჭირო ბიუჯეტი არ გააჩნია და რაღაც ყალბ დაპირებებით გინდა კვლავ მოხვიდე ქვეყნის მართვის სათავეში, ქვეყანას თუ არაფერი საშუალებები, ფულადი დანაზოგები, საჭირო ბიუჯეტი არ აქვს, მოსახლეობა დაუსაქმებელია და სამუშაოდ საზღვარგარეთ გარბიან, რადგან ადგილობრივ ხელისუფლების იმედი არ აქვთ; რომ გაუჭირდეთ ვინ დაეხმარება? ამდენად აუცილებელია მოსახლეობის გამოფხიზლება, გამოღვიძება, რომ გონს მოვიდნენ და ასე მივიდნენ არჩევნებზე.

თუ საარჩევნო სიაში გაუსაძლისი მდგომარეობის გამომსწორებელი პარტია, კაცთა კრებული ეგულებათ მაშინ მივიდნენ და მათ მისცენ ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში გადახაზონ ბიულეტენი ჯვრებით - ღმერთს თხოვონ განკითხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩვენების დღეს გამოვიდნენ და სათანადო პროტესტი განაცხადონ ქვეყნის მმართველებისა და ცსკ-ოს უკანონო ქმედებათა მიმართ; შეირჩეს დროებითი მთავრობა, მიღებული იქნას ნორმალური საარჩევნო კანონი და უარი ეთქვას იუსტიციის ე. წ. არალეგიტიმურ მინისტრს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოვითხოვოთ ახალი ცხოვრება, ახალი ხელმძღვანელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში დამერწმუნეთ, რომ ის თანხები რაც წინა საარჩევნოდ დახარჯეს ათჯერ - ასჯერ მეტს ამოიღებენ ისევ ჩვენი ცხოვრებიდან და უფრო მეტ ვალებში ჩაგვაგდებენ მომავალ ოთხ წელიწადში....

ქვეყანას არ გააჩნია ვაჭრობის სამინისტრო. რატომ? იმიტომ რომ თანამედროვე სატანები თვითონ ვაჭრობენ, ფასებსაც თვითონ ზრდიან მდიდრდებიან, რადგან გაფუჭებული, ვადაგასული, ქიმიურ დანამატებიანი საკვები პრო-

დუქტები შემოაქვთ გვწამლავენ, გვანადგურებენ და თვითონ კი მდიდრდებიან ქვეყნისა და ჩვენი განადგურების ხარჯზე. ამიტომაც არის ქვეყანა და მოსახლეობა ჩაფლული ვალებში და ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულა მას უკვე ექვსი ათასი აშშ დოლარი ვალი დახვდება.

ქვეყანა კი ფულადი სახსრების დეფიციტს განიცდის. სინამდვილეში ამჟამად არსებული პარლამენტის, მთავრობის, პრეზიდენტის დევიზია „მოთმინებითა შენითა ამოგძვრებათ სული შენი“. რადგან ჩვენი მთავრობა შეთანხმებულია საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მსოფლიო ბანკთან, რომ საქართველოში არ აშენდეს ფაბრიკა-ქარხნები, მეურნეობები, ვერ ვაწარმოოთ საკუთარი მოთხოვნილების მიხედვით საჭირო პროდუქცია და ვიყვეთ მხოლოდ საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტებისა და საჭირო საქონლის მყიდველნი. ამის სანაცვლოდ იღებენ სამასი მილიონი აშშ დოლარს, ამ თანხას თვითონ ინაწილებენ და ქვეყანას, მოსახლეობას ყოველდღე ალატაკებენ.

ასევეა განათლების სისტემის დაკნინება და განადგურება, რადგან მოსწავლეთა სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები ისეა გართულებული, გაუარესებული, რომ მათ სწავლა და კითხვა შეაძულეს მოსწავლეებს, რომ ისინი გახადონ არა შრომისუნარიანი მცოდნე პიროვნებები, არამედ მათი მოსამსახურე უუნარო ადამიანები. ამავე დროს შემოაქვთ ნარკოტიკები; ოთხასიათასი ახალგაზრდა გაანარკომანეს, არა აქვთ სარეაბილიტაციო ცენტრები, რომ რომელიმე გონზე მოსულმა იმკურნალოს. თუ ვინმემ მათ მიერ შექმნილ ნარკორეალიზატორთა ქსელის გარეთ იმოქმედებს მათ რადგან ხელი შეუშალეს მათ პირად გამდიდრებას, ყველაზე მაღალ სასჯელს მიუსჯიან და ასე ჩამოიშორებენ.

ყველაფერის ჩამოთვლას ამ პატარა წიგნში ვერ მოვახ-

ერხებ, ისედაც ვიცი დიდ, სქელ წიგნების კითხვა არავის აწყობს, დანარჩენი წაიკითხეთ ჩემს სხვა წიგნებში.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა დაახლოებით სამოცდახუთი პროცენტი არჩევნებზე არ მიდის; რადგან საარჩევნო სიაში არ მოიპოვება არცერთი პარტია რომელიც ქვეყნის, მოსახლეობისა და შთამომავლობის გადარჩენაზე, მის ბედნიერ მომავალზე ფიქრობდეს, ზრუნავდეს. ხოლო რაც შეეხება პარტია „სამშობლო"-ს მის ხელმძღვანელობას იუსტიციის ე. წ. მინისტრი, რადგან თვითონაა არალეგიტიმური მთავრობის წევრი, ყველაფერ უკანონობას აკეთებს, რომ ჩვენ არ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

ასე, მაგალითად, შეთანხმებულია ცსკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიასთან, რომელსაც დანიშნული აქვს მთავრობის მიერ ოცდათხუთმეტი ათასი ლარი ყოველთვიური ხელფასი ამით ის არსებული პარლამენტის, მთავრობის, პრეზიდენტის მონა მორჩილია, შეთანხმდნენ ცესკოში პარტიის ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს იუსტიციის სახლიდან გაცემული ცნობა, რომ პარტია სრულუფლებიანია თუ არა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს არცერთ კანონში, კონსტიტუციაში არ წერია. ვინ კითხავს წულუკიანს პარტია „სამშობლო"-მ რამდენი ყრილობა ჩაატარა, ამ ყრილობაზე რამდენი დელეგატი ესწრებოდა და აუცილებელია ამ ყრილობის ოქმს ამოწმებდეს ყრილობაზე დამსწრე ნოტარიუსი. ეს ყველაფერი წულუკიანის მოგონილი ხრიკებია და ის საამისოდ მკაცრად დაისჯება, უფალი ღმერთის მიერ: გეშინოდეს ღმერთის, ხალხის.

სკკპ პირველ ყრილობას ესწრებოდა მხოლოდ სამი დელეგატი: ლენინი, მარკოვი და პლეხანოვი. მეორე ყრილობას ესწრებოდა ცხრა დელეგატი, მესამეს თოთხმეტი, მეოთეს

32, მეხუთეს 43 დელეგატი და ა. შ. განა სკკპ-მ საბჭოთა კავშირი სამოცდაათი წელი არ მართა ღირსეულად. მათ მიერ შექმნილ ქონებას, სიმდიდრეს ოცდაათი წელია არ ჭამთ დღევანდელი სატანები. განა გაღატაკებულ ქვეყანას მის მოსახლეობას, ოცდათხუთმეტი ათასი ლარი ყოველთვიური ხელფასი ეს კორუფცია და მოსყიდვა არ არის. რომელსაც, რასაც სურთ იმას დააწერინებენ, გააკეთებინებენ. და ასეთ ქვეყანაში სურთ იცხოვრონ ადამიანებმა.

ის პარტია რომელიც არჩეულია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ოცი პროცენტის მიერ განა შეიძლება ლეგიტიმური იყოს? ამდენად საქართველოს ბოლო ოცდაათი წელია ლეგიტიმური მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი არ ჰყოლია. მათ რაც არ უნდა გაუჭირდეთ მოსახლეობა მხარში არ ამოუდგება და არ გაყვება სადაც არ უნდა წავიდნენ. ამიტომაცაა უფალი ღმერთი განრისხებული. ეს წიგნი მისი ნებით დაიწერა თქვენს გასაფრთხილებლად, წადით დროზე სანამ გამანადგურებელ შოლტს არ ჩამოუვლია. ილოცეთ, მოინანიეთ ჩადენილი ცოდვები, იქნებ გადარჩეთ და გააგრძელოთ სიცოცხლე შთამომავლობასთან ერთად.

ე. შევარდნაძემ პარტიათა ლიდერები მიიწვია და შესთავაზე მათ, რამდენიც სურდათ მიეღოთ სესხი ბანკისაგან და გამოეყენებინათ ოფისების მოსაწყობად, ხელფასებად, იდეოლოგიური სამუშაოთა ჩასატარებლად: ამ მეთოდით მოახერხა პარტიის ხელმძღვანელთა დამორჩილება და პარტიის ხელმძღვანელებმა ათეული-ასეული მილიონობით თანხების მითვისება, მოქალაქეთა კავშირმა კი მილიარდობით მანეთი აიღეს ვალად. ამის შემდეგ მანეთი გააკუპონეს იმფლაცია ერთი მანეთის, ერთ მილიონ კუპონთან და იმფლაცირებული კუპონები იმ რაოდენობით დააბრუნეს ე. წ. ცნობილმა პარტიებმა ბანკებში სესხის დაფარვის სახით

და ასე გახდნენ ცნობილი ქურდების პარტიები. პარტია „სამშობლო“-მ კი უარი განაცხადა ამ თანხის მიღებაზე, საქვეყნო, სახალხო ქონების უკანონო მითვისებაზე და ამის გამო არ გააჩნია სადღეისოდ ფულადი სახსრები, რომ პირდაღებული მშივრები დააკმაყოფილოს და პარტია წევრების რაოდენობით გაძლიერდეს. რომ მოვახერხოთ სათანადო ლიტერატურის გამოცემა, მივიდეთ ხალხთან და აუხსნათ არსებული დამღუპველი მდგომარეობა. ამით სარგებლობს წულუკიანი, ჟვანია და სხვები, რომ ჩვენ დაგვ-ტოვონ ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გადასარჩენის შესაძლებლობის გარეშე, ამიტომაც გვებრძვიან.

პარტია „მოქალაქეთა კავშირმა“, ქვეყანას დაუტოვა ორი მილიარდი აშშ დოლარის საგარეო ვალი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თერთმეტნახევარი აშშ მილიარდი დოლარი. „ოცნებამ“ დაახლოებით ჯერჯერობით აიღ ექსნახევარი აშშ დოლარის ვალი. ამავე დროს აქვთ დაახლოებით ორმოცი მილიარდი აშშ დოლარის საშინაო ვალი. მათი მუშაობის პერიოდში, სხვადასხვა ქვეყნებიდან მიიღეს დაახლოებით ოცდახუთი მილიარდი დილარი დახმარების სახით.

ყველა ეს და სხვა უამრავი თანხები და გაყიდული ქონე-ბიდან მიღებული შემოსავლები შეჭამეს, ძალადობით, უსვინდისობით მიითვისეს, არაფერი სარგებელი არ გაუ-კეთებიათ და იმდენად სინდის დაფერფლინი არიან წასვლა არ უნდათ; თუ უფალმა ღმერთმა არ გაანადგურათ.

ჩემი უშუალო ზეციური ღვთიური ფუნქციაა, რაც შეიძ-ლება მეტი ბოროტმოქმედი ამ წიგნებით მოვარჯულო და გადავარჩინო მის შთამომავლობასთან ერთად.

„ოცნებამ“ მისმა ლიდერმა 2012 წლის არჩევნების წინა საარჩევნოდ გამოსვლისას განაცხადა, რომ პენსიონერებს პენსიებს 400 ლარამდე გაუზრდიდა. მაშინ უკვე გათვალის-

წინებული იყო, რომ 2013 წლის 1- იანვრიდან პენსიონერები მიიღებდა 150 ლარს, მაშინ როდესაც 1 აშშ დოლარი იყო 1,65 ლარი. ე. ი. დაახლოებით ოთხმოცდაცამეტი დოლარი. ამჟამად გვაქვს დაახლოებოთ სამოცდათორმეტი აშშ დოლარის ექვივალენტი პენსია; სამოცდაათ წელს გადაცილებულებს 81 დოლარი. ნუთუ პენსიონერები ამას ვერ აზროვნებენ, რომ ოცნების მოღვაწეობის რვაწლიან პერიოდში პენსიებმა საგრძნობლად მოიკლო და ფასებმა პროდუქტებზე, წამლებზე და სხვა სახის პროდუქციასა და მომსახურეობებზე თითქმის ორჯერ გაიზარდა. თითქოს ფერმერებს დაპირდნენ ჰექტარზე 150 ლიტრ საწვავს მისცემენ ერთი ლარის შეღავათიან ფასებში და შემდგომ ის ისე გააძვირეს, რომ შეღავათი კი არა უფრო ნაკლებ ფასებში შეგიძლიათ იყიდოთ საწვავი. ვინ ჩამოთვლის მათ ტყუილებს და ამის შემხედვარე არცერთ პენსიონერმა მათ და მათ თანამოაზრეებს ხმები არ უნდა მიცეთ. სჯობს არ მიხვიდეთ არჩვენებზე და მათ მიერ ჩადენილ ცოდვათა თანაზიარი არ გახდეთ, ან გადახაზეთ ბიულეტენი ჯვრით.

„ოცნება" მისი ხელმძღვანელობა, როდესაც ამომრჩეველთა დაახლოებით 25% აირჩიეს, პარლამენის პირველსავე სხდომებზე გადაწყვიტეს: ხელფასები, სახელფასო დანამატები, პრემიები გაეერთიანებინათ და ჩვეულებრივ ხელფასის სახით მიეღოთ.

გააუქმეს ნაციონალების მიერ მიღებული კანონი „დამნაშევეთა მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახის დანაშაულთა სასჯელის შეკრებითობის კანონი" რადგან ნაციონალების ჩადენილ დანაშაულობათა სიმრავლის გამო მოუწევდათ მრავალწლიანი ტანჯვა და ამავე დროს გაითვალისწინეს, რომ მომავალში თვითონაც მსგავს დღეში აღმოჩნდებოდნენ. „კანონით" რომლითაც ასამართლებდნენ ნაციონალებს

უკვე ჩადენილი დანაშაულთა მიხედვით. მაშინ როდესაც კანონი მოქმედებს მისი მიღების შემდეგ ჩადენილ დანაშაულობათა მიხედვით და არა მანამდე ჩადენილ დანაშაულობებზე. ისინი უნდა დაისაჯოს დანაშაულის ჩადენის დროს რა კანონიც მოქმედებდა.

ნაციონალებმა, ერთი არასრულწლოვანი, რომელსაც შიოდა და ერთი ცალი „ბულკი“ მოიპარა, ექვსი წელი მიუსაჯეს, ხოლო „ოცნებამ“, მაშინ როდესაც უგულავამ ორმოცდარვა მილიონი ლარი მოიპარა ბიუჯეტიდან და ხუთი წელი მიუსაჯეს და ისიც რამდენიმე დღეში, თვეში შეწყალები გაანთავისუფლა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილმა ყოფილმა პრეზიდენტმა ოთხიათასი, ფულის მქონე პატიმარი შეიწყალა და გაათავისუფლა. ვისაც, შეწყალება ეკუთვნოდა და ფული არ ჰქონდათ, ისინი ციხეში დატოვა, და ისევ სურს მოვიდეს ხელმძრვანელ თანამდებობაზე...

სატანათა პირველი თაობა ბაბუები იყო, საბჭოთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგენი და ცდილობდნენ მაშინ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება. თუმცა უფალი ღმერთის დახმარებით ისინი რომლებიც ცდილობდნენ ქვეყანა, მოსახლეობა გაელატაკებინათ და ასე გამდიდრებულიყვნენ, ვერ მოახერხეს. რადგან მოსახლეობა და მთავრობა მათ ებრძოდათ, იჭერდნენ, ციმბრში ასახლებდნენ. ასე მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ სამხუთწლედში, თხუთმეტ წელიწადში გიგანტური ჩამორჩენილი ქვეყნის გაერთიანება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. ხოლო სატანებმა ბოლო ოცდაათი წელია ყიდიან, ყიდულობენ, იკანონებენ უკვე შექმნილ ქონებას და ასე მოაღწიეს დღემდე ბოლო ჟამამდე: სადღეისოდ საქართველო არაფრის მქონე, გალატაკებული, ვალებში ჩაფლული ქვეყანაა. მას საბჭოთა კავშირიდან

გამოყოფისას გააჩნდა 560 მილიარდი მანეთის ქონება 120 მილიარდი მანეთის საბრუნავი საშუალებები, მოსახლეობას 80 მილიარდი მანეთის დანაზოგები ჰქონდა შენახული. ეს და სხვა საშუალებები სატანებმა მიითვისეს და ასე გახდნენ მილიონერები, მილიარდელები. მამუკა ხაზარაძემ ჩვიდმეტ მილიონ კუპონად „შეიძინა“ ბორჯომის წყლები, მისი გადამამუშავებელი ქარხანა, მინის ტარის ქარხანა და თვით ბორჯომელებს წყლის დალევის უფლება წაართვა. ნახევარი ლიტრი ბორჯომი ღირდა ოცი თეთრი და ლარ-ნახევარი გახადეს ფასი.

გაყიდა მრავალმილიონ დოლარად დააარსა ბანკი და ასე დაიწყო მოვალეთა ძარცვა, სესხებზე მაღალი პროცცენტების დაწესებით...

პარლამენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო თანამშრომლები: მილიონერები, მილიარდელები ამ უკანონო კანონებით გამდიდრდნენ უცებ და ეხლა ესეც არ ყოფნით უბედურებს.

დანარჩენი თქვენ კარგად იცით. გინდათ ასეთი ცხოვრება? მაშინ გააგრძელეთ და ნახავთ რასაც დაიმსახურებთ.

უფალი ღმერთი გვაფრთხილებს, „დედამიწაზე მცხოვრებ მოსახლეობის ორი მესამედი ამოწყდება და ერთი მესამედი გადარჩება, ამ ერთ მესამედსაც გავატარებ ცეცხლის ალში და გავწმედ ისე, როგორც ვერცხლი იწმიდება ცეცხლით მინარევებისაგან და გამოვაწრთობ ისე როგროც ოქრო გამოიწვება“.

უფალი ღმერთი გვაფრთხილებს: „ბოლო ჟამისთვის, რწმენისგან განდგებიან ზოგიერთნი და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთ მოძღვრებას, ცრუმეტყველთა თვალთმაქცობისამებრ რომელთაც დაფერფლეს თავიანთი სინდისი“.

სწორედ დემონები გვყავს ქვეყნის მმართველებად. (ღმერთმა დამიფაროს, რომ ყველა ხელმძღვანელ, პარლამენტარზე, მინისტრზე და მათ ხელმძრვანელებზე ვსაუბრობდე). ამიტომ ჩემი რჩევაა ძალზე მცირე დრო დაგვრჩა დაახლოებით ათი წელი, მანამდე მრავალი გამოცდა, სტიქია, რისხვა მოვა და მინდა ყველა გადავრჩეთ. რადგან ღმერთი გვაფრთხილებს: „თუ ბოროტმოქმედნი გირაოს სახით ზღავს, დაუბრუნებს წართმეულს ქვეყანას, მოსახლეობას, მოინანიებს ჩადენილ ცოდვებს და ჩემი გზით ივლის, ამის შემდეგ ცოდვებს არ ჩაიდენს, მაშინ არცერთი ჩადენილი ცოდვა არ გაუხსენდება და თვითონ, მისი შთამომავლობა გადარჩება“.

ამიტომაც მინდა გაგაცნოთ თუ როგორ გვატყუილებენ სატანები: დემოს ბერძნული სიტყვაა და ხალხს ნიშნავს, ხოლო დემოსკრატია კი ქვეყნის მართვას ხალხის მიერ არჩეული საუკეთესო, მცოდნე, სათანადო გამოცდილების მქონე პიროვნებების მიერ, რომლებიც მთელი მონდომებით იცავენ: ქვეყანას, მოსახლეობას, შთამომავლობას.

ხოლო დემონი არის ურჩხული, მტაცებელი ცხოველი, რომელიც არ ინდობს ადამიანებს და სუყველას ანადგურებს ვისაც კი მიწვდება. დემონკრატია კი ნიშნავს ურჩხულის მიერ: ქვეყნის, მოსახლეობის მართვას დემონური აზროვნებითა და მეთოდებით. დიახ თანამედროვე პირობებში ჩვენ გვაქვს დემონური „კანონებით“ შექმნილი ქვეყნის მართვის სისტემა.

ხოლო სიტყვა დემოკრატია არის ამ ორ ქვეყნის მართვის სისტემებს შორის სატყუარა სიტყვა. ასე მაგალითად, სატანები ვიდრე ქვეყნის მართვის სათავეში მოვიდოდნენ უცოდველ კრავად მოგვაჩვენებენ თავს. მისსავე ქურქში გამოეხვევიან და რაც არ უნდა ვთხოვოთ, ყველაფრის გაკეთებაზე

დაგვთანხმდებიან, მაგრამ როდესაც ავირჩევთ ხელმძღვანელებად, თანამდებობრივ სავარძლებში ჩასხდებიან; მაშინვე კრავის ქურქს გაიხდიან და ხელში შეგვრჩება ურჩხულები; რომლებიც მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობენ და საამისოდ ყოველგვარ ბოროტებას სჩადიან ქვეყნის, მოსახლეობისა და შთამომავლობის მიმართ. რაც საარჩევნოდ დახარჯეს, ათ და ასმაგად ამოიღებენ იმ ამომრჩეველთა საშუალებებიდან, რომლებმაც ის აირჩიეს...

ასეა ბოლო ოცდაათი წელია და ასე გაგრძელდება მანამ ვიდრე ამომრჩევლები არ გამოვფხიზლდებით, არ გამოვიღვიძებთ. თუ ასე გაგრძელდა საქართველო გაქრება და მოსახლეობა გადაგვარდება, გაცხოველდება და ყველანი ურჩხულები გახდება. ღმერთმა დაგვიფაროს ყოველი კაცი, ქალი, შთამომავლობა. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ბედნიერ მომავალზე ხელი ჩაქნეული აქვთ, თუმცა მათ არ იციან უფალი ღმერთის მოქმედება სატანიზმის მიმართ და მათგან კაცობრიობის განსაწმენდად, „ისევ გავცხრილავ საზოგადოებას ბოროტებისაგან როგორც ხორბალი იცხრილება სიბინძურისაგან" - ამბობს უფალი. მივიღეთ ის შედეგი, რაც აქამდე დავიმსახურეთ. აწი კი ჩვენს მოქმედებაზეა დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ყოფნა არ ყოფნა ...

კარგად დავაკვირდეთ თუ რა ხდება მთელ მსოფლიოში; ირლანდიაში, ბელორუსიაში, უკრაინაში, რუსეთში და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

როდესაც ყოველი ქაოსი, ბოროტმოქმედთა მოქმედება შეწყდება, ბოლო მოეღება ბოლო დანაშაულს უფალი ღმერთის უშუალო ხელმძღვანელობითა და მოქმედებით, ამას თვალნათლივ დაინახავთ გადარჩენილი ადამიანები, მოისმენენ რა ხდებოდა და რა მოხდება უახლოეს მომავალში;

ამის შემდეგ იწამებენ და შეიყვარებენ უფალ ღმერთს, მის ბრწყინვალე საქმეს და თაყვანს სცემენ მას, მის შემოქმედებას. ამის შემდეგ მთელ მსოფლიოში იქნება ერთი რწმენა, ქრისტიან მართლმადიდებლობა, ერთი სასაუბრო ენა ღმერთის მიერ მიღებული ენა და შთამომავლობა იცხოვრებს ბედნიერად გაბრწყინებულ საქართველოში, დედამიწაზე ოთხასი წელი.

აუცილებლად მიმაჩნია 2020 წლის არჩევნებს გამოუცხადოთ ბოიკოტი ჩვენ. მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ სატანებმა; მაგრამ თუ გვაიძულებენ არჩევნებზე მივიდეთ; მაშინ მივიდეთ, გავტარდეთ ჟურნალში და მიღებულ ბიულეტენზე გამოვსახოთ ჯვარი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნისა და მოსახლეობის ბედი უფალ ღმერთს მივანდეთ და მან მისი შეხედულებისამბებრ განსაჯოს...

დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მივაღწიეთ, რომ რეგისტრაციაში გაგვეტარებინა „სრულიად საქართველოს გადარჩენის ფონდი „სამშობლო“. რომ პენსიონერებს გვაქვს გაუსაძლისი ცხოვრების პირობები და ვერ შევძელით ეკონომიკურად აქამდე გამოგვეცა სათანადო იდეოლოგიური ლიტერატურა, გაგვევრცელებინა მოსახლეობაში და ჩვენი თანამოაზრენი გავერთიანებულიყავით: ქვეყნის, მოყვასის, შთამომავლობის, რწმენის გადასარჩენად. რადგან თვით უფალი ღმერთი შეგვახსენებს, „ვინ უნდა დამოძღვროს ცოდნით ერი და ვინ უნდა ჩააგონოს ამბავი (რა ხდებოდა და რა მოხდება უახლოეს მომავალში?) ძუძუს ასხლეტილებმა? რძეს მოწყვეტილებმა“.

არა ჩვენო ძვირფასებო ჩვენ: ცხოვრების წამების გზაგამოვლილმა, გამოცდილმა, მცოდნე, მორწმუნე ადამიანებმა, რომ ცხოვრების ნათელ გზაზე დავაყენოთ შთამომავლობა და ჩვენ პირნათელნი წავიდეთ გარდაცვალებით

იმ სამოთხეში, მარადიულ სიცოცხლეში რომელიც გველოდება.

ფონდ „სამშობლო“-ს ანგარიში გახსნილია:

სს საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი: 22,

გაგარინის ქ. 29ა. თბილისი, საქართველო

ააიპ სრულიად საქართველოს გადარჩენის ფონდი „სამშობლო“

ა/ნ 07000000346055459

ვინც ამ დიდ საქმეს ხელს შეუწყობს და დაგვეხმარება შესაძლებლობის მიხედვით უფალი ღმერთი მათ შვიდწილად მეტს მიაგებს, ხოლო ჩვენ მისი უაღლესად დიდი მადლიერი ვიქნებით მისი კაცობისათვის.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ვისაც რამე წინადადება ან კითხვა გექნებათ; გთხოვთ დამიკავშირდეთ ტელეფონის 555 75 78 10 ომარ ცხვარაძე.

***ომარ ცხვარაძე,***

*აკადემიკოსი*

*საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა“*

*28 აგვისტო 2020 წ.*

# ბოლო ჟამი

## ბოროტ ძალთა დამარცხება, კეთილთა გამარჯვება.

*„ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია“*
***შოთა რუსთაველი***

*„ო, ღმერთო ჩვენო, სულ ძილი, ძილი,*
*როდის გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“*
***ილია ჭავჭავაძე***

მეოცე საუკუნე იყო: კეთილ და ბოროტ ძალთა ურთიერთ ბრძოლის წლები. დასაწყისში მომზადდა საზოგადოება, რომ კეთილ ძალას დაემარცხებინა ბოროტება. ამ დროებითმა გამარჯვებამ მოგვიტანა, რომ ჩამორჩენილი რუსეთი, მასთან გაერთიანებული ქვეყნები ერთად გამხდარიყვნენ მსოფლიოში უძლეველნი, იოსებ სტალინის მეთაურობით. ამის შემდეგ, როდესაც კომუნისტური პარტია, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, შეივსო ექვსას სამოცდა ექვსის; ბაბუების, შვილების, შვილიშვილების წარმომადგენლებით; რომლებმაც გააუქმეს სკკპ-ია, დაშალეს საბჭოთა კავშირი რესპუბლიკებად და ასე მოხერხდა საქართველოს ნაწილობრივ განთავისუფლება რუსეთის მმართველობის სისტემიდან. თუმცა ქართველ ქუჩის პოლიტიკოსთა მიერ საქართველო გამოვიდა ერთი ქვეყნის მფარველობიდან და მოექცა სხვა ქვეყანათა გავლენის ქვეშ.

ვერა და ვერ მივაღწიეთ ქვეყნის მართვის დამოუკიდებელი სისტემის შექმნას; რადგან მათ არ გააჩნიათ საამისო ცოდნა და გამოცდილება. ყოველ საქვეყნო საკითხს უთანხმებენ ქვეყნის გარეთ მყოფ ზოგიერთ უცოდინარებს და ამიტომაც მიდის საქართველოს, როგორც ქვეყნის, ასევე მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის საქმე ასე უკუღმა....

ზეციური ღვთიური ცოდნით ცნობილია, რომ უახლოეს ათ წელში, ყოველი „ბიბლიური" წინასწარმეტყველება ახდება, დადგა ბოლო ჟამი, რაც იმის მაუწყებელია, რომ „ბოლო უნდა მოეღოს, ბოლო დანაშაულს."

კაცობრიობის უდიდესი გენიალური შემოქმედი შოთა რუსთაველი გვასწავლის; „უღმრთოდ ვერას ვერ გავხდები, ცრემლი ტყუილა მედინების, განგებასა ვერვინ შეცვლის არ საქმნელი არ იქნების." „განგებით ქმნილსა რისხვასა, ვერავინ დარიდებია" ...

ვიცით, რომ დედამიწა ელიფსის წვერზე ბნელში, ორმოცსაუკუნოვანი მოძრაობიდან ორიათას წელს სამოძრაოდ გადავიდა ელიფსის გვერდზე, უფალი ღმრთის ნათელ სივრცეში. გარდამავალი პერიოდი ორმოცი წელი დასრულდა 2020 წელს.

ცნობილია, რომ ამ დროისთვის დედამიწაზე დაგროვილია იმდენი ადამიანთა და საერთოდ სიცოცხლის მასიური განადგურების იარაღი, რომ დედამიწა ასჯერ მეტი დიდი რომ იყოს, მასზე სრულიად მოსპობდა სიცოცხლეს.

არსებობს ხალხმრავალი, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ მზაკვრული, განუხორციელებელი, ბოროტი სურვილები რომ გახდნენ მსოფლიოს ბატონები, მბრძანებლები, ერთმართველნი და მის ნება სურვილზე მართონ კაცობრიობა. მსგავსი სურვილით წარსულში მრავალი ქვეყანა იბრძოდა. ისინი, როგორც ცნობილია

ყველა განადგურდა, საკუთარ ხელმძღვანელთან ერთად, სამყაროს შემქმნელისა და მართველის, უფალი ღმერთის მიერ ....

უფალი ღმერთი მის მიერ შექმნილ და მოწესრიგებულ სამყაროს, სიცოცხლეს დედამიწაზე; ბოროტმოქმედთ არ მოასპობინებს; არამედ პირიქით: ხარბ, გაუმაძღარ სატანებს, ბოროტმოქმედთ გაანადგურებს. დატოვებს მხოლოდ სიცოცხლის გასაგრძელებლად: მორწმუნე, მშრომელ, პატიოსან, ღირსეულ ადამიანებს.

ვინც უფალი ღმერთის ნების აღსრულებას შეეწინააღმდეგება, უნდა იცოდნენ, რომ განწირულნი არიან. შეგახსენებთ: გერმანელ გენიოს, ალბრეხტ დიურერის გამოთქმას; „ვინც მთელ მსოფლიოს ეპოტინება, მასვე წალეკავს ჟამთა დინება“. რა თქმა უნდა ეს ჭეშმარიტება უნდა იცოდეს ყოველმა ქვეყნის მმართველმა; პრეზიდენტმა, მთავრობის, პარლამენტის თავმჯდომარეებმა და საერთოდ ყველამ.

დედამიწის შესვლა უფალი ღმერთის ნათელში, გვამცნობს; რომ უფალი ღმერთი ჩვენთანაა და ჩვენ მასთან ვართ. რაც აქამდე იყო ჩვენთვის გაუგებარი, უცნობი, ამჟამად ყველაფერი გასაგები, ცნობილი ხდება; ყოველი დაფარული, იდუმალი, ბოროტი თუ კეთილი საქმეები. თუ ამის სურვილი და სათანადო ცოდნა გვაქვს. ზეციური ღვთიური ცოდნა, რომელიც ქართველმა ერმა დაკარგა, „ოქროს საწმისის“ სახით; ცოდნა ოქროს ხანაში ცხოვრების შექმნისა და არსებობის შესაძლებლობის შესახებ; ასევე დაკარგა ფუნქცია, რომ უფალ ღმერთის კარნახით ემართა დედამიწაზე სიცოცხლე, წესრიგი, სიმართლე და აქედან გამომდინარე - სამართალი; რაც ისრაელის უშუალო სამოქმედო ფუნქციაა. გაირკვა, რომ სიტყვა ისრაელი განიმარტება, აიხსნება ქართული ენით; „ლაზარე“-თი და ნიშნავს: ის-რა-ელი-ს?

ისმის კითხვა, ვის? დედამიწაზე სიცოცხლეს. რაც იმართება უფალი ღმერთის მიერ; ისრაელის, იგივე საქართველოს უშუალოთ მოქმედებითა და შემოქმედებით.

ორიათას წელს, დაპირებისამებრ იესო ქრისტე ხელმეორედ გამოცხადდა ისრაელში (საქართველოში) დედამიწაზე. მან შეძლო, ოთხიათასი (ოთხი დღის; ერთი დღე უფლისათვის, ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“) წლის წინათ ნაწილობრივ მიძინებული ქართული ენა მკვდრეთით აღედგინა, მთელი ძალით აამოქმედა. ამის შემდეგ გაიხსნა მრავალი საიდუმლო, წინასწარმეტყველთა თქმული მრავალი იდუმალი რჯულის კანონები, წმინდა წერილები, „ბიბლია“, უფალი ღმრთის კარნახით დაწერილი წმინდა წიგნები, ბრძანებები, კანონები და სხვა;

უამრავი იდუმალება ნათელი გახდა. გაირკვა ისიც, რომ ღმერთის მიერ ნაკარნახევი ყოველი სიბრძნე მხოლოდ ზეპირსიტყვიერად არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან მოსალოდნელი იყო მრავალი შეცდომების დაშვება და დაინტერესებულ პიროვნებამდე დამახინჯებულად მივიდოდა ღმერთის მიერ ნაკარნახები აზრი, ცოდნა, ბრძანებები თუ კანონები. ამიტომ აუცილებელი გახდა ბგერების შესაბამისად შექმნილიყო ასო ნიშნები, ასევე შექმნილიყო დამწერლობა. დიახ, პრიველი დამწერლობა შექმნილია ისრაელში, იგივე საქართველოში და ოთხი სახეობის ყველა დამწერლობა ეკუთვნის ისრაელს; იგივე საქართველოს. ამის შემდგომ გავრცელდა ის თანდათანობით მთელს მსოფლიოში. შედეგად კი შეიქმნა მწერლობა, განათლება, კულტურა ხელოვნება, მხატვრობა, მეცნიერება, ქვეყნის მართვის სისტემები, კონსტიტუცია და სხვა სიცოცხლის საარსებო პირობები, რომ ადამიანებს გვეცხოვრა მშვიდობიანად და კარგად; უფალი ღმერთის ნების შესაბამისად წუთისოფელში...

როგორც ხილვით შევიტყვე; 2031 წლის 15 ივნისისთვის ყოველი ბიბლიური წინასწარმეტყველება აღსრულდება. უახლოეს ათ წელიწადში დაიწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში; ამის შემდეგ ოთხასი წელი დედამიწაზე იქნება ცხოვრების ბრწყინვალე ხანა; „ცხოვრების ოქროს ხანა“ გადარჩენილი ადამიანებისა და მათი შთამომავლობისათვის. ამის შემდეგ გამოჩნდება ბოროტების მარცვალი, გაღვივდება, გამრავლდება და მესამე ათასი წლისათვის იგივე მეორდება“. მაშინ ვინც გამოიყენებს ამ ცოდნას ყველანი გადარჩებიან და გააგრძელებენ სიცოცხლეს.

ღმერთმა დამიფაროს, რომ რასაც ვიტყვი საქართველოში მცხოვრებ „ისრაელიტებზე“, „იუდეველებზე“, „ურიას ტომის წარმომადგენლებზე“, „ბოლოდროინდელ კომუნისტებზე“, „მხედრიონელებზე“, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“, „მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობის“, „ოცნების“ წევრებზე ის ყველა მათთაგანს ეხებოდეს, არამედ შეეხება მხოლოდ მათ; ვინც პირადი გამდიდრების მიზნით ძარცვავენ ქვეყანა საქართველოს, მოყვასსა და შთამომავლობას ან კიდევ მათ ყოველ მხარდამჭერს, ისინი რომელნიც: ანგარების, ფულის, თანამდებობის და მათი შემდგომ გამოყენებისათვის ირჩევენ მათ, რომ ძარცვონ ქვეყანა და მოსახლეობა ...

თუმცა უფალი ღმერთი იმდენად დიდსულოვანია, რომ კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს: მოვიდეთ გონს, შევიმეცნოთ სატანა, დამნაშავენი, ბოროტეულნი და გავარჩიოთ ისინი უდანაშაულო მამულიშვილებისაგან; ბოროტები კეთილშობილი ადამიანებისაგან;

გვახსოვდეს; ჩვენ ვართ ქრისტიან მართლმადიდებელნი, სიმართლის შემქმნელი და დამცველნი. მაშინ როდესაც ღმერთის ნათელში ვცხოვრობთ უნდა შევიმეცნოთ უფალი

ღმერთის სიკეთის სამართლიანი გზა და განვაგდოთ ყოველგვარი ბოროტება, რომელიც მოგვიტანს არა მდიდრულ ბედნიერებას, არამედ სასტიკ უბედურებას.

ყოველი ძალადობით მითვისებული ქონება, ფული დაუბრუნოთ მის კანონიერ მემკვიდრეებს: ქვეყანას, მის მოსახლეობას. ამავე დროს შემდგომში უფალი ღმერთის ნათელში ვივლით უცოდველად, ღმერთის წესებით, კანონებით, ბრძანებების შესაბამისად; მაშინ მათ არცერთი წინათ ჩადენილი ცოდვები არ გაუხსენდებათ და შთამომავლობასთან ერთად იცხოვრებენ ბედნიერად წუთისოფელში ...“

წარსულში, რაც საქართველოში ხდებოდა, იყო უფალი ღმერთის ნებით გატარებული. ისრაელის დაცემა, ნაწილობრივ დასუსტება, შემდგომ ღირსეული პიროვნების ქვეყნის მწყემსად შერჩევა და მისი მოვლინება იყო ღმერთის უშუალო მოქმედებით გამოწვეული; ასე ხდებოდა საქართველოს აღმასვლა და გაძლიერება; ხოლო შემდგომ, რომ არ გათავხედებულიყვნენ და მსოფლიო ბატონობა არ მოესურვებიათ, ღმერთს არ შეცილებოდნენ კაცობრიობის, მსოფლიოს მართვაში, ამიტომ მათ შემოასევდა გარეშე მტერს, გააჩანაგებდა ქვეყანას და თავიდან დაიწყებოდა ქვეყნის აღდგენა აღმშენებლობა. ასე მეორდებოდა მთელი საქართველოს ისტორია, რომელიც თავიდანაა დასაწერი; თუმცა ამ ისტორიას გარკვეულ წილად წმინდა წიგნი „ბიბლია“ გადმოგვცემს.

საქართველოს გაერთიანება, ერთ მართველ ძალად, რომ არ შემდგარიყო, ერთ აზროვნებით არ ემოქმედათ; ამიტომ უფალმა ღმერთმა ჩამოაყალიბა სამი მიმდევრობის ქართველი მოსახლეობა.

ისრაელიტები, მორწმუნე, ერისა და ქვეყნის მომავლისათვის მებრძოლი პიროვნებები; (მოსახლეობის გარკვეული ნაწილი).

იუდეველები ქართული მოსახლეობის ნაწილისა და უცხოელ, საქართველოს მოქალაქეთა გვარგამოცვლილი მოღალატენი. (რა თქმა უნდა ყველა არა)...

ურიას ტომის წარმომადგენლები, „ყველაზე მცირე, პატარა კუთხის შვილები, რომლებიც მოვლენ ქვეყნის მართველებად და ისრაელს მიწასთან გაასწორებენ“ (მხოლოდ ნაწილი).

დიახ; თუ საქართველოს, მის მოსახლეობას უჭირს გაერთიანება, რომ ქართველი ხალხი ერთ მუშტად გაერთიანდნენ და ერთიანი იდეებით იბრძოლონ, ქვეყნის აღმშენებლობისა და ბედნიერი მომავლისათვის; ამას ხელს უშლიან, ეწინააღმდეგებიან იუდეველები. ამიტომ ქართველი ხალხის წინაშე მუდამ იდგა ერთი ამოუცნობი საკითხი: ვინაა მტერი და ვინაა მოყვარე. ამ კითხვის ამოსაცნობად აუცილებელია ცოდნა, რომელსაც ჰქვია ზეციური ღვთიური ცოდნა, გადმოცემული „ბიბლიაში“.

უფალმა ღმერთმა დედამიწაზე სიცოცხლე, რომ შეინარჩუნოს, ამიტომ შექმნა საკუთარი ერი ისრაელიტები, ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი და მას უწოდა „ჩემი ერი და აღიარა, რომ მე ვარ მათი ღმერთი“.

გავიხსენოთ იოსებ სტალინი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სასწავლებელი და სასულიერო სემინარიიდან, რევოლუციური საქმიანობისთვის ბოლო კურსიდან გარიცხეს, თუმცა ძალიან კარგად იცოდა „ბიბლია“, ზეციური ღვთიური ცოდნა და ამიტომაც შეძლო ჩამორჩენილი, მეფის რუსეთი ააშენა დედამიწაზე ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად. მან და ლავრენტი ბერიამ ზეპირად იცოდნენ საბჭოთა კავშირში აღზრდილი ორმოცდაორი აგენტი, დაგზავნეს მსოფლიოს ძირითად ქვეყნებში, დააფინანსეს და ამზადებდნენ მათ, ამ ქვეყნებში პრეზიდენტებად დაესვათ;

ორ ქვეყანაში შეძლეს კიდეც. ასე მოეხდინათ მსოფლიოს განითლება, მაგრამ სტალინს გაახსენდა, რომ ღმერთის ნებით ეს შეუძლებელი იყო და შეწყვიტა მოქმედება, თუმცა ამ ამბის შემდეგ იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია მალე გარდაიცვალნენ ...

„მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელობამ, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის დროს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მთელი დოკუმენტაცია გაანადგურა, ისევე როგორც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო დოკუმენტები. თუმცა ფაქტები რაც იყო მანამდე მაინც შემორჩა; დაახლოებითი ცნობები, სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილია, თუმცა მომავალში შესწავლილი და დაზუსტებული იქნება.

საქართველოს გააჩნდა 560 მილიარდი მანეთის უძრავ-მოძრავი ქონება, ძირითადი ფონდებისა და საშუალებების სახით. მაშინ როდესაც სამოცდაცამეტი კაპიკი იყო ერთი აშშ დოლარის ექვივალენტი. ასე რომ ჩვენთვის უფრო ნათელი რომ იყოს, საქართველოს, სახალხო ქონების სახით გააჩნდა დაახლოებით შვიდასი მილიარდი აშშ დოლარის ქონება; დაახლოებით ასოთხმოცი მილიარდი დოლარის საბრუნავი საშუალებები; მოსახლეობას ფულადი დანაზოგები შემნახველ სალაროებში შენახული ჰქონდათ დაახლოებით ასი მილიარდი მანეთი, და ა. შ. იყო ყველა შრომის უნარიანი მოსახლეობა დასაქმებული: ქვეყანაში იყო თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელი, ძლიერი მეცნიერებათა აკადემია, მეტალურგიული კომბინატი, ავტომშენებელი, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, გემთმშენებელი, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა და მრავალი სხვა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ქარხნები, ფაბრიკები. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იყო მსოფლიოში განათლებით პირველ ადგილზე;

მოსკოვთან, ლენინგრადთან ერთად საქართველო იყო მომარაგების პირველ კატეგორიაში...

ყოველივე ეს სიმდიდრე ბუნებრივ რესურსებთან ერთად;

საქართველოს მართვის სათავეში სატანების მოსვლის შემდეგ ყველაფერი გაანადგურეს გაყიდეს, და შექმნილი უკანონო, სატანური კანონებით, ძალადობით მიითვისეს, დაიკანონეს; ასე გახდნენ ექვსასსამოცდაექვსის შთამომავალნი მილიონერები, მულტიმილიონერები, მილიარდელები. ხოლო საქართველო გადაიყვანეს განვითარებად ქვეყანათა სიაში, როგორც არშემდგარი ქვეყანა.

ასე გაალატაკეს, გაქურდეს საქართველო და მისი მოსახლეობა. ყოველივე ეს ძალზე „გაუტკბათ" და ცდილობენ ქვეყნის მართვის სათავეში ისევ მოვიდნენ, ან ვინც მოსულია დიდხანს შეინარჩუნონ ქვეყნის მართვის სათავეში ყოფნა, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი ქონება შეიძინონ უფალი ღმერთისა და ქვეყნის უძღომმა „შვილებმა" ...

მოსახლეობის ნაწილი ისე გაალატაკეს, რომ ზოგიერთ მათგანს, უმუშევართ, პურის ფული არ გააჩნიათ, სანაგვე ყუთებში ეძებენ ნარჩენებს. ვინც ადრინდელ ცხოვრებას მოესწრო, შევახსენებ მათ, მაშინ გინახავთ ქართველი კაცი ან ქალი, რომ მათხოვრობდა ქუჩაში? ეხლა ნახეთ რამდენია...

ასეთმა უღღეურმა, უსუსურმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც ქვეყნის სათავეში მოვიდნენ; საკუთარი თავი „კანონიერ ქურდებად დაიკანონეს: ხალხის დაშინებით, მოსყიდვით, ცრუ დაპირებებით. ეხლა ჰგონიათ უკვე ყველაფერი მათ ხელშია. ისინი ხომ „ნაციონალურ მოძრაობასთან" მათ საქმიანობასთან, მის წინამორბედებთან „კოჰაბიტირებულნი" ურთიერთ შეთანხმებულნი არიან, რომ ერთიმეორეში გაიყონ ქვეყნის დოვლათი და იცხოვრონ „კარგად" ...

მიუხედავად ყოველივე ამისა: ე. შევარდნაძემ დაგვიტოვა ორი მილიარდი აშშ დოლარის საგარეო ვალი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „თერთმეთნახევარი“ მილიარდი აშშ დოლარი საგარეო ვალი; თითქმის ამდენივე „ოცნებამ“. მთლიანად სულ შეადგენს საგარეო ვალი დაახლოებით ოცდასამ მილიარდ აშშ დოლარს. ხოლო საშინაო ვალი შეადგენს დაახლოებით ორმოცდახუთ მილიარდ აშშ დოლარს. გაანგარიშებით გამოდის, რომ საქართველოში ყოველ ახლაშობილ ჩვილს, შვიდი ათასი აშშ დოლარი ვალი უკვე აქვს გადასახდელი, ამ დროს ოცნების ზოგიერთი წევრი ამბობს, „ხომ შედგა და გვაქვს საქართველო ქვეყნად“???

„ოცნება“ ყველა წინამორბედ პარტიათა მოქმედების კატეგორიაში გადიან; ხოლო მათ შერჩათ რაღაც გარკვეული სინდისი, მოსახლეობის მიმართ ზრუნვაზე, ამიტომაც მათ მხარი დაუჭირა ამომრჩევლებმა, რომ ოღონდ ჯალათი, სვინდის დაფერფლილი ნაციონალები არ დაბრუნებულიყვნენ, ყოველი უბედურება ისევ არ მომხდარიყო, არ განმეორებულიყო. თუ არ ჯერავთ „ოცნების“ წევრებს, მაშინ მიპასუხონ შეკითხვაზე, წინა მე-9 მოწვევის პარლამენტში მათ ხომ დაახლოებით ორმოცდასამი მილიონერი, მულტიმილიონერი, მილიარდელი (ფულით) არჩეული დეპუტატები ჰყავდათ და თუ მათ დაუმატებთ „ნაციონალ“ მულტიმილიონერ, მილიარდელებს, მაშინ გამოდის, რომ პარლამენტში დაახლოებით სამოცდახუთი დეპუტატი, ქვეყნისა და მოსახლეობის გამყიდველი პიროვნებები არიან. მათ, როგორც ქურდებმა, კანონიერ ქურდებად დაიკანონეს საკუთარი თავი და ისეთ კანონების მიღებას დაუჭერენ მხარს, რომელიც მათ აწყობთ. ილია ჭავჭავაძე ამბობს: „მდიდარსა და ღარიბს შორის სიყვარული სიზმარია, მათ

შორის ხიდია ჩამტვრეული“. კარლ მარქსი ამბობს „კაპიტალიზმი თავის წარმოშობისთანავე წარმოშობს მისივე მესაფლავე პროლეტარიატს (გაღატაკებულ მოსახლეობას). წარმოიდგინეთ საქართველოში რამდენი კაპიტალისტი ცხოვრობს და რამდენი მესაფლავე ემზადება მათ მოსაშორებლად ....

ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, რომ თითოეული ჩვენთაგანი პასუხს ვაგებთ ჩვენს მიერ არჩეულ პიროვნებაზე, პიროვნებებზე; რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველი ცოდვა ჩადენილი მათ მიერ აისახება ჩვენს ცხოვრებაზე და თანამოზიარენი გავხდებით იმ ცოდვებისა, რასაც ისინი ჩაიდენენ ქვეყნისა და მოსახლეობის მიმართ. ამდენად არ ღირს იმ მცირეოდენ ლარებზე, თანამდებებზე, ცრუ, ყალბ დაპირებებზე ხმის მიცემა სატანების მიმართ, რაც მკაცრად დააზიანებს ჩვენს მომავალ ცხოვრებას. ისინი ხომ მათ მიერ დახარჯულ თანხას ერთს ასად ამოიღებენ, რომ კიდევ უფრო გამდიდრდნენ და გააღატაკონ ქვეყანა, მოსახლეობა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნუ ველოდებით საკმაოდ ცნობილ ე. წ. პარტიებიდან რაიმე ახალს; ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ არცერთ იმათთაგანს არ გააჩნიათ პროგრამა თუ როგორ გამოიყვანონ ქვეყანა ამ უსასტიკეს მდგომარეობიდან.

ქვეყანაში რომ განუკითხაობაა ამის პასუხად ერთ ფაქტს მოვიყვან; ნაციონალთა მიერ ქვეყნის მართვისას, ერთმა არასრულწლოვანმა, შიოდა და ერთი ფუნთუშა მოიპარა, მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ხოლო გიგი უგულავამ თბილისის მერობისას ორმოცდარვა მილიონი ლარი ბიუჯეტიდან, სახალხო ქონებიდან მოიპარა და ხუთი წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რამდენიმე კვირაში საქართველოს პრეზიდენტმა ის შეიწყალა და

გაათავისუფლეს. „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ მოსამართლენი, მუდმივ მოსამართლეებად დაენიშნათ, რადგან მათ როდესაც მოუწევთ პასუხისგება, იმ სიცრუეზე, ყალბ დაპირებებზე, საგარეო ვალების აღებაზე და უამრავ სხვა ბოროტებაზე ჰგონიათ მათ მიერ დანიშნული მოსამართლენი გაასამართლებენ და იოლად გამოძვრებიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, მათი განაყოფები, ე. წ. ოპოზიცია გააფთრებით იბრძვიან ქვეყნის მართვის სათავეში განმეორებით მოვიდნენ და რაც გადაურჩათ გაუნადგურებელი, ისიც გაანადგურონ. დახარჯეს მრავალი ნაქურდალი თანხები და ეხლა ცდილობენ ამ თანხის ასმაგად მაინც ამოღებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ „ნაციონალებს“ მათ სატელიტ ე. წ. ოპოზიციურ პარტიათა ხელმძღვანელებს უფალი ღმერთის ნებით დაეკარგათ ცნობიერება და სინამდვილეში გამარჯვებულ პარტია „ოცნებას“ არ ცნობენ, მაშინ როდესაც ხალხს ისე სძულს ისინი არჩევნები თავიდან რომ ჩატარდეს (რა თქმა უნდა შეუძლებელია) მათ იმის მეათედიც არ მისცემს ხმებს, რომლებმაც უკვე მისცა. ამიტომ სჯობს შეეგუონ დაკარგულ თანხებს და აღიარონ ჭეშმარიტება, ოცნების გამარჯვება, შეეგუონ მათზე მოწეულ დამსახურებულ რისხვას.

ყოველივე ის, რაც ძალზე მოკლედ გესაუბრეთ ალბათ დაგაფიქრებთ საიდან ვწერ ყოველივე ამ ჭეშმარიტებას. გეყოთ მოთმინება და ბოლომდე წაიკითხეთ წერილი; რადგან მოვყვები „ბიბლიაში“ გადმოცემულ ზეციურ ღვთიურ ცოდნას, ვინა ვართ ჩვენ, საიდან და როგორ მოვედით დღემდე და როგორ ვიცხოვრებთ მომავალში ....

პავლე რომ. 11-14. თუმცა რა გასაკვირია, თავად სატანაც, ხომ სინათლის მსახურთა სახეს იღებს?

11-15 და რა დიდი საქმეა, მისი მსახურნიც სიმართლის მსახურთა სახეს იღებენ? მაგრამ მისივე საქმეთაებრ იქნება მათი აღსასრული.

იობი 1-7. სატანა საიდან მოდიხარ? ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.

20-5 ბოროტეულთა სიხარული ხანმოკლეა, უღვთოს ლხენა წამიერი.

20-6. თუნდაც ამაღლდეს მისი დიდება და მისი თავი ღრუბლებს მიწვდეს.

20-7. თავისი განავალივით გაქრება საბოლოოდ. იკითხავენ სად არისო.

20-1. მისი შვილები შეურვდებიან გალატაკებულთ და თავისი ხელით დაუბრუნებენ დოვლათს.

20-11. სიჭაბუკით სავსე, მისი ძვლები, მასთან ერთად ჩაესვენებიან მიწაში.

20-28. წალეკავს წარღვნა მის სახლს, დოვლათს - ღვთის რისხვის დღეს.

38-15. წაერთმევათ ბოროტეულთ მათი ნათელი და აღმართული მკლავი შეიმუსრება.

აქ საუბარია: ბაბუებზე, შვილებზე და შვილიშვილებზე; მათ შორის შვილიშვილები, რომლებიც ბოლო ოცდაათი წელია ძარცვავენ ქვეყანასა და მოსახლეობას.

პავლე ებრაელთა მიმართ: 12-6. რადგან ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს.

12-8. ხოლო თუ შორს ხართ აღზრდისაგან, რომელიც საზიანოა ყველასათვის, ნაბუშვრები ხართ და არა შვილები.

ოსია: 8-4. მეფე დაისვეს ჩემს უნებართვოდ, მთავრები დაისვეს ჩემს დაუკითხავად, თავიანთი ოქრო-ვერცხლით გაიკეთეს კერპები, თავის დასაღუპავად.

8-8. ჩაიყლაპა ისრაელი, ახლა უსარგებლო ჭურჭელივით არის ხალხს შორის.

11-9. აღარ ავინთები რისხვით, აღარ აღვიძვრები ეფრემის დასაღუპავად, რადგან ღმერთი ვარ მე და არა კაცი. მე წმიდა ვარ თქვენს შორის და რისხვით არ მოვალ.

იგავნი სოლომონის: 25-16. თუ თაფლი იპოვე იმდენი ჭამე, რამდენიც შეგერგება, რომ არ გატყვრე და უკან არ ამოანთხიო.

იმ პარტიებმა, რომლებიც ქვეყნის მართვაში მონაწილეობას იღებენ ქვეყნისა და მოსახლეობის გაძარცვით დააგროვეს ფული; შეიძინეს ოფისები, დააფინანსეს წევრები, ასე შეიქმნენ ბოროტ ძალად. ახდენენ მოსახლეობის ნაწილის მოსყიდვას, შედიან პარლამენტში და ფიქრობენ მხოლოდ პირად გამდიდრებაზე. ჩვენ, პარტია „სამშობლო"-ს დამფუძნებლებს როდესაც ე. შევარდნაძემ შემოგვთავაზა სურვილის მიხედვით აგველო სესხი ბანკიდან, უარი განვაცხადეთ; ხოლო მაშინდელმა „მოქალაქეთა კავშირმა", სხვებმა მილიარდობით მანეთი აიღეს. შემდგომ მოახდინეს მანეთის გაკუპონება, ინფლაცია ერთი მანეთის ერთ მილიონ კუპონთან და სახელმწიფოს დაუბრუნეს ვითომ აღებული სესხი და გადაუხადეს იმ რაოდენობის კუპონი, რამდენიც მანეთის სახით ჰქონდათ მიღებული. ასე დაიწყეს ქვეყნის ქონების ძარცვა... ბორჯომის წყლები, ჩამომსხმელი და მინის ტარის ქარხნები ჩვიდმეტ მილიონ კუპონად გაიყიდა (იყიდა მამუკა ხაზარაძემ) და სხვა.

დადგა ბოლო ჟამი, რადგან ბოლო უნდა მოეღოს ბოროტებას, ქურდობას, ქვეყნისა და მოსახლეობის გალატაკებას, სიცრუეს, ორპირობას, დაცინვას მშრომელ და პატიოსან ადამიანებზე და ა. შ.

ყოველ არჩევნებზე მართველი პარტია იყენებს არჩევ-

ნების დროს არსებულ სამართველო ადმინისტრაციულ ძალებს, შინაგან საქმეთა და სამხედრო ძალებს, მათ მიერ დასაქმებულ ნათესავებს, ახლობლებს აზამენ არჩევნებში; ასევე მილიონერებს მაჟორიტარულ დეპუტატთა კანდიდატებად. ახდენენ მოსახლეობის ცრუ დაპირებებით გაბრუებას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უხდიან ძალზე გაბერილ ხელფასს, თვეში დაახლოებით ოცდათხუთმეტი ათას ლარს და სხვა. ასე იყო ადრეც. 2012 წელს ნაციონალებს გარანტირებული ჰქონდა კიდევ მოსულიყვნენ ქვეყნის მართვის სათავეში. თუმცა მათ მიერ შექმნილმა უსასტიკესმა მდგომარეობამ გადაწყვიტა მათი ბედი. რადგან აშშ ვერ დაუშვებდა საქართველოში მძლავრ სახალხო აჯანყებასა და ქაოსის შექმნას, რადგან დაკარგავდა მის გავლენას საქართველოში; ამიტომ 2012 წლის არჩევნების წინა დღეებში აშშ პრეზიდენტმა დარეკა მიხეილ სააკაშვილთან და ესაუბრა; „ნაციონალური მოძრაობა ორი არჩევნების შემდგომ უნდა წავიდნენ, მოვა სხვა პარტია და ისიც იქნება ორი არჩევნები. ამის შემდგომ შეგიძლიათ იბრძოლოთ ქვეყნის მართვის სათავეში დასაბრუნებლად“. ამიტომ იყო ნაციონალური მოძრაობა ასე ძალადობით, მრავალი ნაქურდალი ფულის დახარჯვით, ამომრჩევლთა მოსყიდვით შეძლებდნენ დაბრუნებას და რაც გადაურჩათ დაუნგრეველი და შეუჭმელი იმასაც გაანადგურებდნენ.

მართალია თვითონ ასე ფიქრობდნენ, მაგრამ უფალი ღმერთი, გამოფხიზლებული საქართველოს მოსახლეობა სხვაგვარად ფიქრობენ. ის რაც მოხდა სწორია. „ნაციონალური მოძრაობის“ ყოველი ბინძური საქმიანობა ცნობილია და მათი მზე უკვე კარგა ხანია ჩასულია, რომელიც არასოდეს ამოვა და არ შეგვაწუხებს.

საინტერესოა, სანამ უნდა ეძინოს ქართველი ხალხის

მნიშვნელოვან ნაწილს, რომ გამოიფხიზლონ, გამოიღვიძონ და მიხვდნენ ვინაა მტერი და ვინაა მოკეთე, კეთილშობილი. ოც-ორმოცდაათ ლარზე არ გაყიდონ საკუთარი სული, ოჯახი, შთამომავლობა და სამშობლო.

პავლე რომ. 8-16. იგივე სული უმოწმებს ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილნი ვართ.

8-17. ხოლო თუ შვილნი ვართ, მემკვიდრენიც ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუკი მასთან ვევნებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ.

8-19. ვინაიდან ქმნილების სურვილი სასოებით მოელის ღმერთის ძეთა გამოცხადებას.

9-3. ასე, რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლისა და ხორცის გამო.

9-4. რომლებიც არიან ისრაელიტნი, და რომლებსაც ეკუთვნით ძეობა და დიდება, მცნებათა და რჯულის დება, ღვთის მსახურება და აღთქმანი ...

9-5. მათნივე არიან მამანი, რომელთაგან ხორცეულად არის ქრისტე ღმერთი, ყველაზე ამაღლებული, კურთხეული უკუნისამდე ამინ.

9-27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელისთვის; ისრაელის ძეთა როცხვი იმდენიც რომ იყოს, რამდენიც ქვიშაა ზღვისა, მხოლოდ ნაწილი თუ ცხონდება.

უნდა ვიცოდეთ, თუ ცხონება და სულის მარადიული სიცოცხლე გვსურს, მხოლოდ ქართველობა როდი კმარა, არამედ მთელი სულით, გულით, აზროვნებით, მოქმედებით უნდა შევიყვაროთ უფალი ღმერთი და მისი შემოქმედება; დავემორჩილოთ მის ნების აღსრულებას დედამიწაზე, ჩვენს ქვეყანაში.

10-20. ხოლო ესაია კადნიერდება და ამბობს: ვეპოვნინე

მათ, რომელნიც არ მეძებდნენ და გამოვეცხადე მათ, რომელნიც არ მკითხულობდნენ.

დიახ, დღესაც ასეა, თუ ქართველ ხალხს არ ეპოვნინე, ისე არ ეძებენ გადარჩენის, ნორმალური ცხოვრების გზას; მხოლოდ საჭმელი და ძილი უყვართ; შრომა, აზროვნება, მოქმედება, კი არ სურთ. ელოდებიან ვინ რას მისცემს, რომ მიირთვან, ხოლო საკუთარი შრომით, აზროვნებით რომ იარსებონ არ სურთ. ასევეა დღევანდელი და ადრინდელი მთავრობები, პარლამენტი, პრეზიდენტი. ხელგაწვდილი დადიან, რომ იქნებ რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელობას დატყუონ რაიმე, შემოიტანონ, მიითვისონ, დაისაკუთრონ ...

ყოფილმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კვირიკაშვილმა, ერთ დღეს ტელეგადაცემაში მოიღრიცა კისერი და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განაცხადა: „ჩვენ საგარეო ვალი ორნახევარი მილიარდი აშშ დოლარი უნდა ვისესხოთ; რა თქმა უნდა სესხი მიიღეს, ლარის კურსი გაანახევრეს, შემოტანილი დოლარები, ლარებზე გაყიდეს და ასე მოატყვილეს მოსახლეობა, პენსიონერები: რომ ხელფასები, პენსიები გაგიზარდეთო. აქვე მინდა ავღნიშნოთ, რომ 2013 წლის დასაწყისში ჩვენ უკვე გვქონდა ასორმოცდაათი ლარი პენსია „ოცნების“ მოსვლამდე. ერთი აშშ დოლარი ღირდა 1,65 ლარი, ე. ი. დაახლოებით ჩვენი პენსია იყო ოთხმოცდათერთმეტი აშშ დოლარი. ასე მოახერხეს მათი აზრით ჩვენი მოტყუილება პენსიები შემცირდა სამოცდახუთ დოლარამდე და ასი დოლარი ვერა და ვერ მოიმეტეს, რომ გაეზარდათ პენსიები. ამბობდნენ ფასები არ გაიზრდებაო. გაიხსენეთ მაშინდელი ფასები, შეადარეთ დრევანდელ ფასებს, თითქმის გაორკეცდა. ასე გვატყვილებს „ოცნების“ წევრები, ხელმძღვანელობა რომლებიც მიიღებენ უახლოეს მომავალში ღმერთის და ხალხის

უსასტიკეს რისხვას სხვა დანარჩენ „კანონიერ ქურდებთან“ ერთად.

პავლე რომ. 11-1. ამრიგად ვამბობ: ნუთუ ღმერთმა განიშორა თავისი ხალხი? არამც და არამც; რადგან მეც ისრაელიტი ვარ, აბრამის თესლისა და ბენიამინის ტომისაგან.

სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ: რადგან ვიცი ისრაელი საქართველოა და პავლე, ესაია ისრაელიტები; ამდენად ბიბლიაში მოყვანილი ყველა წინასწარმეტყველი ქართველებია, მათ მიერაა ბიბლია დაწერილი ქართულ ენაზე.

11-2. არ განუშორებია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. ან იქნებ არ იცით, რას ამბობს წერილი ელიასათვის? როგორ შეჩივის იგი ღმერთს, ისრაელის გამო.

11-3. უფალო შენი წინასწარმეტყველნი მოკლეს და შენი საკურთხეველნი დაანგრიეს; მეღა დავრჩი და ეძებენ ჩემს სულს.

11-4. მაგრამ რას ეუბნება მას პასუხი ღმრთისა? მე დავტოვე შვიდი ათასი კაცი, რომლებსაც არ მოუყრიათ მუხლი ბაალის წინაშე.

11-5. ასეა ამჟამადაც. მადლისმიერი არჩევანით გადარჩა ნაშთი.

11-7. მერედა რა? რასაც ეძებდა ისრაელი, მას ვერ ეწია; ხოლო რჩეულნი ეწიენ, დანარჩენებს კი დაევსოთ თვალი.

11-8. როგორც დაიწერა: მისცა მათ ღმერთმა მთვლემარე სული, თვალნი, რომელნიც ვერ ხედავენ და ყურნი, რომელნიც ვერ ისმენენ.

ამიტომაც, უფალი ღმერთის ხელიდან აილო კრავმა წმინდა წიგნი „ბიბლია“ შეისწავლა და ახსნა საიდუმლო ჩანაწერები, ბეჭდები და მოგვაწოდა ჩვენ შესასწავლად და აღსასრულებლად. „საიდუმლონი რომლის შესახებ დუმდა

საუკუნენი“. ორმოცი საუკუნეა, ოთხი ათასი წელი ანუ ოთხი დღეა, რაც ეს საიდუმლო არსებობს და ის ბოლო ჟამისთვის გაიხსნა, რომ მათი შთამომავალნი გადარჩნენ და ყველა ბოროტი სატანა განადგურდეს; აღდგეს დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობა, ალვაშენოთ ცხოვრების ოქროს ხანა და დამყარდეს ბედნიერი ცხოვრება ყოველგვარი ბოროტების გარეშე...

საამისოდ დაიწერა ჩემს მიერ მრავალი წიგნი, ზოგიერთი; დიდი წამების შემდეგ გამოქვეყნდა „ო-ს კარი“, „აისი საქართველოში“ ეს წიგნები დევს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, გაეგზავნა პატრიარქს, სინოდის წევრებს; საჩუქრად დაურიგდათ ჩემს მეგობრებს, მაგრამ ჯერჯერობით ყველანი დუმს. ზოგს ცოდნა არ ყოფნის და ვერ გაიგეს, ზოგს შური, ბოღმა ახრჩობთ და დამუნჯდნენ. კიდევ მრავალი წიგნია გამოსაცემი, მაგრამ პენსიონერს ამის საშუალება არ მაქვს. კეთილსინდისიერ, ქველმოქმედ, სამშობლოს, მოყვასის, შთამომავლობის ბედნიერი მომავლისთვის მოქმედ პიროვნებებს იშვიათად შეხვდები, რომ დამეხმარონ და გამოვცე ყველა ის შრომები, რაც დამიწერია და გაზეთებში გამომიქვეყნებია ... საამისოდ შევქმენი: „სრულიად საქართველოს გადარჩენის ფონდი „სამშობლო“ რომელსაც ანგარიში აქვს გახსნილი საქართველოს ბანკში კარგა ხანია, მაგრამ არავის არაფერი ჩაურიცხავთ. საბანკო რეკვიზიტები ეროვნულ ვალუტაში (ლარი) მიმღები ბანკი სს „საქართველოს ბანკი“: ბანკის კოდი 22 გაგარინის ქ. 29ა. თბილისი 0160, საქართველო. მიმღების ანგარიში ააიპ სრულიად საქართველოს გადარჩენის ფონდი „სამშობლო“ 07000000346055459 წიგნები იყიდება ვაჟა-ფშაველას ძეგლთან გაზეთების გამყიდველთან და მეტრო თავისუფლების მოედანსა და ყოფილ

პიონერთა სასახლეს შორის ბუკინისტური წიგნების გამყიდველ ირაკლი მჭედლიძესთან.

ფსალმუნი 57 (58)-2 ნუთუ მართლა სიმართლეს ლაპარაკობთ მოსამართლენო? სისწორით სჯით, ადამის ძენო?

57 (58) 3 არამედ გულში უკუღმართობას თხზავთ, დედამიწაზე თქვენი ხელითვე ძალადობას დებთ სასწორზე.

ფსალმუნი 93 (94) -14. რადგან არ მოიშორებს უფალი თავის ხალხს და თავის სამკვიდროს არ მიატოვებს.

15. რადგან სამართლესთან დაბრუნდება სამართალი და მის შემდეგ ყველა გულმართალი.

16. ვინ აღუდგება ჩემს გამო ბოროტებას? ვინ ამომიდგება სიმრუდის მოქმედთა წინააღმდეგ.

უფალი ღმერთის ნების აღსასრულებლად იმოქმედებენ მის მიერ შერჩეული შვიდი ათასი კაცი ისრაელიტი, რომელთა შორის მე ვარ, ჩემს ირგვლივ მოქმედი რამოდენიმე მეგობარი, ხოლო დანარჩენი უნდა გამოჩნდნენ და ჩვენს გუნდს შემოუერთდნენ. დამიკავშირდნენ ტ.: 5-55-75-78-10.

ეკლესიასტე: 1-4. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.

1-9. რაც ყოფილა იგივე იქნება, და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი.

1-11. არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო და მომდევნოდაც ვინც იქნება, არ გაიხსენებს მათ მომავალნი.

1-18. რადგან როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია, მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს.

უნდა ვიცოდეთ, რომ წინარე ცივილიზაციათა მიმდინარეობის პერიოდში, მრავალი გენიოსი, შემოქმედი, მხედართმთავარი, გმირი დაიხოცნენ, მაგრამ მათი სახელი, მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციის განადგურების შემდეგ განადგურდა; არცერთი იმათგანის შესახებ რაიმე ცნობები არ

შემორჩა. ამდენად ადამიანებმა უნდა ეცადონ, რომ ზომიერი ცოდნით, შემოქმედებით, სამშობლოს, მოყვასის, შთამომავლობის სიყვარულით იცხოვრონ წუთისოფელში. ზედმეტი ერთი ლუკმაც არ უნდა ჭამონ, რომ ღამით ძილისას არ შეაწუხოს მუცლის გვემამ და ძილი არ დაუფრთხოს. ზედმეტი სიმდიდრე შვილებს, შვილიშვილებს არ უნდა დავუტოვოთ, რადგან სჯობს, მათ დაუტოვო საფიქრალი და საზრუნავი; რომ იშრომონ, ისწავლონ, იზრუნონ, იმოქმედონ მომავალ ცხოვრებაზე, არ შეუქმნათ უზრუნველი ცხოვრების ილუზია, რომ გაზარმაცდნენ და თავი არ დაიღუპონ; არ გახდნენ ნარკომანები, უდარდელნი, უზრუნველნი და ცხოვრება არ გაინადგურონ.

ეკლესიასტე 3-11. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო.

3-13. თუ კაცს ვინმეს არ აკლია საჭმელ-სასმელი და შრომის წილ სიკეთეს პოვებს, ეს მადლია ღვთის ნაბოძვარი.

8-11. რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომაც ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას.

სიბრძნე სოლომონისა 1-8. ამიტომ უსამართლობის მოქმედთაგან ვერავინ დაიმალება და არავის აცდება მამხილებელი სამსჯავრო.

1-11. ფუჭ დრტვინვას ერიდეთ და მოეშვით ავსიტყვაობას, რადგან ფარულად თქმული კი ამაოდ არ ჩაივლის და ცილის მწამებელი ბაგე სულს ჩაკლავს...

სიბრძნე ზირაქისა: 3-25. წინ ნუ აღუდგები ჭეშმარიტებას და შენი უმეცრების გრცხვენოდეს.

5-5. შეწყალების იმედით უშიშარი ნუ იქნები და ცოდვას ცოდვაზე ნუ დაურთავ.

5-12. თუ გაქვს ცოდნა მოყვასს უპასუხე, თუ არა და ბაგეზე გედოს ხელი.

9-11. ნუ გშურს ცოდვილის დიდება, რადგან არ იცი მისი ბოლო.

10-4. უფლის ხელშია ქვეყნის მეუფება და საჭირო კაცს დროულად აღაზევებს მასზე.

13-24. კარგია სიმდიდრე, რომელსაც არ ურევია ცოდვა, სიგლახავე ბოროტებაა უწმიდურისა პირში.

34-22. ვინც მოყვასს საზრდოს ართმევს, მისი მკვლელია, ვინც მოჯამაგირეს ჯამაგირს ართმევს, სისხლის მღვრელია.

40-12. შეიმუსრება ყველა ქრთამი და უსამართლობა; რწმენა კი აღდგება სამარადჟამოდ.

ესაია: 1-23. შენი მთავრები განდგომილნი არიან და ქურდთა თანამზრახველები. ყველას ქრთამი უყვარს და მოსაკითხავზე ნადირობენ, ობოლს არ განიკითხავენ და ქვრივის საჩივარი არ სწვდებათ.

ამ ჭეშმარიტი გამონათქვამის შემდეგ, თამამად განვაცხადე, რომ ზოგიერთი პარლამენტარი, მთავრობის წევრი, პრეზიდენტი და ხელმძღვანელები არიან; ჩვენს, ამომრჩეველთა მიერ დაკანონებული ქურდები, რომლებიც ქვეყანას, მის მოსახლეობას ძარცვავენ.

ესაია: 1-28. დამნაშავენი და ცოდვილნი ერთად გაწყდებიან და უფლის მიმტოვებელნი დაიღუპებიან.

13-9. აჰა დადგა უფლის დღე სასტიკი, დღე რისხვისა და გაცეცხლებისა, ქვეყნიერების იავარსაყოფად და ცოდვათა წარსახოცავად მისი პირისაგან.

14-1. რადგან შეიწყალებს უფალი იაკობს და კიდევ გამოარჩევს ისრაელს, მათსავე მიწაზე დაასახლებს. უცხონი შეეთვისებიან მათ და მიემატებიან იაკობის სახლს.

საქართველოში დაახლოებით ასზე მეტი სხვადასხვა ერის

შვილები ცხოვრობენ. მათ ქვეყნებს, მოსახლეობას რაიმე უბედურება რომ შეემთხვათ, მაშინ ისინი გადარჩებიან საქართველოში, შემდგომ წავლენ უფლის ნებით საკუთარ ქვეყანაში და აღადგენენ ქვეყანას, ერს, ენას კულტურას და გამოიყენებენ აქ მიღებულ ზეციურ ღვთიურ ცოდნას ...

ესაია: 29-10. რადგან გადმოღვარა თქვენზე (ისრაელიანებზე) ძილქუშის სული და დაგიხუჭათ თვალები წინასწარმეტყველნო და დაგიფარათ თავები მისნებო.

29-13. თქვა უფალმა; რაკი პირით მომიახლოვდა და ბაგით მადიდებს მხოლოდ, გულით კი შორს არიან ჩემგან და გაზეპირებულ ანდერძად ექცათ, ჩემდამი მოწიწება.

29-14. ამიტომ აჰა, საკვირველ, რასმე მოვახდენ ამ ხალხზე, გასაოცარს და საკვირველს, დაეკარგებათ მათ ბრძენთა სიბრძნე და გონიერთა გონიერება უჩინო იქნება (რაც უკვე მოხდა).

32-1. აჰა, სიმართლით იმეფებს მეფე და მთავრები სამართლიანად იმთავრებენ.

32-5. აღარ დაერქმევა უმგვანს ღირსეული და გაიძვერას აღარ ეთქმის პატიოსანი, ძუნწს ხელგაშლილად აღარ მოიხესნიებენ.

32-17. მაშინ სამართალი შეიქმს მშვიდობას და შვება და მყუდროება იქნება სამართლის ნაყოფი უკუნისამდე.

32-18. დამკვიდრდება ჩემი ერი მშვიდობის სამყოფელში, მყუდრო სავანეში და უზრუნველ სადგომში.

43-4. რადგან შენ ძვირფასი ხარ ჩემს თვალში, რადგან პატივდებული ხარ და მიყვარხარ; სხვა ხალხს გავიღებ შენს ნაცვლად და ტომებს შენი სულისათვის.

43-6. ვეტყვი ჩრდილოეთს გაუშვი! და სამხრეთს არ დააკავო! მოიყვანე ჩემი ვაჟები შორეთიდან და ჩემი ასულები ქვეყნის კიდიდან.

43-10. თქვენა ხართ ჩემი მოწმენი, ამბობს უფალი და ჩემი მორჩილნი, რომელნიც ავირჩიე, რომ გცოდნოდათ და გერწმუნათ ჩემი, მიმხვდარიყავით, რომ მე ვარ ეს; ჩემამდე არ გამოსახულა ღმერთი და ჩემს შემდეგაც არ იქნება.

43-11. მე ვარ, მე, ვარ უფალი და არავინაა ჩემს გარდა მაცხოვარი.

43-21. ჩემთვის გამოვსახე ეს ერი, ჩემს სადიდებელს იტყვის.

43-22. შენ არ მოგიხმივარ იაკობ, რომ ჩემთვის დამშვრალიყავ ისრაელ!

48-9. ჩემი სახელის გულისათვის ვაყოვნებ რისხვას და ჩემი დიდებისათვის გარიდებ მას, რომ არ მოგსპო.

48-11. ჩემი თავისთვის, ჩემი თავისთვის ვაკეთებ ამას, რადგან როგორ შევალახვინო ჩემი სახელი, ჩემ დიდებას სხვას არ მივცემ.

48-22. არ არის მშვიდობა, ამბობ უფალი ბოროტეულთათვის.

49-3. მითხრა, ჩემი მორჩილი ხარ ისრაელ, შენით გამოვაჩენ ჩემს დიდებას.

51-3. რადგან ანუგეშებს უფალი სიონს (კავკა-სიონს) ანუგეშებს ყოველ მის ნაოხარს, სამოთხედ გადააქცევს მის უდაბნოს და უფლის ბაღად მის ტრამალებს, სიხარული და შვება გაჩნდება იქ, სამადლობელო და გალობის ხმები.

51-16. ჩავდევი ჩემი სიტყვები შენს ბაგეში და ჩემი ხელის ჩრდილში შეგიფარე, რათა დავნერგო ახალი ცა და დავაფუძნო ახალი მიწა, რომ უთხრა სიონს: ჩემი ერი ხარ.

51-17. გაიღვიძე, გაიღვიძე, ადექი იერუსალიმო, რომელმაც შესვი უფლის ხელიდან მისი რისხვის თასი, ძირისძირამდე შესვი ფიალა, სიბრუის თასი.

51-22. ასე ამბობს შენი, მეუფე, უფალი შენი ღმერთი,

მოსარჩლე თავის ხალხისა; აჰა გართმევ შენი ხელიდან სიბრუის თასს, ფიალას, თასს ჩემი რისხვისას, რომ მეტჯერ აღარ შევა იგი.

51-23. და ხელში მივცემ მას შენს მტანჯველებს, რომლებიც გეუბნებოდნენ დაწექი, რომ გადაგიაროთ, და შენც მიწასავით გახადე შენი ზურგი გამვლელთათვის.

52-1. გაიღვიძე, გაიღვიძე, შეიმოსე ძალი შენი, სიონო! შეიმოსე შენი დიდების სამოსელი იერუსალიმო, წმიდა ქალაქო, რადგან აღარ შემოგივა წინდაუცვეთელი და უწმიდური!

წინდაუცვეთელი, წინათ ჩადენილი ცოდვებით დამძიმებული, ცოდვილი, ბოროტმოქმედი ხალხი, ქვეყანა; რომლებიც ჯერ კიდევ ცოდვებშია ჩაფლული.

52-13. აჰა, მოჭკუანდა ჩემი მორჩილი, გაიმართება აღზევება და დიდი ამაღლება.

54-15. კი მოგიხდებიან, მაგრამ არა ჩემგნით, შენი მომხდურნი შენს წინაშე დაეცემა.

54-17. ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ გამოჭედილი გაცუდდება და ყოველ ენას, შენს წინააღმდეგ აღმდგარს სამსჯავროზე გაამტყუნებ, ესაა წილხვედრი უფლის მორჩილთა და მათი გამართლება ჩემგნით, ამბობს უფალი.

56-6. ეძებეთ უფალი, როცა შეიძლება მისი პოვნა; მოუსმინეთ მას, როცა ახლოს არის იგი.

იერემია: 2-26. როგორც ქურდს შერცხვება ხოლმე, როცა წაასწრებენ, ასე შეირცხვინა თავი ისრაელის ხალხმა, მისმა მეფეებმა, მთავრებმა, მღვდლებმა, წინასწარმეტყველებმა.

3-15. დაგიყენებთ ჩემი გულით ამორჩეულ მწყემს და ის დაგმწყევსავთ თქვენ; გონივრულად და ბრძნულად.

4-14. გულიდან გამოირეცხე ბოროტება იერუსალიმო, რომ გადარჩე! როდემდის უნდა იბუდოს შენს წიაღში უკუღმართმა ზრახვებმა.

12-14. ასე ამბობს უფალი: ყოველ ჩემს ბოროტ მეზობელს, რომელთაც ხელყვეს სამკვიდრო, ჩემს ერს, რომ დაუმკვიდრე, წარვხოცავ მათი ქვეყნიდან და იუდასაც წარვხოცავ მათთან ერთად.

13-18. უთხარი მეფეს და დედოფალს: ჩამოდით ტახტიდან და ძირს დასხედით, რადგან მოგეხადათ თქვენი მშვენიერი გვირგვინი.

13-19. სამხრეთის ქალაქები ჩაკეტილია და არავინაა გამღები, განდევნილია მთელი იუდა, პირწმინდად განდევნილი.

საუბარია „თურქ მესხებზე", რომლებიც იქ ჩასახლებულ ქართველ მოსახლეობას თავს ესხმოდნენ და ძირფესვიანად ანადგურებდნენ, რომ იქ, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ხალხი არ დასახლებულიყო.

მსგავს მოქმედებას შემდგომშიც ჰქონდა ადგილი ზოგიერთ საქართველოს კუთხეებში, მათი უშუალო წინააღმდეგობით მოხდა ამჟამად საქართველოს ტერიტორიების ნაწილის დაკარგვა. ამდენად ჩვენ ჯერჯერობით ბევრი რამ არ ვიცით; თუმცა უფალმა ღმერთმა ყველაფერი კარგად იცის და მათთვის მოსალოდნელია ძალზე მკაცრი რისხვა.

იერემია 13-20. აახილეთ თვალი და შეხედეთ ჩრდილოეთიდან მომავალთ; სად არის საწმყსო, შენ რომ ჩაგაბარეს შენი მშვენიერი ფარა?

საუბარია რუსეთზე და მის სამოცდაათწლიან მმართველობაზე, როგორც ვხედავთ ყველაფერი უფალი ღმერთის ნებით ხდებოდა და არა ვინმე გონებაგამოცლილის ნება სურვილზე.

13-21. რას იტყვი, როცა მოგკითხავენ პასუხს? შენ თავად არ ასწავლე მათ, როგორ ებატონათ შენზე. განა კრუნჩხვები არ გვტანჯავს მშობიარე ქალივით.

13-25. ეს არის შენი წილი, ეს ხვედრი გეკუთვნის ჩემგან, რაკი დამივიწყე და სიცრუის იმედი გქონდა.

15-20. დაგაყენებ ამ ხალხის წინ, სპილენძის მაგარ კედლად, შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთან ვიქნები, რომ გიხსნა და დაგიფარო, ამბობს უფალი.

15-21. დაგიფარავ ბოროტმოქმედთაგან და დაგიხსნი უწყალოთა ხელიდან.

16-14. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, როცა აღარ იტყვიან: ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანებიო.

16-15. არამედ: ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოიყვანა ისრაელიანები ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც კი განდევნილი ჰყავდა ისინი, რადგანაც დავაბრუნებ მათ თავიანთ მიწაზე, რომელიც მათ მამა-პაპას მივეცი.

აი დასტური ჩემი მტკიცებისა, რომ ისრაელი საქართველოა და არა იზრაილი ებრაელთა ქვეყანა.

23-11. რადგან გაირყვნენ წინასწარმეტყველნიც და მღვდლებიც, ჩემს სახლშიც კი ვპოულობ მათ ნაკვალებს, ამბობს უფალი.

23-20. არ გაბრუნდება უფლის რისხვა, ვიდრე არ შეასრულებს, ვიდრე არ მიაღწევს განზრახულს, უკანასკნელ დღეებში მიხვდებით ცხადად.

25-33. ქვეყნის კიდემდე ეყრებიან იმ დღეს უფლის დახოცილნი, არავინ დაიტირებს, არავინ აკრეფს, არავინ დამარხავს, ნეხვივით ეყრებიან მიწის პირზე.

ცოდვილო ბოროტეულნო! ასე გინდათ დაამთავროთ თქვენი სიცოცხლე. არ გამოიღვიძებთ და გონს არ მოხვალთ, რად გინდათ იმდენი სიმდიდრე, ნაწყევარი, ცოდვილი, შერისხული ფული, ქონება, რასაც ვერ მოიხმართ და

საკუთარ ოჯახსაც, შთამომავლობასაც გაანადგურებთ; რომ მდომებოდა მულტიმილიონერი, მილიარდელი გავხდებოდი, მაგრამ ვამჯობინე ნორმალური, მშვიდი ცხოვრება. თუ საჭირო გახდა თვით უფალი ღმერთი დამეხმარება, მე ამის მჯერა და გირჩევთ თქვენც დაიჯეროთ....

იერემია: 25-35. გასაქცევი აღარ ექნებათ მწყემსებს და თავშესაფარი ჯოგის პატრონებს.

30-11. რადგან შენთან ვარ, ამბობს უფალი, რომ გიხსნა; რადგან ბოლოს მოუღებ ყველა ხალხს, რომელთა შორისაც მყევხარ გაფანტული: შენ კი არ მოგიღებ ბოლოს, ოღონდ დაგსჯი სამართლიანად, დაუსჯელს არ დაგტოვებ. როგორც ხედავთ უკვე მკაცრად ვისჯებით.

50-5. სიონის გზას იკითხავენ, აქეთ ექნებათ პირი, მოვლენ, რომ შეეკრან უფალს საუკუნო, დაუვიწყარი აღთქმით.

50-33. აე ამბობს ცაბაოთ უფალი: (ისრაელის ცასთან მიბმის უფალი) დათრგუნულნი არიან ისრაელიანები და იუდეველნიც; მკაცრად უჭირავთ ისინი მათ დამტყვევართ, არ უნდა მათი გაშვება.

რუსეთს კარგად ახსოვს, რომ არცერთი დიდი ომი მტრებთან არ მოუგიათ, ქართველ მხედართმთავრების ხელმძღვანელობის გარეშე. ისიც კარგად იციან თუ საქართველო მისი მოწინააღმდეგის მხარეს იბრძოლებს დამარცხება გარადაუვალია. ამიტომაც რუსეთი იბრძვის, რომ საქართველო ნატოში არ შევიდეს წევრად; და თუ მაინც გადაწყდა ეს გლობალური საკითხი და საქართველო შევიდა ნატოში უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთი დაიწყებს მესამე მსოფლიო ომს. ეს კარგად იცის გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყანათა ხელმძღვანელობამ, არ აწყობთ მსოფლიო

ომის დაწყება და ამიტომ არიან წინააღმდეგნი საქართველოს ნატოში შესვლის; ამიტომ ეთამაშებიან ქართველ, ე. წ. ვითომ პოლიტიკოსებს, პირდებიან და ამით იგებენ დროს.

იერემია: 50 -46. მოვა ბაბილონის აღების ამბავი და შეძრწუნდება ქვეყანა; კივილის ხმა გაისმება ხალხებში. ბაბილონში, იგულისხმება ის დიდი და ძლიერი ქვეყნები, მათი დედაქალაქები, რომლებიდანაც მოდის ის უსასტიკესი ტანჯვა-წამება, რომელიც მათ შეფარულად მოუვლინეს საქართველოს, ქართველ ხალხს, რომ ცდილობენ ქართველი ხალხი, მის სარწმუნოება ქრისტიან მართლმადიდებლობა მოსპონ და გაანადგურონ; რომ მიაღწიონ მსოფლიოს ბატონობას, რაშიდაც ქართველი ხალხი, მათი ზეციური ღვთიური ცოდნა ხელს უშლიდა და ახლაც უშლის...

51-10. უფალმა გამოიტანა ჩვენი სიმართლე, წავიდეთ და გავაცხადოთ სიონზე უფლის, ჩვენი ღმერთის ნამოქმედარი.

51-36. ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა დავიცავ შენს სიმართლეს და შენს გამო ვიძიებ შურს. ამოვაშრობ მის ზღვას და დაუშრეტ წყაროს.

ბარუქ წინას. 2-15. რათა გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ შენ ხარ უფალი ჩვენი ღმერთი და რომ შენი სახელი ეწოდება ისრაელს და მის მოდგმას.

3-24. ო, ისრაელ, რა დიდია ღვთის სახლი, და რა ფართოა მისი სამფლობელო.

3-28. დაიღუპნენ, რადგან არ ჰქონდათ სიბრძნე, დაიღუპნენ თავიანთი უგუნურებით.

3-37. მან იპოვნა ყოველი გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს, და ისრაელს, რომელიც შეიყვარა.

4-1. ეს არის დავითის ბრძანებათა წიგნი და რჯული, რომელიც საუკუნოდ იქნება; ყოველი მისი დამჭერი იცოცხლებს, მისი მიმტოვებელი მოკვდება.

4-4. ნეტარნი ვართ ისრაელ, რადგან ჩვენ ვიცით რა ესსათნოება ღმერთს.

4-25. გამხნევდით, ერო ჩემო, ხსოვნავ ისრაელისა.

ეზეკიელი: 3-18. როცა ბოროტეულს ვეტყვი, სიკვდილით მოვკვდები მეთქი (ე. ი. ტანთან ერთად სულიც მოკვდება). შენ კი არ გააფრთხილებ მას და არაფელს ეტყვი, ბოროტეულს ბოროტი გზიდან ჩამოსაშორებლად, რომ გადარჩეს; მოკვდება ბოროტეული თავისი უკეთურებაში და მის სისხლს შენ მოგკითხავ.

ისმის კითხვა რატომ? იმიტომ, რომ მე გამზარდა, მაცოდინა უფალმა ღმერთმა ყოველივე ის რაც ვიცი და ეხლა მთხოვს უფალი ღმერთი ეს ცოდნა გადმოგცეთ თქვენ, ამით მე განვთავისუფლდები; ხოლო ჩემს მდგომარეობაში ყოველი ამ ამბის მცოდნე აღმოჩნდება. ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვაღიაროთ სიმართლე, ვადიდოთ ღმერთი და ასე გადავარჩინოთ ქვეყანა, მოყვასი, შთამომავლობა, მოსალოდნელ უბედურებებს, რაც შეიძლება მეტი ცხოვრების გზასაცდენილნი გადავარჩინოთ და დაუბრუნოთ მათ სულის მარადიული სიცოცხლე, რომ მივიდეთ უფალ ღმერთთან პირნათელნი.

ეზეკიელი 3-19. თუ შენ გააფრთხილებ ბოროტეულს, მაგრამ არ მოიქცა თავისი ბოროტებიდან და ბოროტი გზიდან, ის თავის უკეთურებაში მოკვდება, შენ კი გადარჩენილი გყავს შენი თავი.

როდესაც შევიმეცნე ეს ცოდნა, მან მაიძულა, რომ დამეწერა წიგნი და მიმეწოდებინა მკითხველისათვის ამ ცოდნის შესამეცნებლად. სხვანაირად ვერ შევძლებდი მოსახლეობის გათვითცნობიერებას და რაც შეიძლება მეტი ადამიანთა გადარჩენას.

პავლე რომ. 1-16. ვინაიდან არ მრცხვენია ქრისტეს სახა-

რების გამო, რადგან იგია ძალა ღმერთისა, ყოველი მორწმუნის მხსნელი, პირველად იუდეველისა, შემდეგ კი ბერძნის.

1-17. ვინაიდან მასში ცხადდება, სიმართლე ღმრთისა, სარწმუნოებიდან სარწმუნოებაში, როგორც დაწერილია; მართალი სარწმუნოებით იცოცხლებს.

1-18. რადგან რისხვა ღმრთისა ცხადდება ზეცით ყოველგვარი უღმერთოებისა და უსამართლობის მოქმედ კაცთა მიმართ, რომელნიც უსამართლობით ახშობენ ჭეშმარიტებას.

1-20. რადგანაც ის რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება; ასე რომ, არ შეუძლიათ თავის მართლება.

1-22. ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი და შლეგებად იქცნენ.

1-25. სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა და ჰმსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე ამინ.

1-29. ასე რომ აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, სიძვით, უკეთურებით, ანგარებით, ბოროტებით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ზაკვით, ბოროტი ჩვევით.

1-30. ავსიტყვიანნი, ცილისმწამებელნი, ღმერთის მოძულენი, ქედმაღალნი, ცუდმედიდანი, ბოროტების წყარონი, დედ-მამის ურჩნი.

1-31. უგულისხმო, უნდონი, უყვარული, უწყალონი.

1-32. რომელთაც იციან ღმერთის სამართალი, მაგრამ არა მარტო თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ.

2-1. ამიტომ თავს ვერ იმართლებ, ვინც არ უნდა იყო

კაცო, რომელიც განსჯი, რადგანაც იმასვე სჩადიხარ, რისთვისაც განსჯი.

2-6. როდესაც იგი მათ საქმეთაებრ მიაგებს ყველას.

2-28. ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იუდეველი, არც ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი; და წინდაცვეთაც ისაა, რომელიც გულისა და სულისმიერია და არა ასოს მიერი; და კაცთაგან კი არ იქნება იგი არამედ ღმერთისაგან

3-20. ვინაიდან რჯულის საქმით ვერცერთი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, რადგან რჯულით შეიმეცნება ცოდვა.

3-30. ვინაიდან ერთია ღმერთი, რომელიც რწმენით გაამართლებს წინდაცვეთილთ და წინდაუცვეთავთ - რწმენის მიერ.

პავლე რომ. 11-25. ვინაიდან არ მსურს, ძმანო, არ იცოდეთ, ეს საიდუმლო (რათა თქვენსავ განსჯას არ დაეყრდნოთ) რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე.

ბოლო ჟამისთვის, სადღეისოდ; წარმოიდგინეთ თუ რამდენი ულმერთონი, ბოროტმოქმედი სატანებია გამრავლებული; რომლებიც უფალი ღმერთის ნების აღსრულებას ებრძვიან; მის მიერ შექმნილს დედამიწაზე, სამყაროში. მათ ქვეყნიერების ბედი სასწორზე დადვეს. ასე რომ გაგრძელდეს სიცოცხლე საერთოდ მოისპობა. ამიტომაა აუცილებელი ისრაელის, ისრაელიტების გამოფხიზლება, გამოღვიძება რომ უფალმა ღმერთმა მისი ნება აღასრულოს და გადაარჩინოს სამყარო.

პავლე რომ. 16-25. ხოლო მას, ვისაც ძალუძს განგამტკიცოთ თქვენ, ჩემი სახარებისა და იესო ქრისტეს ქადაგებისამებრ, დაფარულ საიდუმლოს გამოცხადებით, რომლის გამოც დუმდნენ საუკუნენი.

უფალი ღმერთის ნებით, მისი უშუალო დახმარებით, სწავლებით მოვახერხე გამებედა, მეშოვნა წმიდა წიგნი „ბიბლია“ და შემესწავლა ის. სწორედ ამის შესაძლებლობის შესახებ, რამდენიმე ათასი წლის წინათ იწინასწარმეტყველა პავლე მოციქულმა, რომ მომავალში მოვა პიროვნება, რომელიც შეისწავლის ჩემსა და იესო ქრისტეს ქადაგებას და ახსნის, გამოაცხადებს ზეციურ ღვთიურ ცოდნას, რომლის შესახებ დუმდნენ საუკუნენი. ამიტომაც ჩემს მიერ დაწერილ წიგნებს აწერია „ცოდნა რომლის შესახებ დუმდნენ საუკუნენი“ ორმოცი საუკუნის წინათ არსებობდა ეს ცოდნა; ამიტომაც არსებობდა ძლიერ განვითარებული ქართული ორი სახლემწიფო: იბერია და კოლხეთი; მაგრამ როდესაც დედამიწა შევიდა უფალი ღმერთის მართვის ბნელ სივრცეში ელიფსის წვერზე სამოძრაოდ, სადაც უფალი ღმერთის ნების აღსრულება შედარებით ნაკლებად სრულდებოდა, მოხდა ის, რაც აქამდე ხდებოდა; ხოლო ამჟამად დედამიწამ დაამთავრა ელიფსის წვერზე, ბნელში მოძრაობა და გადავიდა 2000 წელს უფალი ღმერთის ნათელ სივრცეში სამოძრაოდ. ეს იმის მაუწყებელია, რომ ყველა საიდუმლო რაც აქამდე ხდებოდა უნდა აიხსნას და უნდა გამოქვეყნდეს მოსახლეობის უმრავლესობის გასახარებლად, რომ იცოდნენ თუ როგორ უნდა იცხოვრონ მომავალში...

ამ ბედნიერების სახარებლად მოსახლეობისადმი უნდა ზრუნავდეს ქვეყნის ხელმძღვანელობა, მაგრამ საერთოდ არ აინტერესებთ, რადგან უნდათ გააღატაკონ ქვეყანა მოსახლეობა, პირადი გამდიდრების მიზნით. ამიტომაც არც ის იციან, რომ საკუთარ თავს, ოჯახს, შთამომავლობას ღუპავენ. ხოლო მოსახდენი მაინც მოხდება...

პავლე რომ. 12-19. თქვენი თავისთვის ნუ იძიებთ შურს, საყვარელნო, არამედ მიეცით ადგილი ღმერთის რისხვას,

ვინაიდან დაწერილია; ჩემია შურისძიება და მე მივაგებ, იტყვის უფალი.

12-20. ამრიგად, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი, თუ მწყურვალია, წყალი ასვი მას, რადგან ამით მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებთ მის თავზე.

13-1. დაე ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან; დიახ ყოველი ხელმწიფება ღმერთის მიერ დადგენილია.

13-2. ამიტომ ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმერთის განჩინებას ეწინააღმდეგება: ხოლო წინააღმდგომნი, თვითონვე მოიწევენ თავზე სასჯელს.

16-20. ხოლო ღმერთი მშვიდობისა, მალე შემუსრავ სატანას თქვენს ფეხქვეშ. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენთან, ამინ.

ამდენად, უფალმა ღმერთმა შექმნა სამყარო და თვითონვე მოაწესრიგებს, სადღეისოდ არსებულ ქაოსს და უწესრიგობას. ჩვენ მხოლოდ უნდა მოუსმინოთ უფალ ღმერთს, მის წინასწარმეტყველთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ უფალი ღმერთის ნების აღსასრულებლად დედამიწაზე.

ყოველდღიურად ვანთებ სანთელს და ვლოცულობ უფალი ღმერთის მიმართ რომ იხსნას კაცობრიობა, დედამიწაზე სიცოცხლე, ჩვენი ქვეყანა ბოროტებისაგან, სატანებისაგან, მოიყვანოს ყოველი პიროვნება ჭკუაზე, გონზე, შეიმეცნონ საკუთარი დამღუპველი გზა და დაადგნენ უფალი ღმერთის ჭეშმარიტ, სიმართლისა და აქედან გამომდინარე სამართლის გზას; სამართლიანი ქვეყნის აღმშენებლობის გზას; რომ გადარჩნენ თვითონ და ჩვენი შთამომავლობა...

საპატრიარქომ, სამღვდელოებამ უნდა იცოდნენ, რომ ძველი აღთქმა ბაზისია ხოლო აქედან გამომდინარე, ახალი

აღთქმა ზედნაშენი. ზოგიერთ მოძღვარს, რომ შეეკითხო ძველი აღთქმის შესახებ, გიპასუხებს: „ძველი აღთქმა იყო და ჩაბარდა ისტორიას, ხოლო ჩვენ გვაქვს ახალი აღთქმა და მას უნდა მივენდოთ"... დამიჯერეთ ძველი აღთქმის გარეშე ახალი აღთქმა მასში მოცემული საიდუმლოებანი ვერ აიხსნება და ვიქნებით ჩვენ და ჩვენი მრევლი მუდმივ გაუგებრობაში. ამის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მოსემ ერთ წრეზე ატარა ისრაელიანები ორმოცი წელი, ეს ისევ განმეორდა, რადგან ჩვენ ორმოცი წელია ერთი და იგივეს გვასწავლის ან ხოლო უკვე დადგა დრო, გავიდა ორმოცი წელი და ახალი სწავლება უნდა შემოვიდეს ქრისტიან მართლმადიდებლობის ქადაგებაში ...

უნდა იცოდეს ყოველმა განათლებულმა პიროვნებამ, რომ იესო ქრისტე დაიბადა ისრაელში, ანუ საქართველოში. ბიბლია დაწერილია ქართულ ენაზე და ამიტომ აიხსნება ქართული ენით; ქრისტიან მართლმადიდებლობა დაფუძნდა საქართველოში, ისრაელში და ყოველი დამწერლობა, კულტურა, ზეციური ღვთიური ცოდნა გავრცელდა დაედამიწაზე საქართველოდან... რადგან საჭირო იყო ამ ცოდნას; საქართველოს, მოეღწია დღემდე; მრავალ შურიან მტრებს არ მოესპოთ ეს უნიკალური ქვეყანა, ერი და შეენარჩუნებიათ დედამიწაზე სიცოცხლე. ამიტომ გაასაიდუმლოვა უფალმა ღმერთმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცოდნა, ხოლო ზოგიერთი რამ გადააბრალა სხვა ერებს, ქვეყანას, რომ არ ცოდნოდათ სიმართლე. ვინ იყო მისი ერი და მისი ქვეყანა; არ მოესპოთ ის ბოროტეულთ...

მიზანშეწონილად მიმაჩნია გაეცნოთ თქვენთვის უცნობ, ბიბლიიდან ამოწერილ ლოცვებს, რომლითაც ყოველ დილით ვევედრები უფალ ღმერთს ...

# ისრაელიანთა ლოცვა

*ღმერთების ღმერთო ისრაელისა, დაჩოქილი გთხოვ და გევედრები.*

*„შეგვიწყალე ჩვენ, მეუფე ღმერთო ყოველთა, მოგვხედე და ყოველ ხალხზე მოავლინე შენი შიში,*

*აღმართე შენი ხელი უცხო ხალხზე, რათა იხილონ შენი ძალა; როგორც წმინდა გახდი ჩვენში მათ თვალწინ, ასევე განდიდდი, მათ შორისაც ჩვენს თვალწინ.*

*მათაც შეგიცნონ შენ, ისევე როგორც ჩვენ შეგიცანი,*

*რომ არ არის ღმერთი შენს გარდა, უფალი.*

*განაახლე ნიშნები და კვლავ მოიმოქმედე სასწაულნი, განადიდე ხელი და მარჯვენა მკლავი.*

*აღმართე გულისწყრომა და რისხვა გადმოღვარე, გაანადგურე მოშუღარი და შემუსრე მტერი!*

*დააჩქარე დრო და გახსოვდეს ფიცი,*

*გამოაცხადონ შენი დიდი საქმეები!*

*მძვინვარე ცეცხლმა შთანთქოს, ვინც კი გადარჩება და შენი ხალხის ბოროტისმყოფელმა დაღუპვა ჰპოვონ.*

*შემუსრე თავები მტრების წინამძღოლთა, რომ ამბობენ: არავინ არ არის ჩვენს გარდა.*

*შეკრიბე ყველა ტომი იაკობისა და დაიმკვიდრე ისინი, როგორც დასაბამითვე იყო.*

*შეიყვარე უფალო ხალხი შენი სახელით წოდებული, და ისრაელი, რომელიც პირმშოდ შერაცხე.*

*შეიწყალე ქალაქი შენი სიწმინდისა - იერუსალიმი, შენი დასასვენებელი ალაგი.*

*აღავსე სიონი, შენი სიქველის ქებით და შენი ხალხით,*

*შენი დიდებით, მიეცი დასტური დასაბამით შენს შექმნილთ, აღავსე წინასწარმეტყველება შენი სახელით.*

*მიეცი ჯილდო შენს მოიმედეთ და სარწმუნო შეიქმნან შენი წინასწარმეტყველნი!*

*შეისმინე უფალო, შენს მსახურთა ვედრება, თანახმად აარონისკურთხევისა შენს ხალხზე, შეიცნოს ყველამ დედამიწაზე, რომ უფალი ხარ, ღმერთი საუკუნეთა“. ამინ!*

## ღვთის მოსავთა ლოცვა!

*„რჯულის შემნახველი ბევრ მსხვერპლს სწირავს, მცნება აღმსრულებელი კი სამადლებელ მსხვერპლს სწირავს.*

*სათნოა უფლისათვის ბოროტისაგან განშორება და შეიწყალებს იგი უსამართლობისაგან განდგომილს.*

*ნუ წარსდგები უფლის წინაშე ხელცარიელი, რადგან ყოველივე ამას მცნება მოითხოვს.*

*მსხვერპლი მართალი კაცისა შეწყნარებულია და ხსოვნა მისი დავიწყებული არ იქნება.*

*მხიარული იყოს შენი სახე ყოველი გაცემისას, და სიხარულით შეწირე ერთი მეათედი.*

*რადგან უფალი სამაგიეროს მიმზღველია და შვიდწილად გადაგიხდის.*

*რადგან უფალი მსაჯულია და მასთან პირფერობა არ ეგება.*

*მდაბლის ლოცვა ღრუბლებს სწვდება,*

*და მანამდე არ იქნება ნუგეშცემული,*

*ვიდრე ღმერთამდე არ მიაღწევს! და არ შეიწყვეტს, სანამ უზენაესი არ გადმოხედავს, სიმართლით არ განსჯის და სამართალს არ გააჩენს.*

*არც უფალი დააყოვნებს და აღარ მოუთმენთ მათ, ვიდრე წელში არ გატეხავთ შეუწყალებელთ და შურიძიებას არ მიაგებს წარმართებსაც.*

*ვიდრე არ შემუსრავს მედიდურთა სიმრავლეს და უსამართლოთა კვერთხს დალეწავს.*

*ვიდრე სამაგიეროს არ მიუზღავს კაცს, მის საქმეთაებრ და კაცთა საქმეებს მათი ჩანაფიქრისამებრ.*

*ვიდრე სამსჯავროზე არ განჯის თავის ხალხს და არ გაახარებს მას თავისი მოწყალებით.*

*რადგან მისწრება მოწყალება გასაჭირში, როგორც საწვიმარი ღრუბელი გვალვაში.“ ამინ!*

დიახ ამ და სხვა ლოცვებით იწყება ყოველი დილა ჩემთვის, როგორც ჩანს, მარტო ჩემი ლოცვები არაა ჯერჯერობით საკმარისი, რომ ვამცნოთ უფალ ღმერთს, ქართველი ერის, მოსახლეობის გამოფხიზლება გამოღვიძება; რომ მზად ვართ უფალი ღმერთის სახელის, მისი უკვდავი საქმეების სადიდებლად. რომელიც გვპირდება „ოღონდ თქვენ დამიბრუნდით და მაგათ (ჩვენ მტრებს) სეირს გაყურებინებთ: ერთი-მეორეს მიუსევ და ერთმანეთს დავახოცინებ“...

ამდენად აუცილებელია ერის გამოფხიზლება, გამოღვიძება, მტერთა და მოყვარეთა გარჩევა; რომ უფალი ღმერთის ნებით მოვახერხოთ მოსახლეობის, ქვეყნის, სიცოცხლის გადარჩენა და შთამომავლობის ბედნიერი მომავლის შექმნა; მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველყოფა.

ასეთი უმწეო, უძლური, გაღატაკებული საქართველო, მისი მოსახლეობა არასოდეს ყოფილა; ისინი საგარეო, საშინაო ვალებშია ჩაფლული; ასეთი სამმართველო სისტემითა და ქვეყნის მართველი პარტიით ვერაფერს გახდება მომავალში. გეკითხებით, გვაწყობს ეს ჩვენ?

2020 წლის არჩევნები იყო ერთად-ერთი შედარებით უკეთესი ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ჩატარებული; რადგან „ოცნების" ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ: არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური ძალები, იმდენად მდიდრები და არჩევნების გაყალბებაში გამოცდილი ავაზაკები არიან, რომ მათ ვერაფერ სიყალბეს ვერ გამოაპარებდნენ და თუ ასეთ დანაშაულს ჩაიდენდნენ, უდიდეს სკანდალს გამოიწვევდნენ; ამით ხელს შეუწყობდნენ; რევოლუციურად განწყობილ მოწინააღმდეგეთა მიმართ გარკვეულ მიზეზის მიცემას. და თუ ეს არჩევნები „ოცნებამ" მოიგო ეს იმიტომ, რომ ამომრჩევლებმა, ოღონდ ნაციონალები და სხვები ქვეყნის მართვის სათავეში არ მოსულიყვნენ, რომ არ დაწყებულიყო სამოქალაქო ომი, ქვეყანაში არ შეექმნათ ქაოსი ... არ განმეორებულიყო წინარე უბედურებები, იძულებული გახდნენ აერჩიათ პარტია „ოცნება".

ე. წ. ოპოზიციის ზოგიერთ პარტიათა ხელმძღვანელებმა, რომლებმაც დახარჯეს დიდი ოდენობის ნაქურდალი თანხები, მათ მიაჩნიათ, დახარჯული თანხათა რაოდენობის მიხედვით უნდა მოეგოთ არჩევნები და უკვირთ, რომ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამან, მათ გონიერებაზე ძალიან იმოქმედა, რომ მათ მიერ წარწყმენდილმა, ცდუნებულმა, ცოდვილმა ამომრჩეველთა ნაწილმა, რატომ მოატყუილა ისინი და ბიულეტინები გააუქმეს ან მოწინააღმდეგე პარტიას დაუჭირეს მხარი. ნაციონალურ მოძრაობას, მის მხარდამჭერ პარტიებს ჩაეშალათ გეგმა; ისინი თუ მოვი-

დოდნენ ქვეყნის მართვის სათავეში, რაც გადაურჩათ გაუ-ნადგურებელი, იმასაც გაანადგურებდნენ...

მათ ვერ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ამომრჩევლები მათ არაერთხელ მოატყუილეს, მრავალი სასიკეთო საქმეე-ბის გაკეთებას დაპირდნენ, ეგონათ ყველაფერი შერჩე-ბოდათ. თუმცა ქართველი ხალხის ნაწილმა უკვე გამოიფხი-ზლა, სახლში სხდომას არჩიეს არჩევნებზე მისვლა და "ოცნების" მხარდაჭერა. რადგან ისინი შედარებით ნაკლე-ბად მატყუარები არიან, რაღაც უმნიშვნელოს მაინც აკე-თებენ....

უფალი ღმერთი შეგვახსენებს, „ვინ უნდა დამოძღვროს ცოდნით ერი და ვინ უნდა ჩააგონოს ამბავი; (რა ხდებოდა, რა ხდება და რა მოხდება) ძუძუს ასხლეტილებმა? რძეს მოწყვეტილებმა?" არა ბატონებო, გავიხსენოთ, რომ ალე-ქსანდრე მაკედონელს ზრდიდა და ასწავლიდა არისტო-ტელე; დავით აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელი... ჩვენ უკვე ცხოვრების ეკალ-ბარდუთი დაფენილ, წამების გზა გამოვლილი, გამოცდილი, მცოდნე ეკლესია, უფალი ღმერთის მრევლი დავმოძღვრავთ ცოდნით და ჩავაგონებთ ამბავს: უფალი ღმერთის ნება, სურვილით, რომ კეთილმა ძალებმა გაიმარჯვოს ქვეყნის დამანგრეველ ბოროტ ძა-ლებზე. ასე მივაღწიოთ სიმართლის დიდებას, ქრისტიანულ მართლმადიდებლობას და აქედან გამომდინარე სამართლის აღდგენას; რომ ავაშენოთ სიმართლის მადიდებელი, სამართლიანი ქვეყანა. შთამომავლობამ. ერმა უნდა იცხ-ოვროს მშვიდობიანად, ბედნიერად საკუთარი შრომითა და შემოსავლებით, მომავალ გაბრწყინებულ ქვეყანაში.

უფალი ღმერთი გვაფრთხილებს: „რაც მეტ დიდხანს იმთავრებთ, მით უფრო მეტ ცოდვებს ჩაიდენთ და უფრო მკაცრად დაისჯებით.

„ოცნებამ“ მუშაობა ტყუილებით დაიწყო და აგრძელებს დღესაც. 2013 წელში მათ მოსვლისას პენსიები უკვე იყო დადგენილი 150 ლარი. ე. ი. 91 აშშ დოლარის ექვივალენტი პენსიები. მათი მოღვაწეობის პერიოდში, პენსიების ას დოლარამდე გაზრდის სანაცვლოდ, სადღეისოდ გვაძლევენ დაახლოებით სამოცდათხუთმეტ აშშ დოლარის ექვივალენტ პენსიას. სინამდვილეში პენსიები შემცირდა და ფასები დაახლოებით ორჯერ გაიზარდა.

მიმდინარე 2020 წლის ზამთარში დაგვპირდნენ, რომ კომუნალურ გადასახადებს გადაგვიხდიდნენ პანდემიასთან დაკავშირებით. მათ დააწესეს გაზზე ორასი მ3 გაზის ნორმა თვეში, და თუ ერთ მ3 გაზით მეტს დავხარჯავთ, მაშინ დანარჩენ დახარჯულ გაზის თანხასაც გადავიხდით. თუ დახმარებაა მაშინ უნდა დაედგინათ: ორას მ3 გაზის ფულს გადაგიხდით და ზედმეტ დახარჯულ გაზის ფულს თქვენ გადაიხდით. მათ კარგად იციან სამოთახიანი ბინის გათბობა, ცხელი წყლით სარგებლობა და სამზარეულოს ხარჯი ამ ნორმაში ვერ ჩაეტევა. ამავე დროს 1 მ3 გაზი წვისას უნდა გამოყოფდეს თექვსმეტ კილო კალორია სითბოს, ხოლო მათ მიერ მოწოდებული უხარისხო გაზი არ გამოყოფს ცხრა კილოკალორიაზე მეტს. ამდენად გვატყვილებენ; გეხმარებითო ...

სინამდვილეში ქვეყნის მთავრობა პანდემიასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის დონორმა ქვეყნებმა მილიარდობით აშშ დოლარით დააფინანსეს, ასევე აიღეს მილიარდობით დოლარი შეღავათიანი სესხები, რომელიც შთამომავლობამ უნდა გადაიხადოს. მოახდინეს ლარის კურსის განახევრება, გაზარდეს ფასები, მიითვისეს მილიარდობით ლარები ასე გამდიდრდნენ; მათ ქვეყანა, მოსახლეობა არ ენაღვლებათ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობენ ...

არ არსებობს ზღაპრები, ნაწარმოებები, ლეგენდები, ბრძნული გამონათქვამები, რომ საბოლოოდ კეთილმა ძალამ არ გაიმარჯვოს ბოროტ ძალებზე. ამდენად გარდაუვალია უფალი ღმერთის რისხვა ბოროტ ძალთა მიმართ.

ამ იდეებს ეძღვნება ეს წერილი, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოვიყვანო გონს, რომ გადარჩნენ თვითონ, შვილები და შთამომავლობა; მომავალში იცხოვრონ ბედნიერად, მშვიდობიანად ჩვენს მიერ გაბრწყინებულ ქვეყანაში, უშუალოდ უფალი ღმერთის დახმარებითა და შემწეობით. დიდება უფალ ღმერთს, მის ნების აღსრულებას დედამიწაზე, ამინ!

„ცოდნა რომლის შესახებ დუმდა საუკუნენი“

*ამომცნობელი* ***ომარ ცხვარაძე***

*30 დეკემბერი 2020 წ.*

ო მ ა რ   ც ხ ვ ა რ ა ძ ე

# ბოლო ჟამი

/ცოდნა, რომლის შესახებ დუმდა საუკუნენი/

O M A R   T S K H V A R A D Z E

# LAST MOMENT

**/Mystery which has been kept secret for long ages past/**

გამომცემლობის რედაქტორები
**აკად. ავთანდილ ჯინჭველაშვილი**
**აკად. გურამ კუპატაძე**

კორექტორი
**ნანა ლუტიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ვერონიკა არუთინიანი**

ტირაჟი 100 ეგზემპლარი
ფასი სახელშეკრულებო
თბილისი 2021 წ.



ომარ შალვას ძე ცხვარაძე დაიბადა პასპორტით 1944 წელს 15 მარტს. სინამდვილეში 1943 წლის 30 დეკემბერს. ვანის რაიონი, დაბა ვანში.

1951 წელს შევიდა ვანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. ხოლო 1962 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1967 წელს.

1974 წელს ჩაირიცხა საკავშირო ცეკას უმაღლეს პარტიულ სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1980 წელს.

1990 წლიდან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემულ წიგნი „ბიბლია"-ს შესწავლაზე. გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე წიგნი და მრავალი სამეცნიერო შრომები ქვეყნის სამომავლო და რელიგიური თემებზე.

1998 წლიდან პარტია „სამშობლო"-ს თავმჯდომარეა;

2013 წლიდან არის მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა"-ს (საქართველო) ნამდვილი წევრი;

2014 წლიდან არის „ფაზისი"-ს საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

თავისი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში ოთხჯერ დანიშნული იყო საწარმოთა და გაერთიანების დირექტორად. მუშაობდა მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ჰყავს ქალიშვილი, სიძე და ორი შვილიშვილი.

ISBN 978-9941-8-3205-5